ვესტნი მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 მარტი პარასკევი 2014
№ 054 (14 275) ფასი 80 თეთრი

## დღეს, 15:00
## ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის 1/4 ფინალის წილისყრა

# ჩაშლილები



2-3

საქართველოს თასი. საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები

# პირლოს ჯარიმა პენალტია



5

მეოთხედფინალისტები
- იუვენტუსი
- ვალენსია
- ბენფიკა
- პორტუ
- სევილია
- ბაზელი
- ალკმაარი
- ლიონი

## იყო თუ არა თამაშგარე?



მერანი-შუქურას მატჩის შემდეგ მსაჯები მოედნიდან დაცვის თანხლებით გაიყვანეს, მაგრამ ლანძღვა არ ასცდათ
*გიორგი პაპავას ფოტო, სპეციალურად ლელოსთვის*

# ...ამიტომაც დავთანხმდი თქვენთან მუშაობას



- მინდა მადლობა ვუთხრა ფედერაციას, რომ კიდევ ერთხელ მომცა საქართველოს ნაკრებთან მუშაობის შანსი. აქამდეც აღმინიშნავს, რომ ისეთი ნაკრების განერთნა, როგორიც საქართველოსია, ჩემთვის დიდი პატივია.
- ლიტვისა და სლოვენიის ევრობასკეტები უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიზრუნოთ.
- ახალ ციკლს თან ახლავს ახალი მოლოდინი. ჩვენგან ყველა იმაზე უკეთეს შედეგს ელის, ვიდრე აქამდე გვქონდა, გულშემატკივრები, მედია, ფედერაცია...
- მთავარი მწვრთნელის პოსტზე იმიტომაც დავრჩი, რომ საქართველოს ნაკრების მჯერა.
- ვაფასებ ფარულიასნაირ კალათბურთელებს, რომლებიც ეროვნულ გუნდში ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე არ დაფიქრებულან. მისთვის საქართველოს ნაკრები ბევრს ნიშნავს.
- ჩეხეთთან ჩვენი ანგარიში გვაქვს, ევროპის ჩემპიონატზე დიდი სხვაობით დავმარცხდით, რაც ჩემი აზრით, ძალთა თანაფარდობას არ შეესაბამებოდა. ბიჭებმა წინა ღამით სლოვენიასთან მატჩის შემდეგ ენერგიის აღდგენა ვერ მოასწრეს და ამიტომაც დავმარცხდით ჩეხებთან. მიმაჩნია, რომ თბილისში გასამართი პირველი მატჩი (საქართველო-ჩეხეთი) ჯგუფში ბევრ რამეს გაარკვევს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან ინტერვიუს სრულად ჟურნალ ლელო WEEK-ის ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ

# ხარებები–ყოჩებები: ჩხუბი რაგბის ნაცვლად



13

საქართველოს თასი. 1/4 ფინალი | საპასუხო მატჩები

**20.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე**
**500 მაყურებელი**

**მერანი ?**

**პირველი მატჩი 0:0**

**შუქურა ?**

**შეხვედრა ჩაიშალა**

0:1 კაკალაძე (18. ხუჭუას პასით), 1:1 ციცხვაია (45+1. გაბუნიას პასით), 2:1 ფონიავა (62. ბაბუნაშვილის პასით), 2:2 ჩელებაძე (73-პენ)

მერანი (4-4-2): მამალაძე - ბენაშვილი, იობაშვილი, გაბუნია, რაფაელი - დეკანოსიძე (60. გეგია), ჯოჯუა, ფონიავა, ბაბუნაშვილი - აშორტია (70. ჩხეტიანი), ციცხვაია.

სათადარიგოები: ბეგაშვილი, ჯლამაია, ფაილოძე, ჭეიშვილი, ჯიქიძე

მწვრთნელი: ზურაბ იონანიძე

შუქურა (4-4-2): თ. კაკალაძე - ტაკიძე, მალანია, ლ. კალანდია, ვ. შეროზია (69. კოპალიანი) - ჩალაძე (66. ჭკუასელი), გოლოხინი, კუტალია (80. ტულუში), ხუჭუა - ჩელებაძე, მ. კაკალაძე.

სათადარიგოები: ა. კოტრიკაძე, ფუტკარაძე, ცენტერაძე, მამულაძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ტაკიძე (19), კალანდაძე (25), ხუჭუა (25), ფონიავა (25), გაბუნია (71), გოლიხინი (85), ბენაშვილი (88), იობაშვილი (90)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

# კიდევ ერთი ჩაშლილი მატჩი...



მატჩის არბიტრი თორნიკე გვანცელაძე მოედანს ასე ტოვებდა

## ინციდენტი

...არბიტრის მიერ კომპენსირებული (4 წუთი) დროის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, ანგარიში 2:2 იყო, როცა სტადიონის ჯებირებს ფანების მთელი „არმია" გადმოახტა და მოედანზე შეიჭრა. „ტორპედო"-"დინამოს" მატჩისგან განსხვავებით, მარტვილელ გულშემატკივართა მოედანზე შეჭრის მიზეზი, მათი აზრით, არბიტრის ტენდენციურობა იყო. საქმე ისაა, რომ დამატებული დროის უკანასკნელ წუთზე „შუქურას" კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა, „მერანის" ყველა ფეხბურთელი, მეკარე **ზურაბ მამალაძის** ჩათვლით, მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა. **შოთა ბაბუნაშვილის** ჩაწოდებას არეულობა მოჰყვა, **ჯემალ გაბუნიამ** (პირველი გვერდის ფოტოზე ძელთან) ბურთს ქუსლით შეუცვალა მიმართულება და... გაიტანა. გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, რასაც მარტვილელთა მხრიდან მყისიერი რეაქცია მოჰყვა. მსაჯთა ბრიგადა განრისხებული გულშემატკივრებისგან პოლიციელებმა იხსნეს და ექსცესების თავიდან აცილების მიზნით მოედნიდან გაიყვანეს.

შესაძლოა, მარტვილელებს მსაჯების მიმართ უკმაყოფილების მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ, მაგრამ ამგვარ საქციელს გამართლება არ აქვს. ამით ხომ თავად „მერანი" და ქართული ფეხბურთის იმიჯი ზარალდება?!

ერთი სიტყვით, თამაში შეწყდა... არადა, მატჩის დასრულებამდე მხოლოდ ერთი წუთი იყო დარჩენილი...

## ინციდენტამდე...

ამ უსიამოვნო ფაქტამდე თამაში თანაბარ ბრძოლაში, დაძაბულად მიმდინარეობდა. გუნდები ერთმანეთის სუსტი წერტილების ძიებაში იყვნენ. პირველი სახიფათო ეპიზოდი მერანელებმა პირველივე წუთზე შექმნეს - **ფონიავას** გადაცემის შემდეგ, ბაბუნაშვილი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, თუმცა დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

ამის შემდეგ, კარგა ხანს ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრის სიახლოვეს ტრიალებდა. ფეხბურთელები დუნედ მოქმედებდნენ და მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა.

მოლოდინისამებრ, სტუმრებმა თამაში კონტრშეტევებზეააწყვეს და საწადელს მალევე მიაღწიეს - „მერანის" მცველთა უხეირო თამაშით მშვენივრად ისარგებლა **ხუჭუამ**, რომელმაც შესანიშნავი გადაცემით **მიხეილ კაკალაძე** მოძებნა, ამ უკანასკნელის დარტყმა კი მამალაძისთვის აუღებელი გამოდგა - 0:1.

მასპინძლები გოლმა არ დააბნია და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე დასამახსოვრებელი მომენტიც შექმნეს. განსაკუთრებით **აშორტია** აქტიურობდა. მას ორჯერ შეეძლო გატანა, თუმცა ორივეჯერ სტუმართა მეკარემ იყოჩაღა.

მარტვილელებმა ანგარიში ტაიმის ბოლოს გაათანაბრეს: ბაბუნაშვილის ჩაწოდებულ ჯარიმას **ციცხვაია** გამოეხმაურა - 1:1.

მეორე ნახევარი საშუალო ტემპში გარძელდა, მარტვილელი გულშემატკივრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ „მერანი" თამაშში გარდატეხას შეიტანდა და მოიგებდა, თუმცა - ამაოდ. არადა, 63-ე წუთისთვის ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. მასპინძლებმა სწრაფი შეტევა გოლად აქციეს - ფონიავამ მარცხენა ფლანგზე გაილაღა და ძლიერი დარტყმით **თეიმურაზ კაკალაძეს** შანსი არ დაუტოვა.

მერანელთა სიხარულმა დიდხანს ვერ გასტანა. ზუსტად ათ წუთში, გაბუნიასა და **ჭკუასელის** ორთაბრძოლისას, სტუმართა შემტევი ნახევარმცველი წაიქცა და 11-მეტრიანი **ჩელებაძემ** უზადოდ შეასრულა - 2:2.

დარჩენილ 17 წუთში მასპინძლები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ „შუქურას" ფეხბურთელებს საჯარიმოს მისადგომები საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი. ხოლო თუ რა მოხდა ბოლო წუთზე, უკვე იცით...

## ინციდენტის შემდეგ

თამაში ჩაშლილად გამოცხადდა. მატჩის დირექტორმა **ლევან რამიშვილმა** „ლელოსთან" ასეთი კომენტარი გააკეთა:

„მიმდინარეობდა არბიტრის მიერ დამატებული მე-4 წუთი, როცა „შუქურას" კარის სიახლოვეს საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. ეპიზოდი გატანილი გოლით დასრულდა, თუმცა გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და, შესაბამისად, გოლიც გაუქმდა. თუ რამდენად ობიექტური იყო ეს გადაწყვეტილება, ვიდეოფირის ნახვის შემდეგ გავარკვევთ. ფაქტია, რომ ამას მაყურებელთა აგრესია მოჰყვა - ისინი მოედანზე შეიჭრნენ და, ფაქტობრივად, თამაშის დასრულება შეუძლებელი გახდა. დღევანდელ შეხვედრას სადისციპლინო კომისია უახლოეს დღეებში განიხილავს და რეგლამენტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს გაატარებს. ალბათ, „მერანს" ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვლება. ასევე, იქნება ფინანსური სანქციებიც... ფანკლუბებთან სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი. გულშემატკივრებს სტადიონზე მოქცევის კულტურა არ აქვთ. უმრავლესობა თამაშზე მხოლოდ საგინებლად და საჩხუბრად დადის, ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებთ... რაც შეეხება უსაფრთხოებას, სტადიონზე დაახლოებით 20-30 პოლიციელი იყო. ისინი გუნდების ქომაგთა სექტორებს კი აკონტროლებდნენ, თუმცა უსიამოვნო ფაქტი თავიდან მაინც ვერ ავიცილეთ".

**ბესიკ შეროზია (შუქურას მწვრთნელი):** „ამ თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებოდით. ვიცოდით, რომ დაძაბული შეხვედრა გველოდა. გამარჯვების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. ჩემი ფეხბურთელების თამაშითა და შედეგით კმაყოფილი ვარ. მინდა მადლობა გადავუხადო ბიჭებს თავდადებისთვის, გულშემატკივრებს კი - მხურვალე ქომაგობისთვის. ჩვენ მთლიანი ორგანიზმი ვართ, პრიორიტეტი უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებაა, თუმცა არც თასზე შევირცხვენთ თავს... „მერანის" მიერ გატანილ გოლზე ვერაფერს ვიტყვი, შორიდან ამის დანახვა რთულია. ფაქტი, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა. ეს პირველი შემთხვევა არაა და სამწუხაროა, რომ სტადიონებზე ასეთი რამ ხდება".

**ზურაბ იონანიძე (მერანის მწვრთნელი):** „ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, თუმცა 2:2 არ იყო ის ანგარიში, რაც ნახევარფინალში გაგვიყვანდა... მსაჯობა? ეს ცალკე თემაა. გოლი გავიტანეთ და არ ჩაგვითვალეს, პენალტი არ მოგვცეს, პირიქით - ჩვენს კარში დანიშნეს... მეტი რაღა უნდა გაეკეთებინათ?! ასეთი მსაჯობის პირობებში თამაში შეუძლებელია. ჩვენს წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს. მერწმუნეთ, ეს ქართულ ფეხბურთს არ წაადგება"!

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან
**გიორგი პაპავას ფოტოები**
**სპეციალურად ლელოსთვის**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/4 ფინალური, განმეორებითი შეხვედრა მარტვილის „მერანსა" და ქობულეთის „შუქურას" შორის, მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეწყდა.

მატჩი სამტრედიაში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ანგარიში 2:2 იყო, როცა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე „მერანმა" გოლის გატანა მოახერხა, თუმცა, მსაჯებმა ერთხმად დააფიქსირეს თამაშგარე მდგომარეობა. ამის შემდეგ, ტრიბუნებზე მდგომარეობა დაიძაბა. მარტვილელთა გულშემატკივრებმა მოედნის მიმართულებით სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს. სულ ცოტა ხანში კი, დაახლოებით 200-მდე ადამიანი მოედანზე შეიჭრა და მსაჯებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შესაბამისად, მატჩის დასრულება შეუძლებელი გახდა. მსაჯები კი იყვნენ - თორნიკე გვანცელაძე, ბესო ჭიჭინაძე, გურამ ჩიგოგიძე და ლევან კვარაცხელია.

აღნიშნულ ფაქტზე სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

სფფ-ის პრესსამსახური

**20.03. თბილისი. დინამო არენა**
**1 500 მაყურებელი**

**დინამო (თბ) 4**

**პირველი მატჩი 2:0**

**მეტალურგი 1**

1:0 გორგიაშვილი (4. ჩისკოს პასით), 2:0 მერებაშვილი (20-პენ) 3:0 ჩისკო (40. რეხვიაშვილის პასით), 4:0 გლიშიჩი (47), 4:1 ჩიმაკაძე (59)

დინამო (4-3-3): ლორია - ხურცილავა, გველესიანი, რეხვიაშვილი, გლიშიჩი - პაპავა, გორგიაშვილი, ძარია (64. გოგა) - ჩისკო (72. მოდებაძე), მერებაშვილი (46. ჯანელიძე), მარცვალაძე.

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ხიდეშელი, ცინცაძე, კვირკველია.

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

მეტალურგი (5-4-1): ბედიაშვილი - ექვთიმიშვილი, ლომაია (46. გიგაური), მახვილაძე, ცნობილაძე, საჯაია - მიქაბერიძე (60. ვასაძე), კაკაშვილი (46. გოგინაშვილი), დობროვოლსკი, ქავთარაძე - ჩიმაკაძე.

სათადარიგოები: სეფიაშვილი, ხაბელაშვილი, ოქროპირიძე, კაკულია

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: ბედიაშვილი (17), გორგიაშვილი (70), გიგაური (81)

არბიტრი: ო. ხეცაძე

# სხვა დინამო



მესამე გოლი ჩისკომ გაიტანა | გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„დინამო"-"მეტალურგს" შორის საქართველოს თასის ნახევარფინალში გამსვლელის ვინაობა, ფაქტობრივად, რუსთავში გამართული პირველი მატჩის შემდეგ გაირკვა. იმ შეხვედრაში თბილისელებმა 2:0 იმარჯვეს და, აბა, ახლა რა სასწაული უნდა მომხდარიყო, მომდევნო ეტაპისკენ გზა მეტოქისთვის დაეთმოთ.

მიუხედავად იმისა, რომ „დინამოს" ზურგს ორბურთიანი ფორა უმაგრებდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** სტუმრებს, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა დაახვედრა და ბიჭებიც საქმეს თავიდანვე შეუდგნენ...

„დინამოს" პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. **ჩისკომ** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში დაბალზე ჩააწოდა, შორეულ ძელთან კი ბურთს **თორნიკე გორგიაშვილი** დახვდა და დარტყმაც უნაკლო გამოუვიდა. თავად ჩისკო კი დაშავდა, მაგრამ სერიოზული არაფერი მოსვლია და მცირე საექიმო ჩარევის შემდეგ თამაში გააგრძელა...

საკითხავი მხოლოდ ის იყო, რა ანგარიშით შეძლებდა „დინამო" „მეტალურგის" დამარცხებას და რომელი ფეხბურთელი რამდენ გოლს გაიტანდა, თორემ ქომაგს, ვეჭვობთ, სხვა არაფერი აინტერესებდა. მწვრთნელები კი ფეხბურთელთა მზადყოფნას ერთხელაც თუ შეამოწმებდნენ, თორემ სხვას ამ შეხვედრიდან ვერც ისინი მიიღებდნენ...

მეორე გოლს დიდხანს არ დაუგვიანია - სტუმართა მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი** საჯარიმო მოედანზე **ოთარ მარცვალაძის** მიერ დაუფლებულ ბურთს ვერა, მაგრამ ფეხებს კი მისწვდა, ჰოდა, აღარც არბიტრ **ოთარ ხეცაძეს** დაუყოვნებია და პენალტისკენ მიანიშნა - **გიორგი მერებაშვილმა** ზუსტად დაარტყა და ანგარიში გააორა.

ამის მიუხედავად, „დინამო" არ ცხრებოდა და შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მეტოქის სამაგალითოდ დასჯას აპირებდა. **რეხვიაშვილს, მერებაშვილს, ჩისკოს** და **მარცვალაძეს** გოლის გასატანად რამდენიმე ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი რეხვიაშვილმა დაახლოებით 50-მეტრიანი ჩინებული პასით ჩისკო **მიხეილ მახვილაძესა** და ბედიაშვილს შეატოვა, თბილისელთა ესპანელ ფორვარდს კი არც ერთთან გასჭირვებია და სტუმრებს მესამე გოლიც გაუტანა.

განახლდა თუ არა თამაში შესვენების შემდეგ, მეოთხე გოლიც იქვე ვნახეთ - თავი **დარკო გლიშიჩმაც** გამოიჩინა. ჯერ იქამდე რა იყო და, წარმოიდგინეთ, ტაბლოზე 4:0 რომ ციმციმებს, ფეხბურთელები მოედანზე რა განწყობით დასდევდნენ ბურთს. ამ დროს კი ხალხი ტრიბუნებზე ერთმანეთში ლაპარაკით უფრო მეტად იქცევდა თავს, ვიდრე ფეხბურთს უცქერდა...

ამასობაში კი, რუსთაველმა **ბესიკ ჩიმაკაძემ**, პრესტიჟის გოლს რომ ეძახიან, ისეთი გოლი გაიტანა და იმის მერე მოედანზე აღარაფერი მომხდარა.

ისე, როგორი „ამოუცნობია" ეს ფეხბურთი. რამდენიმე დღის წინათ არ იყო ამავე სტადიონზე რომ ითამაშეს „დინამომ" და „მეტალურგმა" ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურში?..

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. 1/4 ფინალი

საპასუხო მატჩები

20.03. ივანწმინდა
500 მაყურებელი

**ჩიხურა 2**

**პირველი მატჩი 1:1**

**სიონი 1**

0:1 გოგობერიშვილი (61), 1:1 ოდიკაძე (88), 2:1 კვასხვაძე (90+2)

ჩიხურა: სომხიშვილი, ჭელიძე, გაბედავა, გრიგალაშვილი, ლომაშვილი, ჩიკვილაძე, დათუნაიშვილი, ბეჭვაია (68. კვასხვაძე), ოდიკაძე, დეკანოიძე, ხმალაძე.

სათადარიგოები: თევდორაძე, კვარაცხელია, ჯილაური, ქიმაძე, ნინამძღვრიშვილი, კაშია

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

სიონი: მერლანი, სვანიძე, აბრამიძე, თოთაძე, ფოფხაძე (46. ლობჟანიძე), გოგიბერიშვილი, განუგრავა (36. ახალაია/67. ქემოკლიძე), კარელიშვილი, აფციაური, ზუხბაია, იმედაშვილი.

სათადარიგოები: უგულავა, უგრეხელიძე.

მწვრთნელი: ლადო ბურდული

გაფრთხილება: განუგრავა (19), სვანიძე (60), დათუნაიშვილი(74)

არბიტრი: ლაშა სილაგავა




ჩიხურა გამარჯვების გოლს ზეიმობს

ნიკა ხვედელიძის ფოტო

# დინამიკურად, კრეატიულად, დრამატულად...

ისე დინამიკურად, კრეატიულად და დრამატულად წარმართეს გუნდებმა ამაღელვებელი მომენტებით აღსავსე შეხვედრა, რომ ქართული ფეხბურთის მიმართ ეს კითხვა გაუჩნდებოდა მაყურებელს - ამდენი თუ შეგვეძლო, აქამდე სად ვიყავითო?!

უკანასკნელი წუთები რომ არა, როცა შედეგი „ბაიერნისა“ და „მანჩესტერის“ ცნობილ ფინალს წააგავდა, არც ამ გუნდებს შორის წლევანდელი „კანონზომიერება“ (ფრე) დაირღვეოდა და მეოთხედაც დაფიქსირდებოდა საყაიმო ანგარიში.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ბოლნისელები წაგებას არ იმსახურებდნენ. მათი ძალზე ორგანიზებული, უპანიკო და, აქედან გამომდინარე, უშეცდომო დაცვა სალ კლდესავით იყო აღმართული და ისხლიტავდა საჩხერელთა გამუდმებულ იერიშებს. თუმცა ეს სულაც არ მიანიშნებს სტუმართა ყრუ დაცვაში დგომაზე - ისინი შეტევებსაც არ ერიდებოდნენ.

ურთიერთსიფრთხილემ საკმაო ხანს გასტანა და მხოლოდ მე-15 წუთიდან ჩაერთვნენ თამაშში მეკარეები. აქედან მოყოლებული, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უპირატესობა, ძირითადად, „ჩიხურას“ მხარეს იყო, რაც განაპირობა **სოსო ფრუიძის** გადაწყვეტილებამ, „ტორპედოსთან“ წინა თამაშისგან განხვავებით, ძირითადში **ოდიკაძე** და **ჩიკვაიძე** დაეყენებინა. გაამართლა შეცვლაზე **კვასხვაძის** გამოყვანამაც...

ამ პერიოდში გაბედულება განსაკუთრებით უნდა შევუქოთ **გაბედავას**, ვინც ყველა მდგომარეობიდან ცდილობდა კარის დალაშქვრას, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით სიზუსტეზე, თორემ **დეკანოიძისა** და ოდიკაძის საიუველირო პასებით მეკარესთან პირისპირ დარჩენილი, უბრალოდ, ვალდებული იყო, გაეტანა.

სხვა შემთხვევებში **მირზა მერლანი** და დაცვა შეუვალნი იყვნენ. მანამდე, მცველებისა და **სომხიშვილის** შეუთანხმებელი მოქმედებით სტუმრებმა კინაღამ გოლები იზეიმეს. დასამახსოვრებელი იყო ის ეპიზოდიც, როცა საჩხერელთა კარის დარაჯმა მუშტით შეძლო ბურთის მოგერიება.

მეორე ტაიმმა სრულიად საწინააღმდეგო სურათი აჩვენა - ბოლნისელები შემტევის როლში მოგვევლინნენ. **კახელიშვილმა** პირდაპირ აიკლო მარცხენა ფლანგი. მისი მწვავე ჩაწოდებების შემდეგ სულ მცირე, ოთხჯერ მაინც გადარჩა „ჩიხურა“. თითოჯერ **დათუნაიშვილსა** და დეკანოიძესაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ მერლანს ვერ აჯობეს.

61-ე წუთზე **გოგობერიშვილმა** მარცხენა ფლანგიდან ისე ოსტატურად ჩაახვია ჯარიმა კარისკენ, ბურთი არავის შეხებია, ისე გავიდა გოლი.

დარჩენილ დროში მარცხის წინაშე მდგარი საჩხერელები დიდხანს ვერაფერს უხერხებდნენ ბოლნისელთა „კედელს“, რომელიც მატჩის ბოლოსკენ მაინც გაიბზარა.

და აი, დრამატული ფინალიც: 88-ე წუთზე დეკანოიძემ შესანიშნავი პასი მისცა ოდიკაძეს საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. მცველებმა გამოცდილ ვეტერანს აცალეს დარტყმა, რომელიც უძლიერესი, უნაკლო და აუღებელი გამოდგა.

სამიდან მეორე დამატებითი წუთი სრულდებოდა, როცა საჯარიმოში სპრინტერის სისწრაფით შეჭრილმა კვასხვაძემ, ამჯერად ოდიკაძისგან, ასეთივე ზუსტი პასი მიიღო და შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი კარის მარცხენა, დაბალ კუთხეში - 2:1.

ამრიგად, „ჩიხურა“ ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ დამარცხება ვერ დააკნინებს „სიონის“ თავდადებას - ბოლნისელები ბრძოლისთვის მადლობასა და ქებას იმსახურებენ. ისევე, როგორც არბიტრი **ლაშა სილაგავა**, ვის მიმართ პრეტენზია არავის გასჩენია.

**მატჩის შემდეგ**

ლადო ბურდული (სიონის მწვრთნელი): **„დასაწყისში მეტოქეს დავუთმეთ უპირატესობა იმიტომ, რომ გოლის გატანას კონტრშეტევებით ვგეგმავდით. პირველ ტაიმში მომენტები გვქონდა კიდეც, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. მეორე ტაიმში შეტევაზე გადავეწყვეთ და საწადელსაც მივაღწიეთ, თუმცა ბოლო წუთებში დაშვებულმა შეცდომებმა წყალში ჩაგვიყარა ამდენი ნაშრომ-ნაღვაწი. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ „ჩიხურამ“ გამარჯვება არ დაიმსახურა. ვულოცავ ამ შესანიშნავ გუნდს ნახევარფინალში გასვლას... და მინდა ესეც ვთქვა: ერთმა ჟურნალისტმა ამიკლო - თამაში ჩაწყობილია, საჩხერეში შენ გაიმარჯვებო. ვფიქრობ, დღევანდელმა მატჩმა ყოველგვარი ეჭვის საბაბი მოსპო და თუ ვინმე კიდევ სხვაგვარად ფიქრობს, ეს მისი პრობლემაა“.**

სოსო ფრუიძე (ჩიხურას მწვრთნელი): **„მართლაც შემტევი, უკომპრომისო და ლამაზი თამაში გამოვიდა, რისთვისაც მადლობას ორივე გუნდის ფეხბურთელები იმსახურებენ. კორექტულობაც უნდა აღინიშნოს - განზრახ უხეშობას ადგილი არ ჰქონია. ბოლოსკენ ცოტა გაგვიმართლა, მაგრამ მაინც მგონია, რომ უფრო მეტმა გამოცდილებამ მოგვაგებინა. რაც შეეხება თამაშების „ჩაწყობებს“, მომხრე ვარ და მოვითხოვ - თუ საქმე გამოსაძიებელია, ჩემი გუნდიდან დაიწყოს“.**

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან

20.03. გორი. თ. ბურჯანაძე
უმაყურებლოდ

**დილა 2**

**პირველი მატჩი 2:1**

**ტორპედო 0**

1:0 შალამბერიძე (3), 2:0 გურეშიძე (61. შალამბერიძის პასით)

დილა (4-2-3-1): ლეგაშვილი - ორბელაძე (62. ქარქუზაშვილი), ხიზანეიშვილი, კობახიძე, ჯიშკარიანი - ბოლქვაძე (66. ნიქარიძე), რაზმაძე - შალამბერიძე, გურეშიძე, კოშკაძე (80. რაჟამაშვილი) - კვარაცხელია.

სათადარიგოები: შეყრილაძე, კორღალიძე, ბერიაშვილი, კანდელაკი

მწვრთნელი: რამაზ სოლოლაშვილი

ტორპედო (4-5-1): კვასხვაძე - გელაშვილი (32. კვერნაძე), თოდუა, სავჩენკოვსი, ადამაძე - მარკოზაშვილი, მამასახლისი, ელიავა (46. ლვიტიძე), ჩიკვილაძე (63. ბერუაშვილი), გოგიჩაიშვილი - ლონლაძე.

სათადარიგოები: ადამია, ხურციძე, ჩადუნელი, ლექვთაძე

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: მარკოზაშვილი (73)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# ...ასე იქცევა ნამდვილი ქომაგი

## დილა ისევ ევროპას უმზერს

„დილამ“ სეზონის დასაწყისშივე განაცხადა პრეტენზია ევროზონაში მოხვედრაზე. მართალია გორელები ექვსეულს მიღმა აღმოჩნდნენ, მაგრამ დარჩა ევროპისკენ მიმავალი მეორე გზა - საქართველოს თასი. შესაბამისად, ცხადი იყო ამ მეოთხედფინალურ პაექრობაში „დილა“ ყველაფერს გაიღებდა ნახევარფინალში გასასვლელად, თანაც - პირველი დაპირისპირება ქუთაისში 2:1 ჰქონდა მოგებული...

ინტრიგა, რომელიც, შესაძლო იყო, ქუთაისელთა კარგ თამაშს გამოეწვია, მატჩის დასაწყისშივე, ფაქტობრივად, მოკვდა - უკვე მე-3 წუთზე **კობა შალამბერიძემ** საკუთარ ნახევარზე მოიპოვა ბურთი, დაახლოებით 50 მეტრი რეიდით დაფარა, გზად სამი-ოთხი ფეხბურთელიც ჩამოიტოვა და საჯარიმოში შესულმა ზუსტადაც დაარტყა - 1:0. აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შალამბერიძემ ეს მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა. თავის წილად ერთი გოლი და საგოლე პასი ხომ მიითვალა, და ერთხელაც ახლოს იყო დუბლთან.

...თამაში არცთუ მაღალ სათამაშო ტემპში წარიმართა. „დილა“ ბურთის ფლობით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. მართალია, მასპინძელთა იერიშებს სიმწვავე აკლდა, მაგრამ თამაშის სადავეები მათ ხელში იყო. სტუმრები, თავის მხრივ, კონტრშეტევებით ცდილობდნენ მეტოქისთვის პრობლემების შექმნას, თუმცა „დილა“ საიმედოდ იცავდა თავს. „ტორპედო“ პრესინგსაც მიმართავდა. ქუთაისელები **რამაზ სოლოლაშვილის** შეგირდებს თავისუფალი გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ.

ასეთ სიტუაციაში, „დილა“ აქცენტის გადატანას ფლანგებზე ცდილობდა, სადაც **ალექსანდრე კოშკაძე** და შალამბერიძე აქტიურობდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა, პირველი ტაიმის მინურულს, კინაღამ მეორედაც აილო მეტოქის კარი, მაგრამ ბურთი კვასხვაძემ მოიგერია.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსი სცენარით წარიმართა. 61-ე წუთზე **დავით ბოლქვაძემ** მოედნის ცენტრში ჩაშალა მეტოქის შეტევა, მარცხნივ მოძებნა შალამბერიძე, რომელმაც ფლანგიდან ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **გურამ გურეშიძე** და ანგარიში 2:0 გახდა.

ცოტა ხანში, კოშკაძის დარტყმა მცირე მანძილით ასცდა მიზანს. მატჩის ანგარიშიდან გამომდინარე, უკვე ცხადი გახდა ორრაუნდიანი დაპირისპირების საბოლოო შედეგი და „დილამაც“ მეტოქის კარზე დაწოლას მოუკლო. „ტორპედო“ კი პრესტიჟის გოლის გატანას ცდილობდა. მიუხედავად ცალკეული ფეხბურთელების მონდომებისა, სტუმართა მცდელობას შედეგი მაინც არ გამოუღია. ქუთაისელთა ერთადერთი შემტევი **მამუკა ლონლაძეც** გორელ მცველებს საიმედოდ ჰყავდათ განეიტრალებული. მოკლედ, „დილა“ ნახევარფინალში გართულებების გარეშე გავიდა და ევროპას ახლა თასის პრიზმაში უმზერს.

დასასრულს, ცარიელი ტრიბუნების თემასაც უნდა შევეხოთ. 9 მარტის ინციდენტის გამო, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონმა მატჩს უმაყურებლოდ უმასპინძლა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა გულშემატკივრებმა სტადიონთან მაინც მოიყარეს თავი და მთელი 90 წუთის განმავლობაში გარედან უცქერდნენ თამაშს. აი, ასე იქცევა ნამდვილი ქომაგი...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ამბები

# ობიექტი ჩაბარებულია

როგორც ცნობილია, ფეხბურთის ფედერაციამ ლანჩხუთის „გურიას“ ევგრაფი შევარდნაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თამაშის უფლება დართო. საამისოდ, გურულებმა პრობლემების უმრავლესობა მოაგვარეს. სტადიონზე სამუშაოებს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ატუ“ აწარმოებდა. დღესდღეობით, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები მშვენივრად გამოიყურება და სტანდარტებს შეესაბამება.

მაგრამ სტადიონზე მცირე ხარვეზები მაინც იყო დარჩენილი. 19 მარტს ლანჩხუთის „გურიას“ ცენტრალურ სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ცნობით, ჩატარებული სამუშაოები დადებითად შეფასდა. ასე რომ, როგორც ადრე იტყოდნენ, „ობიექტი ჩაბარებულია“.

# ყირიმის კრიზისი საქართველოს როლს ზრდის

## პოსტსაბჭოურ ჩემპიონატზე გაზპრომის ოცნება დასრულდა!

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმირ პუტინმა** 18 მარტს ხელი მოაწერა ბრძანებულებას ყირიმის რუსეთთან შეერთების შესახებ. ცხადია, ჩვენ პოლიტიკურ მოვლენებს არ ვაშუქებთ, მაგრამ სამწუხაროდ, ფეხბურთი პოლიტიკისგან შორს არ დგას და იძულებულები ვართ, ამ თემასაც შევეხოთ.

ახლა რუსები განიხილავენ საკითხს, რომ უკრაინის ჩემპიონატის მონაწილე ყირიმული კლუბები - სიმფეროპოლის „ტავრია“ და „სევასტოპოლი“ - რუსეთის ჩემპიონატში დაუშვან. ჯერჯერობით, ეს გუნდები უკრაინის პრემიერლიგაში თამაშობენ. „სევასტოპოლის“ პრეზიდენტმა ალექსანდრ **კრასილნიკოვმა** განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან რუსეთის ჩემპიონატში აპირებენ თამაშს. თუმცა ის ალბათ იმასაც ხვდება, რომ ამით „სევასტოპოლი“ უეფას იურისდიქციის მიღმა აღმოჩნდება. ეს ფაქტი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაშიც აღნიშნეს და ყირიმულ კლუბებს უკრაინის პრემიერლიგაში დარჩენა შესთავაზეს...

ზოგი ჭირი მარგებელიაო და, მომხდარმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი კრემლისგან მართული „გაზპრომის“ შემოგდებულ ახალ „საფეხბურთო“ იდეას, რომელიც პოსტსაბჭოური ქვეყნების წამყვანი გუნდების ერთიან საფეხბურთო ლიგად გაერთიანებას ითვალისწინებდა. ეს იქნებოდა მესიჯი ევროპისთვის - აქაოდა, საბჭოელები ისევ ნებით გავერთიანდითო. ცხადია, ყირიმის ამბების შემდეგ უკრაინული კლუბები რუსებთან გაერთიანებაზე აღარც იფიქრებენ. უკრაინა უარს იტყვის „თანამეგობრობის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობაზეც.

ამ მოვლენებმა სხვა კუთხითაც უნდა დაგვაფიქროს - სანამ იალტის სანაპიროზე რუსეთის დროშები ფრიალებს, იქ უკრაინის დაბალი ლიგის გუნდები და საფეხბურთო სკოლები მოსამზადებელ ეტაპს აღარ გაივლიან. ამიტომ, კიდევ ერთხელ დგება საქართველოს შავიზღვისპირეთში თანამედროვე მოსამზადებელი ცენტრების მშენებლობის საჭიროება. თუკი ადრე ამაზე ლაპარაკი შთამბეჭდავი არ იყო, ახლა ეს ეკონომიკურადაც სასარგებლო იქნება და უკრაინელებთან საფეხბურთო თანამშრომლობისთვის დამატებითი სტიმულიც გახდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ბესიკ აბაშიძე: ფეხბურთის ფედერაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარება სთხოვა

ღირებული ინფორმაცია გაგვიმხილა საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის (სფა) პრეზიდენტმა ბესიკ აბაშიძემ. შეგახსენებთ, რომ ამ ორგანიზაციის დაფუძნების დროს აბაშიძემ თქვა, რომ სფა-ს მიზანი არა მხოლოდ მოთამაშეთა უფლებების დაცვა, არამედ გარიგებული მატჩების მხილებაც იყო და სტადიონებზე აქციებიც ჩაატარა ლოზუნგით - „არასოდეს ჩააწყო თამაშები". სფა-ს პრეზიდენტს მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ.

**- რას იტყვით ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატში დატრიალებულ მოვლენებზე?**

- აბსოლუტურად ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც თვლის, რომ ჩაწყობილ თამაშებზე გამოძიება უნდა დაიწყოს. ბოლო დროს ყველა ერთხმად ლაპარაკობს, რომ საქართველოს ჩემპიონატში გარიგებული მატჩების რაოდენობამ იმატა. ამას ამბობენ მწვრთნელები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები... რაც ყველაზე საყურადღებოა, ფედერაციის



ბესიკ აბაშიძე

ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემაც თქვა, ამაზე მეც მსმენიაო. დაახლოებით იგივე ბრძანა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც.

**- ანუ, „რაღაც" რომ ხდება, ეს არავისთვის საიდუმლო აღარ არის...**

- ცხადია და ეს ყველას აღელვებს. ჩემი აზრით, ყველაფერი მოთამაშეთა დონეზე არ უნდა წყდებოდეს. ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ, გამორიცხულიც არის, გარიგებებში მხოლოდ ისინი მონაწილეობდნენ.

**- ეს გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, ეს კარგად ორგანიზებული სისტემაა თუ გუნდები ერთმანეთში კონკრეტული ვითარების მიხედვით რიგდებიან?**

- ჩემი აზრით, საქმე გვაქვს კარგად ორგანიზებულ სინდიკატთან, რომელიც საქართველოში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობით სარგებლობს და ფეხბურთელებსა და გაჭირვებული გუნდების ხელმძღვანელებს დანაშაულზე აქეზებს. მოგეხსენებათ, ხელფასპრემიებს დროულად ბევრ კლუბში ვერ არიგებენ და წამქეზებლებსაც სწორედ ეს აწყობთ - ცდუნებას ყველა ხომ ვერ უძლებს?

**- თუ ფლობთ ინფორმაციას, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონებს რომელი ქვეყნის ტოტალიზატორებში იდებენ?**

- ზუსტად არ ვიცი, სად და რომელ ქვეყანაში, მაგრამ ვიცი, რომ აზიური ტოტალიზატორები არიან დაინტერესებულები. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ფსონებს ჩვენი დაბალი ლიგების თამაშებზეც იდებენ.

**- ამ დროს, გარედან ისე ჩანს, რომ ფეხბურთის ფედერაცია გარიგებულ მატჩებს ვერ ან არ ეწინააღმდეგება...**

- რეალურად, ფეხბურთის ფედერაცია საქმეს ვერ გამოიძიებს, რადგან ამას სჭირდება სახელმწიფოს ნება, სამართალდამცავი სტრუქტურების ჩაბმა, გამოძიების დაწყება და საფეხბურთო სამყაროში საეჭვო პირთა მასობრივი მოსმენები.

**- ფაქტია, რომ ჯერ საამისოდ არაფერი კეთდება...**

- მე სხვა ინფორმაციას ვფლობ. ვიცი, რომ დაახლოებით, 6-7 თვის წინათ ფეხბურთის ფედერაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მემორანდუმის გაფორმება და გამოძიების დაწყება სთხოვა.

**- ეს დაზუსტებული ინფორმაციაა?**

- დიახ, დაზუსტებულია, რადგან ამ საგამოძიებო ჯგუფის წევრი მეც უნდა ვყოფილიყავი.

**- მემორანდუმზე რომ არაფერია ცნობილი?**

- ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, ჯერ შეთანხმება ვერ მოხერხდა და საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა. არა მგონია, სახელმწიფო ამით დაინტერესებული არ იყოს, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რატომ ყოვნდება საგამოძიებო ჯგუფის ჩამოყალიბება. ადრე თუ გვიან, ეს საქმე მაინც დასაწყებია და დარწმუნებული ვარ, დასასჯელები რომ დაისჯებიან, მერე სხვებიც დაფიქრდებიან, უღირთ მუდმივად შიშის ქვეშ ცხოვრება? სწორედ ეს იქნება ის ბარიერი, რომელიც ჩაწყობილ მატჩებს სრულად ვერ აღმოფხვრის, მაგრამ საგრძნობლად შეამცირებს. ეს ჩვენი ფეხბურთის მომავალსაც სჭირდება, რადგან ცუდ გარემოში ახალგაზრდა, ნესიერი მოთამაშეებიც ფუჭდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჯემალ კიზირიას ხსოვნას



28 თებერვალს 75 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი **ჯემალ კიზირია.**

აბაშის საზოგადოებას გამოაკლდა შესანიშნავი ადამიანი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, საქმის ერთგული კაცი. ოჯახს კი დააკლდა შესანიშნავი მეუღლე, კარგი მამა და თბილი ბაბუა.

ფეხბურთის თამაში დაიწყო 17 წლის ასაკში. გამოდიოდა აბაშის „განთიადში", ფერგანის „ნეფტიანიკში", გეგეჭკორის „სალხინოში".

აბაშის საზოგადოებამ საკადრისი პატივი მიაგო მის ხსოვნას, რომელიც დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და ნაცნობების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი**

I ლიგა

## XVII ტური

### A ზონა

**ჩხერიმელა-შუქურა 0:3**

16.03. ხარაგაული. სოსო აბაშიძე

0:1 მ. კოპალიანი (13), 0:2 ი. ხუჭუა (36), 0:3 მ. კოპალიანი (64)

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, მ. კოპალიანი, თ. ლურსმანაშვილი, გ. თურმანიძე, გ. ჯიმშელეიშვილი, შ. ბაბუნაშვილი, გ. კიკნაძე (58. დ. პეტავა), გ. ხარაბაძე, დ. ქარსელაძე, ლ. ჩაჩიბაია, დ. წულაია.

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, ე. ფერაძე, თ. ფერაძე, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

შუქურა: თ. კაკალაძე, ი. ხუჭუა, ვ. შეროზია, ზ. მალანია, ლ. კალანდაძე (46. მ. ფუტკარაძე), ლ. კუტალია (61. მ. მამულაძე), მ. გოლიხინი, ლ. ჩალაძე (75. ზ. ტულუში), ი. ტაკიძე, მ. კაკალაძე, მ. კოპალიანი (66. ნ. მაჭავარიანი).

სათადარიგოები: ა. კოტრიკაძე, ნ. ჭკუასელი, ვ. ცენტერაძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: მ. მამულაძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**მერცხალი-გაგრა 1:0**

17.03. ოზურგეთი. ცენტრალური

1:0 მ. ქობულაძე (45-პენ)

მერცხალი: ა. მაქაცარია, გ. ხამაშურიძე (88. ლ. კოტრიკაძე), მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, გ. ზოიძე (46. გ. ვაშაკიძე), გ. მექვაბიშვილი, ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. მალაზონია, გ. ქარჩილაძე, ი. ღლონტი (68. ზ. ხურციძე). ი. ბაჯელიძე (90. ნ. ხინთიბიძე).

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, ლ. ქანთარია, თ. ჩხატარაშვილი

მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაგრა: ჯ. რეჭია, ც. ხარაბაძე (70. ი. მუსელიანი), გ. სიჭინავა, გ. ნიჟარაძე (80. ნ. ფანცულაია), გ. გადრანი, ნ. ნოზაძე, ვ. ჭაბუკიანი, რ ცაცკრიალაშვილი, ბ. ქარდავა (64. ც. მოსიაშვილი), გ. გოგატიშვილი, ზ. ღირდალაძე.

სათადარიგოები: გ. დობორჯგინიძე, გ. მაისურაძე, ი. გაბესკირია

მწვრთნელი: თენგიზ სიჭინავა

გაფრთხილება: ა. მაქაცარია, გ. ხამაშურიძე, გ. მალაზონია - ვ. ჭაბუკიანი, ც. მოსიაშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**კოლხეთი (ფ)-ადელი 3:0**

17.03. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 თ. შარაშენიძე (56), 2:0 ლ. გულუა (77), 3:0 ლ. გულუა (81)

კოლხეთი: ი. მაღრაძე, გ. კილასონია, პ. ცხვიტარია (50. ა. წაბრია), გ. კრასოვსკი, ლ. კაკულია, კ. ბარამიძე, ვ. ნემსაძე (80. მ. ლორია), ა. ქორჩილავა (53. ლ. ყიფიანი), თ. ჟიშკარიანი (61. ლ. გულუა), თ. შარაშენიძე, შ. კვანტალიანი (73. ლ. კუკავა).

სათადარიგოები: ა. სარსანია, ლ. ძაგანია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

ადელი: გ. შერვაშიძე (80. გ. თურმანიძე), ნ. წულუკიძე, ზ. მჟავანაძე (74. დ. რუხაია), ი. ფუტკარაძე (75. თ. ხაბელაშვილი), ვ. ივანიაძე, გ. ცაბუტაშვილი, ზ. კონცელიძე, ი. ლოლობერიძე (59. ლ. ჯინჭარაძე), გ. ქოქოლაძე, ლ. კარაკულიანი, ა. ვარშანიძე (64. თ. გიორგაძე).

სათადარიგოები: ფ. მოროტიე, ლ. მიქაძე

მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

გაფრთხილება: გ. ქოქოლაძე, ზ. კონცელიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**კახეთი-სქური 2:1**

17.03. თელავი. გივი ჩოხელი

1:0 თ. ვარდუაშვილი (61), 1:1 ლ. გაბუნია (82), 2:1 დ. ლორთქიფანიძე (85-პენ)

კახეთი: გ. აბულაშვილი, გ. აბურჯანია (66. გ. ფხაკაძე, 81. ზ. დარისპანაშვილი), ზ. ვარდუაშვილი, გ. ლომიძე, გ. მურველაშვილი, თ. ვარდუაშვილი (90. გ. ჩიტალაძე), დ. ლორთქიფანიძე, გ. კვირკველია, გ. ტყეშელაშვილი, გ. ჯინიკაშვილი (61. გ. ბააკაშვილი), კ. მადუბუიკე.

სათადარიგოები: გ. ამისულაშვილი, ლ. მჭარაშვილი, მ. უჩხუკიშვილი

მწვრთნელი: როსტომ თორღაშვილი

სქური: ტ. ხარჩილავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია, ლ. მორგოშია, ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა (90. გ. სალია), ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ი. კუტალია (70. კ. სოსელია), დ. შონია.

სათადარიგოები: ბ. ხვანიძე, ი. ქარდავა, დ. კეკელიძე

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

გაფრთხილება: გ. ლომიძე - ზ. ქვარცხავა, ლ. გაბუნია, გ. შელია, ჯ. ყურუა

გაძევება: გ. აბულაშვილი

არბიტრი მ. ურუშაძე

**საპოვნელა-დინამო 2 (თბ) 1:1**

18.03. თერჯოლა. ცენტრალური

1:0 ვ. ქრელაშვილი (20), 1:1 ბ. ზივზივაძე (26)

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე, ა. ბუცხრიკიძე, ს. შუღლაძე, ლ. ცხადაძე (53. თ. დარსაველიძე), ს. ცქიფურიშვილი (86. ნ. სირაძე), ვ. მურადაშვილი (68. დ. არეშიძე), ვ. ქრელაშვილი (64. კ. ხუჯაძე), ბ. ფოცხვერაშვილი, ო. გაბრიჭიძე (75. ბ. ბარბაქაძე).

სათადარიგოები: ვ. კახეთელიძე, ვ. ცხადაძე

მწვრთნელი: მირიან გენაძე

დინამო 2: ლ. ტყეშელაშვილი, ვ. ბაჩიაშვილი, ს. გურეშიძე, გ. სამხარაძე, გ. ფალავანდიშვილი, ბ. მახარობლიძე, გ. დიასამიძე, ნ. კვეკვესკირი, ზ. ჯაფიაშვილი, გ. ერისთავი (76. ს. ლობჟანიძე), ბ. ზივზივაძე.

სათადარიგოები: დ. ვოლკოვი, გ. გურეშიძე, ი. ციცხვაია, ლ. ისიანი, ლ. შინდაგორიძე, მ. ქაჯაია

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

გაფრთხილება: ს. შუღლაძე, ს. ცქიფურიშვილი - ს. გურეშიძე

არბიტრი: დ. სანოძე

**მეშახტე-იმერეთი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 16 | 14 | 1 | 1 | 40-7 | 43 |
| 2. შუქურა | 15 | 12 | 2 | 1 | 51-13 | 38 |
| 3. საპოვნელა | 15 | 9 | 3 | 3 | 30-12 | 30 |
| 4. დინამო 2 (თბ) | 16 | 8 | 3 | 5 | 39-20 | 27 |
| 5. ალგეთი | 15 | 8 | 1 | 6 | 23-16 | 25 |
| 6. გაგრა | 16 | 6 | 6 | 4 | 28-18 | 24 |
| 7. მეშახტე | 15 | 6 | 4 | 5 | 26-21 | 22 |
| 8. ჩხერიმელა | 15 | 5 | 3 | 7 | 21-33 | 18 |
| 9. სქური | 16 | 4 | 2 | 10 | 16-36 | 14 |
| 10. იმერეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 13-35 | 12 |
| 11. კახეთი | 16 | 3 | 2 | 11 | 16-38 | 11 |
| 12. მერცხალი | 16 | 3 | 2 | 11 | 11-34 | 11 |
| 13. ადელი | 16 | 3 | 2 | 11 | 16-47 | 11 |

**მომდევნო ტური**

**23 მარტი**

გაგრა-ჩხერიმელა
დინამო 2 (თბ)-ალგეთი
ადელი-მეშახტე
იმერეთი-კახეთი
სქური-მერცხალი

**24 მარტი**

შუქურა-საპოვნელა

### B ზონა

**სტუ-საბურთალო 3:0**

18.03. თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი

1:0 გ. ჯიშკარიანი (14), 2:0 ი. ქავთარაძე (84-პენ), 3:0 ი. ქავთარაძე (83)

სტუ: ჯ. ასონგი, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭაეჭავაძე, დ. ქიმერიძე (89. ნ. მაღრაძე), გ. ჯიშკარიანი (84. გ. თვალავაძე), ო. გაგნიძე, შ. გვაზავა, კ. კახაბრიშვილი (80. ს. მიქაუტაძე), თ. მოგელაძე, ი. ქავთარაძე (845. ს. ჯოლოფი), ვ. რობაქიძე (87. ა. ლაცაბიძე).

სათადარიგოები: მ. გოგატიშვილი, გ. ჯოლოგუა

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

საბურთალო: ბ. ქურდაძე, გ. მარგველაშვილი, დ. ჩომახიძე (80. გ. მამუჩიშვილი), თ. სტეფნიაშვილი, გ. თევზაძე, რ. ბარამიძე (46. ი. ბეროშვილი), გ. ხორხელი (56. გ. ნივილაშვილი), ვ. მამუჩაშვილი, ი. ბიძინაშვილი, რ. გოცირიძე, გ. ჩაბრაძე (35. ლ. ლარკი).

სათადარიგოები: ი. რუხაძე, ლ. ბლიაძე, ლ. კუპატაძე

მწვრთნელი: თემურ შალამბერიძე

გაფრთხილება: დ. ქიმერიძე - დ. ჩომახიძე

არბიტრი: ჯ. ხორავა

**სამგურალი-სულორი 3:0**

18.03. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 გ. ბუხაიძე (25-პენ), 2:0 გ. ბუხაიძე (51), 3:0 ზ კუხალაშვილი (90)

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ბ. ბიბილაშვილი (87. გ. ლობჟანიძე), ზ. სალინაძე, ნ. შალამბერიძე, უ. ბანძელაძე, ხ. უგრეხელიძე, ა. მეტონიძე (90. თ. ჯანაშია), ი. ხვადაგიანი (75. ო. ჩინჩალაძე), გ. ამბროლაძე (83. ზ. კუხალაშვილი), გ. ბუხაიძე (85. თ. ბრეგვაძე), გ. თევდორაძე.

სათადარიგოები: ბ. ფანცხავა, ბ. ხაჭიპერაძე

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

სულორი: გ. ბერძენაძე, ბ. ბელქანია, ლ. გაბუნია, ნ გიორგაძე, თ. ძაგნიძე, გ. ბრეგვაძე, გ. ნიკოლეიშვილი (46. ჯ. პაპავა), გ. ხეცურიანი (70. მ. ნაფეტვარიძე), დ. ივანიაძე, ბ. სულაბერიძე, დ. კუჭუხიძე.

სათადარიგოები: ი. გიორგაძე, გ. გენძეხაძე, გ. თევზაძე, ს. თვალავაძე, თ. მატარაძე

მწვრთნელი: გიორგი კუტივაძე

გაფრთხილება: მ. ბუხაიძე, ბ. ბელქანია, დ. ივანიაძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**მაჭახელა-სამტრედია 0:0**

18.03. ხელვაჩაური. ცენტრალური

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, გ. კაჭკაჭიშვილი, ლ. რამიშვილი, მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ხოხონიშვილი (87. დ. რაფავა), ა. ლაბაძე, ნ. შონია, ა. ლორია, დ. დოლიძე (90. ნ. ქორიძე).

სათადარიგოები: კ. აკმელი, გ. ჩხიკვიშვილი, გ. ფალავანდიშვილი, გ. სირაბიძე, ზ. ანანიძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, თ. კაკუშაძე, თ. შალიკაშვილი, გ. პაჭკორია, თ. კიკაბიძე, ლ. ბაკურაძე, შ. კერძევაძე (87. თ. მოსიაშვილი), ი. პაელიაშვილი (81. ა. ჯანელიძე), ზ. ქანთარია (90. ზ ქურდობაძე), ა. ბაგაშვილი (56. გ. მელქაძე).

სათადარიგოები: ა. დვალიშვილი, ს. გოგია, მ. გოგიაშვილი

მწვრთნელი: გელა სანაია

გაფრთხილება: ნ. შონია, გ. კაჭკაჭიშვილი - თ. შალიკაშვილი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**ბახმარო-სასკო 0:2**

18.03. ჩოხატაური. გორის პაიჭაძე

0:1 გ. მანწკავა (45), 0:2 გ. რეხვიაშვილი (55)

ბახმარო: გ. ძძამია, გ. ბერიშვილი, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, გ. შათირიშვილი, ლ. ჯანგიძე, მ. გიორგაძე, დ. მამუდოვი, გ. ტუხაშვილი, ლ. მაჭავარიანი (76. ლ. ცენტერაძე,) ხ. დიდია.

სათადარიგოები: ა. შონია, გ. კუჭავა, ჯ. კალანდაძე, ლ. ნაკაშიძე, თ. ბაზლაძე, დ. ჩაჩუა

მწვრთნელი: რამაზ უჯმაჯურიძე

სასკო: ლ. ბრაჭული, გ. სეფიაშვილი, დ. გაგნიძე, ა. ინწკირველი, ა. სოფრომაძე, დ. დილმელაშვილი, გ. მანწკავა, გ. ქუცურუა (73. გ. შენირული), გ. არახამია, გ. ჯოხაძე, რ. რეხვიაშვილი (62. რ. ჯიქია).

სათადარიგოები: გ. სარჯველაძე, ა. ნონოხი

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

გაფრთხილება: პ. ანტვეე, ლ. მაჭავარიანი - ლ. ბრაჭული, დ. დილმელაშვილი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**დინამო (ბთ)-კოლხეთი (ხ) 6:0**

18.03. ქობულეთი. ჩოლო-არენა

1:0 ა. მუჯირი (16), 2:0 ბ. ჭკუასელი (32), 3:0 გ. გავაშელიშვილი (35), 4:0 ვ. თევდორაძე (70), 5:0 ი. სიხარულიძე (74), 6:0 ი. სიხარულიძე (81)

დინამო (ბთ): მ. ალავიძე, ვ. ქორიძე, გ. გავაშელიშვილი, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, გ. გოგიტიძე, ა. მუჯირი (62. ვ. თევდორაძე), ბ. ჭკუასელი (46. ნ. არშბა), ნ. კიკნაველიძე (66. გ. მაკარიანი), ა. აბუსელიძე (46. ი. ჩირიკაშვილი), გ. ფიფია (46. ი. სიხარულიძე).

სათადარიგოები: გ. თებიძე, ბ. ტეტუნაშვილი

მწვრთნელი: შოთა ქეიშვილი

კოლხეთი (ხ): ლ. ჭურლულია (78. ზ. გელაშვილი), გ. გოგენია, რ. ონიანი, ც. ბუკია, ლ. ვართაგავა, ვ. ფირცხელავა (76. ლ. გოგენია), პ. გაბრავა (74. ლ. ქაშიბაძე), ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, თ. ღლონტი (46. გ. ლომაია), ი. გერგაია (79. გ. ბუცხრიკიძე).

სათადარიგოები: კ. გოგენია, მ. ლატარია

მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: ა. მუჯირი - გ. პაჭკორია, ვ. ფირცხელავა

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**ბეთლემი-დილა 2 1:0**

18.03. ძეძა. ცენტრალური

1:0 ლ. ნინიკაშვილი (45)

ბეთლემი: დ. ხურციძე, ლ. ნინიკაშვილი, ს. კახიძე, რ. ქობულაძე, ა. ფარტენაძე, ვ. დარჩიძე, გ. კახიანი, გ. ბრეგვაძე (38. ე. ერქომაიშვილი), ბ. კახიძე, გ. ქობალია, ი. ბოლქვაძე (56. თ. ჩიჩუა).

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ი. სამნიძე, ჯ. გორგაძე, ლ. სარალიძე, მ. აბულაძე

მწვრთნელი: ემზარ იმნაძე

დილა 2: ს. ზუროშვილი, კ. ლალანიძე, ა. ჩაკვეტაძე (37. ბ. მელიქიძე), ც. ქებურია, მ. აფხაზავა, ლ. ქოჩლაძე, გ. კაშია, კ. მელაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ნ. გაბელია (56. ი. კერძევაძე), გ. ჯაყელი.

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

გაფრთხილება: გ. კახიანი, ე. ერქომაიშვილი - გ. კაშია, გ. გაფრინდაშვილი

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**ჭიათურა-ლოკომოტივი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 17 | 13 | 2 | 2 | 32-14 | 41 |
| 2. დინამო (ბთ) | 17 | 12 | 1 | 4 | 33-11 | 37 |
| 3. მაჭახელა | 17 | 10 | 5 | 2 | 29-12 | 34 |
| 4. სასკო | 17 | 10 | 2 | 5 | 30-13 | 32 |
| 5. ჭიათურა | 16 | 10 | 1 | 5 | 27-19 | 31 |
| 6. სამგურალი | 17 | 7 | 4 | 6 | 30-28 | 25 |
| 7. ბეთლემი | 17 | 7 | 2 | 8 | 20-22 | 23 |
| 8. საბურთალო | 17 | 6 | 3 | 8 | 24-23 | 21 |
| 9. ლოკომოტივი | 16 | 6 | 2 | 8 | 31-25 | 20 |
| 10. სტუ | 17 | 6 | 2 | 9 | 32-32 | 20 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 17 | 5 | 4 | 8 | 20-38 | 19 |
| 12. დილა 2 | 17 | 5 | 3 | 9 | 19-30 | 18 |
| 13. ბახმარო | 17 | 0 | 7 | 10 | 14-41 | 7 |
| 14. სულორი | 17 | 1 | 2 | 14 | 8-41 | 5 |

**მომდევნო ტური**

**24 მარტი**

ლოკომოტივი-სტუ
საბურთალო-სამგურალი
სულორი-დინამო (ბთ)
კოლხეთი (ხ)-ბეთლემი
დილა 2-მაჭახელა
სამტრედია-ბახმარო
სასკო-ჭიათურა

## II ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| ფორვარდი-არაგვი | 0:4 |
| ალაზანი-დურუჯი | 1:0 |
| ჰერეთი/საქ.უნ-მარკ სტარი | 1:3 |
| სასკო 2-ივერია | 1:3 |
| ბორჯომი-გოლიადორი | 1:0 |
| იბერია-აზული | 0:2 |
| ლიახვი-ივერიონი | 1:0 |
| დინამო (სხ)-რუსთავი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 18 | 16 | 2 | 0 | 64-16 | 50 |
| 2. მარკ სტარი | 18 | 15 | 1 | 2 | 72-16 | 46 |
| 3. ლიახვი | 18 | 12 | 5 | 1 | 47-22 | 41 |
| 4. ჰერეთი | 18 | 10 | 4 | 4 | 52-28 | 34 |
| 5. ივერია | 18 | 10 | 2 | 6 | 45-32 | 32 |
| 6. არაგვი | 18 | 7 | 6 | 5 | 40-28 | 27 |
| 7. აზული | 18 | 7 | 3 | 8 | 25-31 | 24 |
| 8. გოლიადორი | 17 | 7 | 1 | 9 | 40-42 | 22 |
| 9. დურუჯი | 18 | 6 | 2 | 10 | 25-35 | 20 |
| 10. დინამო (სხ) | 16 | 6 | 1 | 9 | 24-39 | 19 |
| 1. ალაზანი | 18 | 5 | 4 | 9 | 26-39 | 19 |
| 12. რუსთავი | 17 | 5 | 2 | 10 | 32-62 | 17 |
| 13. ივერიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 26-35 | 17 |
| 14. ფორვარდი | 18 | 4 | 3 | 11 | 22-48 | 15 |
| 15. იბერია | 17 | 3 | 1 | 13 | 23-59 | 10 |
| 16. სასკო 2 | 18 | 2 | 2 | 14 | 16-48 | 8 |

### დასავლეთი ზონა

**XIII ტური**

| | |
|---|---|
| დინამო 2 (ბთ)-საირმე | 2:1 |
| მერცხალი 2-მარგვეთი | 0:2 |
| კოლხეთი 2 (ხ)-შუქურა 2 | 3:0 |
| ქუთაისი-რაჭა | 1:3 |
| ლაზიკა-საპოვნელა 2 | 1:0 |
| სამეგრელო-კოლხეთი 2 (ფ) | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 13 | 11 | 1 | 1 | 35-5 | 34 |
| 2. მარგვეთი | 13 | 8 | 3 | 2 | 33-17 | 27 |
| 3. ეგრისი | 12 | 9 | 0 | 3 | 29-15 | 27 |
| 4. რაჭა | 13 | 8 | 1 | 4 | 23-22 | 25 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 13 | 7 | 3 | 3 | 26-17 | 24 |
| 6. შუქურა 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 21-24 | 20 |
| 7. კოლხეთი 2 (ფ) | 13 | 6 | 1 | 6 | 22-23 | 19 |
| 8. ქუთაისი | 13 | 5 | 3 | 5 | 32-25 | 18 |
| 9. კოლხეთი 2 (ხ) | 13 | 5 | 2 | 6 | 21-18 | 17 |
| 10. საპოვნელა 2 | 13 | 5 | 1 | 7 | 26-28 | 16 |
| 11. საირმე | 13 | 4 | 1 | 8 | 22-28 | 13 |
| 12. მერცხალი 2 | 13 | 0 | 1 | 12 | 8-35 | 1 |
| 13. სამეგრელო | 13 | 0 | 1 | 12 | 4-45 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# როცა არის პირლო

## სანთებელები, მაშხალები, ლუდის ჭიქები მოედანზე

| | |
|---|---|
| **ანჟი (რუსეთი)-ალკმაარი (ჰოლანდია)** | **0:0 (0:1)** |
| **გაძევება:** მკრტიჩიანი (93. ანჟი) | |
| გია გრიგალავამ (ანჟი) 90 წუთი ითამაშა | |
| **ბენფიკა (ლისაბონი)-ტოტენჰემი (ინგლისი)** | **2:2 (3:1)** |
| **გოლები:** 1:0 გარაი (34), 1:1 ჩადლი (78), 1:2 ჩადლი (79), 2:2 ლიმა (95-პენ) | |
| **ფიორენტინა (იტალია)-იუვენტუსი (იტალია)** | **0:1 (1:1)** |
| **გოლი:** 0:1 პირლო (71) | |
| **გაძევება:** როდრიგესი (69. ფიორენტინა) | |
| **პლზენი (ჩეხეთი)-ლიონი (საფრანგეთი)** | **2:1 (1:4)** |
| **გოლები:** 0:1 გომისი (45), 1:1 კოლარი (60), 2:1 ტეცლი (62) | |
| ტეცლმა (პლზენი) 70-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი | |
| **ვალენსია (ესპანეთი)-ლუდოგორეცი (ბულგარეთი)** | **1:0 (3:0)** |
| **გოლი:** 1:0 ალკასერი (59) | |
| **ბეტისი (ესპანეთი)-სევილია (ესპანეთი)** | **0:2 (2:0) დ.დ. 3:4 პენ** |
| **გოლები:** 0:1 რეიესი (20), 0:2 ბაკა (75) | |
| **ნაპოლი (იტალია)-პორტუ (პორტუგალია)** | **2:2 (0:1)** |
| **გოლები:** 1:0 პანდევი (21), 1:1 ლილასი (69), 1:2 კვარეჟმა (76), 2:2 საპატა (92) | |
| **ზალცბურგი (ავსტრია)-ბაზელი (შვეიცარია)** | **1:2 (0:0)** |
| **გოლები:** 1:0 სორიანო (22), 1:1 შტრელერი (51), 1:2 საურო (60) | |
| **გაძევება:** სუხი (9. ბაზელი), ალანი (86. ზალცბურგი) | |



გია გრიგალავამ კი მოუგო I მატჩში გადამწყვეტი გოლის ავტორ არონ იოჰანსონს საჰაერო დუელი, მაგრამ მისი გუნდი ევროპალიგას გამოეთიშა

**გაირკვა 8 კლუბის ვინაობა, რომლებიც ევროპალიგის ტიტულისთვის აგრძელებენ ბრძოლას: „ვალენსია", „იუვენტუსი", „ბენფიკა", „ალკმაარი", „ლიონი", „პორტუ", „ბაზელი" და „სევილია".**

როგორც ხედავთ, ევროპალიგა (და საერთოდ ევროთასები) ამ სეზონში ქართველი ფეხბურთელის გარეშე დარჩა. **გია გრიგალავას** „ანჟიმ" „რამენსკოეს" ყინვაში ვერ დაჯაბნა წელინადის ამ დროს სიცივეს შეუჩვეველი ჰოლანდიური „ალკმაარი", 0:0 ეთამაშა და ორი მატჩის ჯამში გზა მეტოქეს დაუთმო. პირველი მატჩისგან განსხვავებით, გრიგალავამ არა მარტო შეუცვლელად ითამაშა (პირველში დისკვალიფიკაცია ჰქონდა), არამედ ქართველ მცველს მისთვის უცნაური საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებიც დაეკისრა. თავის მხრივ, ჩვენებურმა ურიგოდ არ ითამაშა, იყო პირველი ტაიმის ბოლოს ეპიზოდი, როცა ის აშკარად გადაურჩა წითელ ბარათს, მაგრამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

დიდ ინტერესს იწვევდა იტალიური დაპირისპირება **ვინჩენცო მონტელას** „ფიორენტინასა" და **ანტონიო კონტეს** „იუვენტუსს" შორის. პირველი შეხვედრა 1:1 დასრულდა, ასე რომ, მასპინძლებს წინსვლის კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ სტუმრებს ჰყავთ გენიალური ფეხბურთელი - **ანდრეა პირლო**. პირლომ ახლახან იტალიის ჩემპიონატში ბრწყინვალე საჯარიმოთი მოუტანა გამარჯვება „ბებერ ქალბატონს", ამჯერადაც, იგივე გამეორდა - 71-ე წუთზე მან „ვიოლას" კარში ბრწყინვალე საჯარიმო გაიტანა. ალსანიშნავია, რომ ამ ჯარიმას მასპინძელი **გონსალო როდრიგესის** გაძევება უძღოდა წინ.

„ბენფიკას" ლონდონში 3:1 ჰქონდა მოგებული, მაგრამ შერეული შემადგენლობით მოასპარეზე „ტოტენჰემთან" მატჩში მაინც გვარიანად ანერვიულა ქომაგი. არადა, 34-ე წუთზე **ესეკიელ გარაიმ** თავურით ანგარიში გახსნა და პორტუგალიელები ორი მატჩისჯამში 4:1 დააწინაურა, მაგრამ მეორე ტაიმში რამდენიმე წამის ინტერვალით **ნასერ ჩადლიმ** ორი გოლი გაუტანა მასპინძლებს, ერთიც თამაშს დამატებით დროში გადაიყვანდა. ყველაფერი მხოლოდ 95-ე წუთზე დაწყნარდა, როცა **ლიმამ** პენალტი შეასრულა ლონდონელთა კარში - 2:2.

„ვალენსიას" დაპირისპირება ბულგარეთის ჩემპიონ „ლუდოგორეცთან" ინტრიგას აღარ შეიცავდა („ღამურებმა" სტუმრად 3:0 მოიგეს), ამიტომაც „ლოს ჩემ" 1:0 მოგება იკმარა „მესტალიაზე". **პაკო ალკასერი** დიდებულ ფორმაშია, ახალგაზრდა ფორვარდმა გამარჯვების გოლი თავურით გაიტანა.

**დუშან უჰრინის** „პლზენმა" კინაღამ შეძლო სასწაულის მოხდენა „ლიონთან" მატჩში. სტუმრად 1:4 მარცხის მერე, ჩეხებმა ტაიმის მინურულს შინაც გაუშვეს. მაგრამ მეორე ტაიმში 2-წუთიან მონაკვეთში ორი გოლი გაიტანეს, ხოლო 70-ე წუთზე პენალტი გააფუჭეს, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა ამ დაპირისპირებაში. **სტანისლავ ტეცლმა** პენალტი გაანიავა და მატჩის ანტიგმირი გახდა.

გვიან გამართული შეხვედრებიდან კინაღამ ჩაიშალა „ზალცბურგი"-"ბაზელის" მატჩი. 22-ე წუთზე ესპანელმა **ხონათან სორიანომ** მასპინძლები დააწინაურა, რამაც ალაშფოთა სტუმართა გუნდის ფანები და მათ მოედანს მაშხალები და სხვადასხვა საგნები (სანთებლები, ლუდით სავსე პლასტიკური ჭიქები) დაუშინეს. ხუთი წუთი მატჩი შეწყვეტილი იყო, შემდეგ კი ისევ განახლდა. ათკაციანმა „ბაზელმა" (შვეიცარიელებს ფეხბურთელი ჯერ კიდევ მე-9 წუთზე გაუძევეს) მაინც გაათანაბრა - 51-ე წუთზე თავი **მარკო შტრელერმა** გამოიჩინა. ეს ანგარიში ხელს უკვე „ბაზელს" აძლევდა. მე-60 წუთზე **გასტონ საურომ** მეორეც გაიტანა მასპინძელთა კარში.

სევილიურ დერბიში, ისევ სტუმრებმა იძალეს - „სევილიამ" გახსნა ანგარიში, მე-20 წუთზე გამოცდილმა **ხუან ანტონიო რეიესმა** ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი „ბეტისის" კარში. 75-ე წუთზე **კარლოს ბაკამ** მარცხნიდან ჩაწოდებულს მიუსწრო და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, რომელმაც ასევე ვერაფერი გაარკვია. პენალტების სერია კი სტუმრებმა 4:3 მოიგეს.

ნეაპოლში, „სან პაულოზე" **რაფა ბენიტესის** გუნდმა „პორტუსთან" ჩამორჩენა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში აღმოფხვრა, როცა **გორან პანდევმა გონსალო იგუაინის** ბრწყინვალე პასით გახსნა ანგარიში. მაგრამ მეორე ტაიმში პორტუელმა **ლილასმა** უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა **პეპე რეინას** კარში. 76-ე წუთზე **რიკარდო კვარეჟმამაც** გაიტანა და ყველაფერი აქ დასრულდა. საბოლოოდ, „ნაპოლიმ" მაინც არ წააგო (2:2), მაგრამ ის ევროპალიგას დაემშვიდობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXX ტურის წინ

# ბლანმა მწვრთნელობა უნდა დაამტკიცოს

სულ ცოტა ხნის წინ, „ლორიანის" მარადმწვანე მწვრთნელმა **კრისტიან გურკუფმა ლორან ბლანზე** თქვა მას მწვრთნელად ვერ ალვიქვამ, რადგან ვარჯიშებს ის არ ხელმძღვანელობს, ამით მისი თანაშემწეა დაკავებული, ხოლო ადამიანს რომელიც ვარჯიშებს არ გეგმავს და პროცესში არ მონაწილეობს, მწვრთნელს ვერ დავარქმევო. ვნახოთ, მინდორზე როგორ უპასუხებს ვიზავის ბლანი. ლორიანელთა საქმეს კი მნიშვნელოვნად ართულებს ის, რომ საუკეთესო ბომბარდირი **ვენსან აბუბაქარი** ტრავმირებულია.

მეორე და მესამეადგილოსანი გუნდები, შესაბამისად „მონაკო" და „ლილი" ერთმანეთს ხვდებიან. ძნელი წარმოსადგენია, რომ **რენე ჟირარს** მონაკოელთა დაწევის იმედი კიდევ ჰქონდეს, იგი პრაგმატული ადამიანია და რეალობისთვის თვალის გასწორება არ უჭირს, მაგრამ ფაქტია, ქულები მაინც მის გუნდს უფრო სჭირდება, რადგან ლილელებს მესამე ადგილი აქვთ შესანარჩუნებელი. **კლაუდიო რანიერი** ალბათ ძირითადში დააყენებს **დიმიტარ ბერბატოვს**, რადგან ბულგარელი აშკარად უმატებს, წინა ტურში „ლიონთან" ბრწყინვალე იყო (გოლი და ორი საგოლე გადაცემა) და ამჯერაც შეეცდება თავის გამოჩენას. საინტერესოა, რომ „ლილს" „მონაკოსთვის" ბოლო 7 ურთიერთდაპირისპირებიდან 6 აქვს მოგებული.

„სენტ ეტიენმა" ზედიზედ ორი მატჩი კი წააგო, მაგრამ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის და თუ „სოშოს" შინ მოუგებს, ხოლო „მონაკო" შინ არ დამარცხდება „ლილთან", რისი შანსიც დიდია, სხვაობა შემცირდება და **კრისტოფ გალტიეს** გუნდს ისევ კარგი შანსი გაუჩნდება. „მწვანეების" ერთადერთი დანაკლისი **ფლორენტინ პოგბაა**, ხოლო სტუმრები ბევრ ფეხბურთელს მოისაკლისებენ, „მარსელიდან" ნათხოვარი **ჟორდან აიუს** თამადობით. თუმცა მონბელიარელებს, რომლებსაც გადარჩენის მიზერული შანსი გაუჩნდათ დასაკარგი არაფერი აქვთ და ბოლომდე უნდა იბრძოლონ და ეგებ სასწაულიც მოახდინონ. საინტერესოა ის, რომ „სოშომ" „ჟოფრუა გიშარზე" ბოლო სტუმრობა სენსაციური ტრიუმფით დაასრულა.

## ბრძოლა ევროზონისთვის

გრძელდება ბრძოლა ევროპალიგის საგზურებისთვისაც. „მარსელი" საკუთარ „ველოდრომზე" „რენს" მასპინძლობს და ამ გუნდებს საერთო ის აქვთ, რომ სამი მატჩია, მოგების გარეშე არიან, მაგრამ სხვაობა ისაა, რომ ბრეტონელებმა სამივე წააგეს, ხოლო მარსელელებმა ერთი ფრე მოახერხეს. მასპინძლებს ევროზონაში მოხვედრა უნდათ და მოგება სჭირდებათ, მაგრამ ქულები უკვე ჰაერივით ესაჭიროებათ რენელებსაც, რომლებმაც საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ახლა გასავარდნ ზონას ოდენ 3 ქულით უსწრებენ.

ძალიან მძიმე გასვლა ელოდება გენგამში „ლიონს". **რემი გარდის** გუნდმა წინა ტურში „მონაკოსთან" წაგებით მესამე ადგილზე გასვლის შანსი ალბათ საბოლოოდ დაკარგა და ახლა ხუთეულშიც რომ არ დაკარგოს ადგილი, ყურადღებით უნდა იყოს. თუმცა ფორმაში შესულ „გენგამთან" თამაში ადვილი მართლაც არ იქნება. მასპინძლებს უკანასკნელი 4 მატჩიდან 3 მოგებული აქვთ, სხვათა შორის, „გენგამს" უშუალოდ „ლიონთან" ჩატარებული ბოლო 4 შეხვედრიდანაც 3 აქვს მოგებული.

„ბორდო", რომელსაც 3 ტურია გამარჯვების გემო აღარ იცის, „ნიცას" მასპინძლობს, რომელსაც მიყოლებით ორი თამაში აქვს მოგებული. თუმცა ფავორიტები მაინც ჟირონდელები არიან და თუ ამ თამაშში ვერ იმარჯვეს, ევროპალიგის საგზურისთვის სავარაუდოდ, ხელის დაქნევა მოუწევთ. „ბორდოს" ნიცელებთან ზედიზედ 2-ჯერ სამი ქულა კი აქვს აღებული, მაგრამ ორივე შემთხვევაში გასვლაზე, შინ კი მეტოქე ასევე 2 თამაშია, არ დაუმარცხებია.

სეზონის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა „რეიმსი" კორსიკაზე ხუთმატჩიანი მოუგებელი სერიის მქონე „ბასტიას" გაეჯიბრება. სტუმრებისთვის ეს დიდი გამოწვევა და გამოცდაა, თუ ისინი 3 ქულას მოიპოვებენ, მერე უკვე მართლა სერიოზულად შეგვიძლია ევროზონასთან მიმართებაში მათ შანსებზე ვისაუბროთ.

**გიორგი კაკაბაძე**

| | |
|---|---|
| **21 მარტი** | |
| ლორიანი-პსჟ | 23:30 |
| **22 მარტი** | |
| მარსელი-რენი | 20:00 |
| ბორდო-ნიცა | 23:00 |
| ბასტია-რეიმსი | 23:00 |
| ტულუზი-ევიანი | 23:00 |
| ნანტი-მონპელიე | 23:00 |
| ვალანსიენი-აიაჩო | 23:00 |
| **23 მარტი** | |
| სენტ ეტიენი-სოშო | 17:00 |
| გენგამი-ლიონი | 20:00 |
| მონაკო-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 29 | 21 | 7 | 1 | 69-18 | 70 |
| 2. მონაკო | 29 | 18 | 8 | 3 | 49-24 | 62 |
| 3. ლილი | 29 | 15 | 8 | 6 | 33-18 | 53 |
| 4. სტ. ეტიენი | 29 | 14 | 6 | 9 | 38-26 | 48 |
| 5. ლიონი | 29 | 12 | 9 | 8 | 44-35 | 45 |
| 6. მარსელი | 29 | 12 | 8 | 9 | 39-31 | 44 |
| 7. რეიმსი | 29 | 11 | 10 | 8 | 38-37 | 43 |
| 8. ტულუზი | 29 | 11 | 9 | 9 | 37-40 | 42 |
| 9. ბორდო | 29 | 11 | 8 | 10 | 36-34 | 41 |
| 10. ნიცა | 29 | 11 | 4 | 14 | 26-33 | 37 |
| 11. ბასტია | 29 | 10 | 7 | 12 | 31-43 | 37 |
| 12. ლორიანი | 29 | 10 | 6 | 13 | 36-40 | 36 |
| 13. გენგამი | 29 | 9 | 8 | 12 | 28-30 | 35 |
| 14. მონპელიე | 29 | 6 | 16 | 7 | 34-34 | 34 |
| 15. ნანტი | 29 | 9 | 6 | 14 | 25-32 | 33 |
| 16. რენი | 29 | 7 | 10 | 12 | 34-37 | 31 |
| 17. ევიანი | 29 | 7 | 9 | 13 | 28-44 | 30 |
| 18. ვალანსიენი | 29 | 7 | 7 | 15 | 30-46 | 28 |
| 19. სოშო | 29 | 6 | 7 | 16 | 25-50 | 25 |
| 20. აიაჩო | 29 | 2 | 9 | 18 | 25-53 | 15 |

**ბომბარდირები:** 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 14 - ედინსონ კავანი (პსჟ); 13 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 12 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 11 - ვისამ ბენ იედერი (ტულუზი).



ლორან ბლანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# ბრაზილიელებს ისევ არ გაუმართლათ

**IV ჯგუფი**

**ატლ. მინეირო-ნასიონ (ა) 1:1**

გოლები: 1:0 რონალდინიო (20-პენ), 1:1 მ. რივეროსი (37)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. ნასიონალი (ა) | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 3. სანტა ფე | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |
| 4. სამორა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |

**VI ჯგუფი**

**ნიუელსი-გრემიო 1:1**

გოლები: 1:0 მაქსი როდრიგესი (79), 1:1 როდოლფო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრემიო | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 2. ატლ. ნასიონალი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 3. ნიუელსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-2 | 5 |
| 4. ნასიონალი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

**VII ჯგუფი**

**ბოლივარი-ფლამენგო 1:0**

გოლი: 1:0 ხ. არსე (5-პენ)

**ლეონი-ემელეკი 3:0**

**გოლები:** 1:0 მ. ბრიტოსი (20), 2:0 ხ. ვასკესი (82-პენ), 3:0 კ. პენია (86)

**გაძევება:** ლასტრა (45. ემელეკი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეონი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 2. ემელეკი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-8 | 6 |
| 3. ბოლივარი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 4. ფლამენგო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |

**VIII ჯგუფი**

**პენიაროლი-არსენალი 2:1**

**გოლები:** 0:1 ი. მარკონე (54), 1:1 ლ. აგიარი (70), 2:1 ხონათან როდრიგესი (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტოს ლაგუნა | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| 2. არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-3 | 6 |
| 3. პენიაროლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. დეპ. ანსოატეგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 3 - ევერტონი (ფლამენგო), ჟო (ატლეტიკო მინეირო), ხულიო დოს სანტოსი (სერო პორტენიო), ესკალადა (ემელეკი), ფელიპე გედოსი (დეფენსორი), რიკარდო გულარტი (კრუზეირო), ფალკონი (სამორა), ხ. ფერეირა (ბოტაგოფო), ო. პერალტა (სანტოს ლაგუნა), ო. პერესი (სანტა ფე)

„პენიაროლმა" მიმდინარე ლიბერტადორესის თასზე პირველი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. ურუგვაელებმა, სარანდის „არსენალთან" რამდენიმე დღის წინ განცდილი მარცხისთვის რევანში აიღეს, თუმცა თავიდან სწორედ „არსენალი" დაწინაურდა - **ივან მარკონემ** ანგარიში მეორე ტაიმის დებიუტში გახსნა. მასპინძლები არგენტინაში ნათამაშებმა **ლუის აგიარმა** და 20 წლის **ხონათან როდრიგესმა** იხსნეს - 11-წუთიანი მონაკვეთში ორი გოლი გაიტანეს და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანეს.

მორიგი სათამაშო დღე უიღბლო გამოდგა ბრაზილიელებისთვის. „ატლეტიკო მინეირომ" საკუთარ მოედანზე ასუნსიონის „ნასიონალს" ვერ მოუგო, არადა მე-20 წუთზე **რონალდინიოს** მიერ ზუსტად შესრულებული პენალტის წყალობით დაწინაურდა კიდეც. ტურნირის მოქმედმა გამარჯვებულმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ, ქულით დაკმაყოფილდა.

ასევე ფრედ დასრულდა მთლიანად ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი „ნიუელს ოლდ ბოისსა" და „გრემიოს" შორის. გუნდებმა შეხვედრის ბოლოს გამოიღვიძეს და ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს. ანგარიში მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე **მაქსი როდრიგესმა** გახსნა, არბიტრის მიერ დამატებულ პირველ წუთზე კი თავი **როდოლფომ** გამოიჩინა, რომელსაც საგოლე პასი არგენტინელმა **ერნან ბარკოსმა** გაუკეთა.

„ფლამენგომ" კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხი განიცადა. ლა პასში თამაში რომ ყველას უჭირს, კარგად მოგეხსენებათ. გამონაკლისი არც ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბი გამოდგა, რომელმაც „ბოლივართან" მინიმალური ანგარიშით წააგო და ჯგუფში ბოლო ადგილზე გადაინაცვლა.

**ტატო ბაციკაძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის წინ




# ჩემპიონობა მარტში?

## ოღონდ, ბაიერნს დორტმუნდი და შალკე უნდა დაეხმარონ...

**21 მარტი**

**ფრაიბურგი-ვერდერი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფერნანდესი (ფრაიბურგი)

**ტრავმა:** ჰიოფლერი, პილარი, ფრაისი - გარსია

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 29 თამაში: +6=4-19, (37:73)**

**22 მარტი**

**შალკე-ბრაუნშვაიგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** აოგო, ფელიპე სანტანა, ფუხსი, ჰიოვედესი, კირხჰოფი, უჩიდა, კლემენსი, ჰიოგერი, ფარფანი - პეტკოვიჩი, ერვიგ-დრიუპელი, ხელიფი, კორტე, იორლი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 37 თამაში: +9=11-17, (49:64)**

**შტუტგარტი-ჰამბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰარნიკი (შტუტგარტი)

**ტრავმა:** კირშბაუმი, დიდავი, როხასი, სარარერი, აბდელაუ - ჯურუ, იანსენი, რაიკოვიჩი, დემირბაი, ბაისტერი

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 97 თამაში: +34=21-42, (152:147)**

**ჰანოვერი-დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ანდრეასენი (ჰანოვერი)

**ტრავმა:** ფელიპე, მ. დიუფი, ა. ზობიეხი - შმელცერი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +4=0-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 45 თამაში: +10=14-21, (65:98)**

**ვოლფსბურგი-აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** თიოლკე, ვიეირინია - ვერჰეგი, მორავეკი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 5 თამაში: +1=2-2, (4:6)**

**მაინცი-ბაიერნი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბაუმგარტლინგერი, დ. შაპინი - ბადშტუბერი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 15 თამაში: +3=2-10, (19:41)**

**გლადბახი-ჰერტა 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ნორდტვეიტი (გლადბახი)

**ტრავმა:** ვენდტი - ჩიგერჩი, ლუსტენბერგერი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 51 თამაში: +16=14-21, (74:83)**

**23 მარტი**

**ნიურნბერგი-აინტრახტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჩენდლერი, მარკოს ანტონიო, ნილსონი, გებჰარტი, ჰასებე, გინჩეკი - ანდერსონი, კიტელი, ა. მაიერი, როდე

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 55 თამაში: +14=19-22, (66:83)**

**ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჰეგელერი, კრუსი - ვიზე, აბრაამი, ვუკჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 11 თამაში: +10=1-0, (29:8)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 25 | 23 | 2 | 0 | 74-12 | 71 |
| 2. დორტმუნდი | 25 | 15 | 3 | 7 | 56-29 | 48 |
| 3. შალკე | 25 | 14 | 5 | 6 | 48-36 | 47 |
| 4. ლევერკუზენი | 25 | 14 | 2 | 9 | 41-29 | 44 |
| 5. მაინცი | 25 | 12 | 5 | 8 | 37-38 | 41 |
| 6. ვოლფსბურგი | 25 | 12 | 4 | 9 | 42-39 | 40 |
| 7. გლადბახი | 25 | 11 | 6 | 8 | 43-32 | 39 |
| 8. აუგსბურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 38-36 | 38 |
| 9. ჰერტა | 25 | 10 | 6 | 9 | 35-31 | 36 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 25 | 7 | 8 | 10 | 54-56 | 29 |
| 11. ჰანოვერი | 25 | 8 | 5 | 12 | 34-43 | 29 |
| 12. ვერდერი | 25 | 7 | 8 | 10 | 29-47 | 29 |
| 13. აინტრახტი | 25 | 6 | 8 | 11 | 28-44 | 26 |
| 14. ჰამბურგი | 25 | 6 | 5 | 14 | 41-54 | 23 |
| 15. ნიურნბერგი | 25 | 4 | 11 | 10 | 28-44 | 23 |
| 16. ფრაიბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 26-46 | 22 |
| 17. შტუტგარტი | 25 | 5 | 6 | 14 | 39-52 | 21 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 25 | 4 | 6 | 15 | 20-45 | 18 |

**ბომბარდირები:** 17 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 15 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი); 12 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), თომას მიულერი (ბაიერნი), რაფაელი (გლადბახი).

**ამ სეზონში** მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონობისგან შორს არც ერთი ტურის წინ და არც ერთი ტურის შემდეგ არ ყოფილა, მაგრამ „ვერცხლის სინის" ოფიციალურად განაღდებასთან მიუნხელები ყველაზე ახლოს სწორედ ახლა, 26-ე ტურის წინ არიან. თუ რეკორდმაისტერი შაბათს მაინცში მოიგებს და ამავდროულად „დორტმუნდი" (ჰანოვერში) და „შალკე" (ბრაუნშვაიგთან) ვერ გაიმარჯვებენ, მიუნხენური გრანდი 24-ე ჩემპიონობას ოფიციალურად გაიფორმებს. დაძაბულობა მატულობს ცხრილის სარდაფშიც, სადაც სამი მძაფრი დუელია: „შტუტგარტი" „ჰამბურგს" ხვდება, „ნიურნბერგი" „აინტრახტს", „ფრაიბურგი" კი - „ვერდერს".

ტური დღეს სწორედ ამ შეხვედრით იწყება. როგორც იქნა, ბრაისგაუელებმა გვირაბის ბოლოს სინათლე დაინახეს: 6-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, ფრანკფურტში 4:1 გაიმარჯვეს და ცოტა ხნით შვებით ამოისუნთქეს. ამასობაში „ვერდერიც" გამოსწორდა: ბრემენელებს 5-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და მე-16 ადგილს 8 ქულით მოშორდნენ. გამოდის, რომ დღეს სამ ქულას „ფრაიბურგისთვის" უფრო აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა.

### რას იზამს შალკე?

შაბათს, „ბაიერნთან" ერთად, ყურადღების ცენტრში „შალკეც" იქნება. საქმე ისაა, რომ ერთი მხრივ, გელზენკირხენელები ვერმოგების შემთხვევაში მიუნხენელებს ნაადრევი ჩემპიონობისკენ გზას გაუხსნიან და მეორე მხრივ, „შალკე" მოსისხლე მტერ „დორტმუნდს" მეორე ადგილისთვის ეჭიდავება. საქმე იქამდე მივიდა, რომ „დორტმუნდი" „შალკეს" მხოლოდ ერთი ქულითღა უსწრებს, მომდევნო ტურში კი, რომელიც შუა კვირაში, სამშაბათს და ოთხშაბათს შედგება, სწორედ მათი დიდი დერბია. „შალკეს" ყველაზე კარგ ფორმაში გოლეადორი **კლაას-იან ჰუნტელაარი** ჰყავს, რომელსაც ამ სეზონში გოლის გასატანად საშუალოდ 90 წუთი სჭირდება, რაც კარგი შედეგია. გელზენკირხენელთა მეტოქე „ბრაუნშვაიგი" ისევ ბოლო ადგილზეა, მაგრამ უკვე სამი ტურია, წაგების გემო დაივიწყა. ერთი სიტყვით, გადარჩენისთვის ბრაუნშვაიგელებიც იბრძვიან (როგორც შეუძლიათ) და ბოლო დროს მათი გმირი თავდამსხმელი **კუმბელაა**, რომელმაც აუტსაიდერის ბოლო 9 გოლიდან 6-ში უშუალო მონაწილეობა მიიღო (4 გოლი, 2 პასი).

### დორტმუნდს ტაიფუნი დაატყდება

„ჰანოვერის" თავკაც **ტაიფუნს** „დორტმუნდთან" მატჩის წინ, სავარაუდოდ, ისევ რაღაც-რაღაცების შეცვლა მოუწევს, რადგან **შმიდებახის, ჰუსტის, შლაუდრაფისა** და **რუდნევსის** სახით ოთხი წამყვანი ფეხბურთელის თამაშია საეჭვო. **ლეონ ანდრეასენი** კი ნაღდად ვერ იასპარეზებს, რადგან წინა ტურში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია. დორტმუნდელთა უმთავრესი მიზანი კი, უკვე დიდი ხანია, მხოლოდ მეორე ადგილის შენარჩუნებაა და **იურგენ კლოპის** გუნდს ამ მიზნის მიღწევაც უჭირს. ამავდროულად, თუ „დორტმუნდი" ჰანოვერში მოიგებს, ამით „ბაიერნის" ნაადრევ ჩემპიონობას მინიმუმ ერთი ტურით გადადებს - ოღონდ, მომდევნო ტურში „ბაიერნის" ბედი უკვე „ბაიერნის" ხელში იქნება.

### ბაიერნი: სრული სვლით ვერცხლის სინისკენ

„მაინცმა" წინა ტურში პატარა სასწაული მოახდინა: „ჰოფენჰაიმთან" 0:2-ს აგებდა და 4:2 მოიგო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მაინცელები დიდი სასწაულებისთვისაც მზად არიან? დიდ სასწაულში, რა თქმა უნდა, „ბაიერნთან" არწაგებას ვგულისხმობთ. „ბაიერნის" დამარცხება შეუძლებელია! - ამბობს მაინცელთა მენეჯერი **კრისტიან ჰაიდელი** და დასძენს, - თითქმის შეუძლებელი." არადა, „მაინცს" 5-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს (სამი მოიგო) და ევროპალიგის საგზურს უმიზნებს.

„ბაიერნმა" ბუნდესლიგაში ბოლოს 50 (!) მატჩის წინ წააგო და ზედიზედ 17 მატჩის მოგება შეძლო. იმ ფაქტს, რომ „ბაიერნს" („დორტმუნდისა" და „შალკეს" „დახმარების" შემთხვევაში) გერმანიის ჩემპიონობის განაღდება ახლავე შეუძლია, **თომას მიულერი** ასეთი კომენტარით ეხმაურება: „ეს ცოტათი უცნაურია!"

**გოტფრიდ ლენცი**

ზენიტი

# ვილაშ ბოაში: მინდა, ზენიტი ისე გავალამაზო, როგორც პეტრე I-მა პეტერბურგი

## პორტუგალიელი რუსეთში დიდი ამბიციით მივიდა და დიდ ფულს მიიღებს

**ანდრე ვილაშ ბოაშმა** უკვე მოასწრო „ზენიტსა" და სანკტ-პეტერბურგზე პირველი შთაბეჭდილების შექმნა და თავის მხრივ, პირველი შთაბეჭდილება ფეხბურთელებსაც შეუქმნა საკუთარ თავზე. შეგახსენებთ, რომ 36 წლის პორტუგალიელის კონტრაქტი რუსულ კლუბთან 2016 წლამდე გაფორმდა, ხოლო პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას თუ ვენდობით, იგი წელიწადში 8,5 მილიონ ევროს მიიღებს.

*„არ მგონია, რომ იდუმალებით მოცული რუსული სული პრობლემა შეიძლება იყოს. პირიქით, ვხედავ თუ როგორი ლამაზია პეტერბურგი, ეს ქალაქი პირველად ვნახე და მოხიბლული ვარ. მინდა „ზენიტი" ისეთივე ლამაზი გავხადო, როგორი ლამაზიც პეტრე I-მა გახადა პეტერბურგი. სხვათა შორის, დოსტოევსკი წაკითხული მაქვს"* - აი ასე მოაწონა თავი რუსებს ვილაშ ბოაშმა.



ანდრე ვილაშ ბოაში

„ზენიტის" ნახევარმცველი **აქსელ ვიტსელი:** *„ცხადია, ლუჩანო სპალეტი კარგი სპეციალისტია და შეიძლებოდა დარჩენილიყო, მაგრამ მე მიხარია, რომ ვილაშ ბოაში გვითავკაცებს, ვფიქრობ, მასთან ერთად გუნდი ახალ საფეხურზე ავა. ბოაში აქცენტს ბურთის ფლობაზე და მისი დაკარგვისთანავე ართმევაზე თამაშზე აკეთებს, ეს სტილი კი ჩემთვის მისაღები და კომფორტულია, ზუსტად ასე ვთამაშობდი „ბენფიკაში" ყოფნისას ჟორჟე ჟესუსის ხელქვეით".*

ამასობაში, „ზენიტზე" უეფას დისციპლინარულმა კომიტეტმა საქმე აღძრა. სანკტპეტერბურგელთა ფანები „დორტმუნდთან" საპასუხო მატჩისას უწესოდ იქცეოდნენ და „ბორუსიას" დროშაც კი დაწვეს. ამისთვის „ზენიტის" ფანებს სავარაუდოდ, დისკვალიფიკაცია ელით, კლუბი ალბათ ფინანსურადაც დაჯარიმდება. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რუსული გუნდის პრეზიდენტმა **ალექსანდრ დიუკოვმა** განაცხადა, რომ **ხოსე სალომონ რონდონში** მას „რუბინისთვის" 18 მილიონი ევრო არ გადაუხდია, სატრანსფერო თანხა მხოლოდ 12 მილიონი იყო.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXIX ტურის წინ

# მთავარი ბრძოლა ნეაპოლში

## პირველი და ბოლო სიცილიაზე

23.03. ნეაპოლი
სან პაოლო
21:30

**ნაპოლი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=2-0 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 25: +8=7-10, (27-40)

**ფიორენტინა**

სავარაუდო შემადგენლობები

ნაპოლი
რეინა
ფერნანდესი, ალბიოლი
რევეიერი, გულამი
ინლერი, ფრელო
კალეხონი, ჰამშიკი, მერტენსი
იგუაინი

გომესი, ილიჩიჩი
პასკუალი, პისარო, ბ. ვალერო
კუადრადო, ანდერსონი
სავიჩი, გონსალო, ტომოვიჩი
ნეტო
ფიორენტინა

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: ცუნიგა, რაფაელი, მაჯო - ხოაკინი, პეგაზი, როსი, რებიჩი, ფერნანდესი.

### 22 მარტი

**ტორინო-ლივორნო 21.00**

**დისკვალიფიკაცია**; ჟილე - ემეგარა, მბაიე.
**ტრავმა**: ლარონდო, მაზიელო, პასკუალე - ლუჩი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-0-5 | 2-1-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 13 თამაში: +4=4-5, (14-18)

**კიევო-რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია**: ჰეტემაი - დე როსი.
**ტრავმა**: პარედესი, გუანა - ბალცარეტი, სტროტმანი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-0-4 | 3-2-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 23 თამაში: +3=9-11, (15-37)

### 23 მარტი

**პარმა-ჯენოა 15.30**

**დისკვალიფიკაცია**: მანტოვანი - სტურარო.
**ტრავმა**: გარგანო - დონარუმა, კუჩკა, ვრსალკო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 4-2-0 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +4=7-4, (19-16)

**ბოლონია-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია**: კრპინი - პიზანო, კონტი.
**ტრავმა**: კონე, დელა როკა, იბსონი - ადრიანი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-2-3 | 1-2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +8=5-7, (26-22)

**ინტერი-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია**: ჟუან ჟესუსი - ბენალუანი.
]

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 4-2-0 | 3-1-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 31 თამაში: +17=8-6, (55-34)

**სამპდორია-ვერონა 18.00**

**დისკვალიფიკაცია**: არავინ.
**ტრავმა**: კრსტიჩიჩი - გომესი, აგოსტინი, ალფრედსონი.



ვნახოთ, როგორ გაიყრებიან ვინჩენცო მონტელა და რაფაელ ბენიტესი

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-0-3 | 1-2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +3=5-1, (12-8)

**უდინეზე-სასუოლო 18.00**

**დისკვალიფიკაცია**: ბერარდი (სასუოლო).
**ტრავმა**: გაბრიელ სილვა - როზი, ალექსე, აჩერბი, ანტეი, მანფრედინი, ციგლერი, მარონე, პუჩინო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-2-2 | 1-1-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 1 თამაში: +1=0-0, (2-1)

**კატანია-იუვენტუსი 23.45**

**დისკვალიფიკაცია**: პოგბა (იუვენტუსი).
**ტრავმა**: კასტრო, ალმირონი, სპოლი, როლინი - მარკიზიო, ჯოვინკო, ოგბონა, პეპე, პელუზო, ბარცალი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-2-3 | 5-1-0 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +1=6-8, (12-27)

**ლაციო-მილანი 23.45**

**დისკვალიფიკაცია**: აბიატი (მილანი).
**ტრავმა**: ალფარო, პოშტიგა, ედერსონი - ელ შაარავი, პეტანია, მონტოლივო, აბატე, ბონერა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 2-0-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 44 თამაში: +6=18-20, (43-65)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 28 | 24 | 3 | 1 | 64-19 | 75 |
| 2. რომა | 27 | 18 | 7 | 2 | 52-14 | 61 |
| 3. ნაპოლი | 28 | 17 | 7 | 4 | 53-29 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 28 | 14 | 6 | 8 | 48-30 | 48 |
| 5. ინტერი | 28 | 12 | 11 | 5 | 46-29 | 47 |
| 6. პარმა | 27 | 12 | 10 | 5 | 45-31 | 46 |
| 7. ლაციო | 28 | 11 | 8 | 9 | 36-35 | 41 |
| 8. ვერონა | 28 | 12 | 4 | 12 | 43-46 | 40 |
| 9. ატალანტა | 28 | 11 | 4 | 13 | 31-38 | 37 |
| 10. ტორინო | 28 | 9 | 9 | 10 | 39-36 | 36 |
| 11. მილანი | 28 | 9 | 8 | 11 | 41-42 | 35 |
| 12. ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 31-35 | 35 |
| 13. სამპდორია | 28 | 9 | 7 | 12 | 33-42 | 34 |
| 14. უდინეზე | 28 | 9 | 4 | 15 | 32-42 | 31 |
| 15. კალიარი | 28 | 6 | 11 | 11 | 27-38 | 29 |
| 16. კიევო | 28 | 6 | 6 | 16 | 23-41 | 24 |
| 17. ლივორნო | 28 | 6 | 6 | 16 | 31-51 | 24 |
| 18. ბოლონია | 28 | 4 | 11 | 13 | 23-43 | 23 |
| 19. სასუოლო | 28 | 5 | 6 | 17 | 28-56 | 21 |
| 20. კატანია | 28 | 4 | 8 | 16 | 21-49 | 20 |

**ბომბარდირები**: 15 - ტევესი (იუვენტუსი); 14 - როსი (ფიორენტინა); 13 - იმობილე (ტორინო), იგუაინი (ნაპოლი), ტონი (ვერონა), პალასიო (ინტერი); 12 - ბერარდი (სასუოლო), ჯილარდინო (ჯენოა).

**სხვა შემთხვევაში, ტურის ცენტრალურ მატჩად „ლაციო"-"მილანის" დაპირისპირებას მივიჩნევდით, მაგრამ მიმდინარე სეზონში ეს გუნდები საშინლად ასპარეზობენ. ამიტომ, ყველაზე გამორჩეული ჯახი ნეაპოლში შედგება, სადაც „ნაპოლი" „ფიორენტინას" დაუხვდება...**

### ვიოლას ბოლო შანსი

თუ ფლორენციელებს ჯერ კიდევ სურთ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, ნეაპოლში „ნაპოლი" აუცილებლად უნდა დაამარცხონ. ასეთ შემთხვევაში, გუნდებს შორის სხვაობა შვიდი ქულა იქნება და ინტრიგა შენარჩუნდება. სხვა შემთხვევაში, ლიდერთა სამეული საბოლოოდ გამოიკვეთება და „ნაპოლის" მისალოცად ექნება საქმე. თუმცა, თავად ნეაპოლელები მთავარ კონკურენტად არა ფლორენციელებს, არამედ რომაელებს მიიჩნევენ, რადგან **რაფაელ ბენიტესის** გუნდის მიზანი მეორე ადგილის დაკავებაა.

რაფა ტრადიციულ ტაქტიკას აირჩევს და შეეცდება პირველივე წუთებიდან მოიპოვოს უპირატესობა, **ვინჩენცო მონტელა** კი 3-5-1-1 სქემას აირჩევს, სადაც ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის როლი **მარიო გომესს** დაეკისრება. ბოლო შეხვედრებში მარიომ მკვეთრად მოუმატა და უპირველესად, ფლორენციელებს სწორედ მისი ეიმედებათ. ტაქტიკიდან ჩანს, რომ მონტელა ცენტრში შეეცდება გაბატონებას და რადგან მასპინძლებსაც პირველ ნომრად სურთ თამაში, წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს...

### გაჭედილები

მიმდინარე სეზონი არც „ლაციოსთვისაა" წარმატებული, მაგრამ „მილანი" კიდევ უარეს დღეშია. შესაბამისად, ამ ორი გუნდის დაპირისპირება უპირველესად მწვრთნელებისთვისაა შანსი, დროებით მაინც დაადუმონ კრიტიკოსები და ცოტა მაინც გაიმყარონ პოზიციები. მაგალითად, იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე ალაპარაკდნენ, რომ „ლაციოსთან" და შემდეგ, „ფიორენტინასთან" წარუმატებლობის შემთხვევაში, **კლარენს ზეედორფს** პოსტის დატოვება მოუწევს, მის ადგილს კი **მაურო ტასოტი** დაიკავებს.

ორივე გუნდი შეტევაზე ითამაშებს - რომაელთა მთავარი იმედი **მიროსლავ კლოზეა**, მილანელთა კი **მარიო ბალოტელი**. მიროს **კეიტა** და **კანდრევა** დაეხმარებიან, მარიოს კი **ტაარაბტი, კაკა** და **პოლი**. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება...

### ლიდერები გასვლაზე

„იუვენტუსს" ტრავმირებული ფეხბურთელები მოუმრავლდნენ, მაგრამ **ანტონიო კონტეს** ეს დიდად არ უნდა ანაღვლებდეს. „იუვეს" სკუდეტომდე ბევრი არაფერი უკლია და ამ მოკლე გზის გავლა გადახალისებული შემადგენლობითაც სრულიად შესაძლებელია. მით უმეტეს, კონტეს უყვარს ექსპერიმენტები და როტაცია. „კატანიასთან" გასვლით შეხვედრაში „იუვე" **ფერნანდო ლორენტესა** და **პაბლო ოსვალდოსგან** შემდგარი ტანდემით შეუტევს, ნახევარდაცვაში კი სავარაუდოდ **სიმონე პადოინი** და **მაურისიო ისლა** გამოჩნდებიან. „ვეკია სენიორა" რომ გამოკვეთილი ფავორიტია, თქმა არ სჭირდება - ჩახედეთ სატურნირო ცხრილს და ნახავთ, რომ ერთმანეთის პირისპირ პირველი და ბოლო გუნდები წარდგებიან.

ლიდერთაგან პირველი „რომა" ითამაშებს და „კიევოს" გასვლაზე შეასკდება... „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, **რუდი გარსია** ტაქტიკას შეცვლის და გუნდს 4-3-3-დან 4-2-3-1-ზე გადააწყობს. გამოკვეთილი ფორვარდი **ფრანჩესკო ტოტი** იქნება, მოედნის სიღრმიდან კი მას **ჟერვინიო, მირალემ პიანიჩი** და **ალესანდრო ფლორენცი** დაეხმარებიან. ეს უკვე საინტერესოა და ვნახოთ, როგორ გაამართლებს მუსიე რუდის ახალი სქემა.

**ლაშა ნიკლაური**

## ამბები

### შმელცერი ისევ დაშავდა

„დორტმუნდის" დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები გრძელდება. ახლა **იურგენ კლოპს** მინიმუმ 4 კვირით **მარსელ შმელცერის** გარეშე თამაში მოუწევს. 26 წლის ფეხბურთელი ამ სეზონში უკვე იყო ტრავმირებული, ახლა კი ისევ ლაზარეთში ბრუნდება, რადგან „ზენიტთან" მატჩისას საზარდულის ტრავმა მიიღო და ექიმების თქმით, ერთი თვე მაინც იუქმებს, უფრო ზუსტად, მისი დაბრუნების თარიღი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

### ვის აპირებს რომა?

იტალიური „რომას" სპორტულ დირექტორს **ვალტერ საბატინის** საკმაოდ გრძელი სია ჰქონია, რომელშიც „გლადიატორებისთვის" სასურველი ფეხბურთელები შედიან. ამის შესახებ გუნდის ლეგენდა **ფრანჩესკო ტოტიმაც** ისაუბრა. როგორც ირკვევა, „ჯალოროსის" თავდასხმაში პირველ რიგში რომელიმე ბელგიელის **კრისტიან ბენტეკეს** („ასტონ ვილა") ან **რომელუ ლუკაკუს** („ევერტონი") შეძენა ნდომებია. სათადარიგო ვარიანტები არიან - **ვისამ ბენ იედერი** („ტულუზი") და **ალექსანდრ ლაკასეტი** („ლიონი"). ნახევარდაცვის გაძლიერება რომაელებს პირველ რიგში, „ტოტენჰემის" ბრაზილიელი ლეგიონერით **პაულინიოთი** სურთ. რაც შეეხება დაცვას, მთავარი სამიზნე „ნიუკასლის" **დავიდე სანტონია**, მაგრამ სხვა კანდიდატები აქაც არიან - **პაოლო დე ჩელიე** („იუვენტუსი"), **ალექსანდრ ბიუტნერი** („მანჩესტერი"), **ლუკა ანტონელი** („ჯენოა") და **გაბრიელ სილვა** („უდინეზე").

### ჩელსი აზარს ახალ კონტრაქტს სთავაზობს

ლონდონის „ჩელსი" თადარიგს იჭერს და **ედენ აზართან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ბელგიელი ნელნელა უმატებს და არაერთი გუნდია მზად მასში დიდი ფული გადაიხადოს, მაგრამ ახალ კონტრაქტში „ჩელსი" ისეთ სოლიდურ გამოსასყიდ თანხას ჩაწერს, რომ სხვებისთვის ლონდონელების სურვილის გარეშე ბელგიელის შეძენა ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება. თავად 23 წლის შემტევი კი ახალი შეთანხმების მიხედვით, კვირაში 200 ათას ფუნტს მიიღებს.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტურის წინ

# დაუმარცხებელი ჟოზეს წინააღმდეგ

## 22 მარტი

**კარდიფი–ლივერპული 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტეილორი, ჰადსონი, ტერნერი - ხ. ენრიკე

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +5=1-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +11=2-10 (37-35)**

**ევერტონი–სუონსი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გიბსონი, ჯაგიელკა, ოვიედო, კონე, ბერი, პიენაარი, ტრაორე - შელვი, დაიერი, ბარტლი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 10 თამაში: +8=0-2 (22-6)**

**ჰალი–ბრომვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ანელკა, ი. ოლსონი
**ტრავმა:** ბრეიდი, მაკშეინი - იაკობი, ბრანტი, ლუგანო, ამალფიტანო, ჯონსი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +1=3-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 7 თამაში: +2=2-3 (9-10)**

**სიტი–ფულჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** კომპანი -
**ტრავმა:** რიჩარდსი, აგუერო, ნასტასიჩი, იოვეტიჩი - კარაგუნისი, დაფი, ბრიგსი, მიტროღლუ, დეჟაგა, პარკერი, ბენტი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 44 თამაში: +23=11-10 (93-63)**

**ნიუკასლი–პალასი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სანტონი, ბენ არფა, რემი, რ. ტეილორი, ბიგირიმანა, ელიოტი, ობერტანი, დებუში - გებიდონი, შამახი, ბენანი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 17 თამაში: +10=2-5 (25-12)**

**ნორვიჩი–სანდერლენდი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტერნერი, ფერი, გუტიერესი, ბენეტი - ფლეტჩერი, ვესტვუდი


დიდი მწვრთნელების ღიმილის მიღმა დაძაბულობა ყოველთვის იგრძნობა

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 28 თამაში: +13=6-9 (32-34)**

**ვესტ ჰემი–იუნაიტედი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** - ვიდიჩი
**ტრავმა:** ობრაიენი, ბორიელო - ევანსი, სმოლინგი, ერნანდესი, ვან პერსი

ბოლო 6 მატჩი
+4=0-2 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 106 თამაში: +31=24-51 (140-203)**

## 23 მარტი

**ტოტენჰემი–საუთჰემპტონი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** უოლკერი, კაბული, კირიკეში, ლამელა, კაპუ, დემბელე, დოუსონი - დევისი, ლოვრენი, ვანიამა, კორკი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 73 თამაში: +33=17-23 (124-94)**

**ასტონ ვილა–სტოკი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ადამი, უოლტერსი
**ტრავმა:** ოკორე, ჰერდი, კოზაკი, ნზოგბია - პიტერსი, ჰუთი, ასაიდი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +2=3-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 70 თამაში: +29=18-23 (109-81)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 30 | 20 | 6 | 4 | 56-23 | 66 |
| 2. ლივერპული | 29 | 19 | 5 | 5 | 76-35 | 62 |
| 3. არსენალი | 29 | 19 | 5 | 5 | 53-28 | 62 |
| 4. სიტი | 27 | 19 | 3 | 5 | 71-27 | 60 |
| 5. ტოტენჰემი | 30 | 16 | 5 | 9 | 37-38 | 53 |
| 6. ევერტონი | 28 | 14 | 9 | 5 | 40-28 | 51 |
| 7. იუნაიტედი | 29 | 14 | 6 | 9 | 46-34 | 48 |
| 8. საუთჰემპტონი | 30 | 12 | 9 | 9 | 43-37 | 45 |
| 9. ნიუკასლი | 29 | 13 | 4 | 12 | 37-40 | 43 |
| 10. ასტონ ვილა | 29 | 9 | 7 | 13 | 32-38 | 34 |
| 11. სტოკი | 30 | 8 | 10 | 12 | 32-44 | 34 |
| 12. ვესტ ჰემი | 29 | 8 | 7 | 14 | 32-38 | 31 |
| 13. ჰალი | 29 | 8 | 6 | 15 | 30-37 | 30 |
| 14. სუონსი | 29 | 7 | 8 | 14 | 38-43 | 29 |
| 15. ნორვიჩი | 30 | 7 | 8 | 15 | 24-48 | 29 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 29 | 5 | 13 | 11 | 33-43 | 28 |
| 17. პალასი | 29 | 8 | 4 | 17 | 19-38 | 28 |
| 18. სანდერლენდი | 27 | 6 | 7 | 14 | 26-42 | 25 |
| 19. კარდიფი | 30 | 6 | 7 | 17 | 23-52 | 25 |
| 20. ფულჰემი | 30 | 7 | 3 | 20 | 30-65 | 24 |

**ბომბარდირები:** 25 - ლუის სუარესი (ლივერპული), 18 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)

31-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა „სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება და ის არა მხოლოდ ტურის, შესაძლოა, პრემიერლიგის მე-2 წრის ერთ-ერთ უმთავრეს დაპირისპირებადაც იქცეს. ამას მრავალი მიზეზი აქვს. მასპინძელმა წინა ტურში ბირმინგემში „ასტონ ვილას" 3 ქულა დაუტოვა, მორიგი ნაფორხილების შემთხვევაში კი მდგომარეობას კიდევ უფრო გაირთულებს. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონობის პრეტენდენტთა შორის „ჩელსის" ყველაზე მეტი თამაში აქვს. ერთია, რომ გამორიცხვით ვერაფერს გამორიცხავ, მაგრამ „ლურჯებს" თანაქალაქელებთან თამაში, თანაც საკუთარ მოედანზე არ უჭირთ. **არსენ ვენგერისთვის ჟოზე მოურინიო** ყველაზე უხერხული მეტოქეა. ფრანგი „განსაკუთრებულ კაცს" მოედნის კიდესთან სულ 10-ჯერ შეხვედრია, საიდანაც 5-ჯერ დამარცხდა და ამდენივე ფრე ითამაშა. მიმდინარე სეზონში გრანდები „ემირეიტსზე" ორჯერ დაუპირისპირდნენ, ჩემპიონატში თამაში უგოლოდ დასრულდა, ლიგის თასის მე-4 ეტაპზე კი სტუმარმა 2:0 იმარჯვა.

**22.03. ლონდონი**
**სტემფორდ ბრიჯი**
**16:45**

**ჩელსი**

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 159: +51=47-61 (204:225)**

**არსენალი**

**სავარაუდო შემადგენლობები**




**დისკვალიფიკაცია:** რამირესი, ვილიანი -
**ტრავმა:** კოული, ლუისი, ვან გინკელი - უილშირი, იოზილი, უოლკოტი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, რემსი, ბენდტნერი, დიაბი

ზემოთ „ასტონ ვილასთან" მარცხი უკვე ვახსენეთ. მას მერე „ჩელსი" „გალათასარაის" ჩემპიონთა ლიგაში შეხვდა და უშანსოდ დაამარცხა. ასე რომ, გუნდი ცუდ ფორმაშიაო, ვერ ვიტყვით. „არსენალს" ერთადერთი უპირატესობა აქვს: დასასვენებლად მეტი დრო ჰქონდა. მეორე მხრივ, თურქ „ლომებთან" არც „ჩელსის" დასჭირვებია ბოლომდე დახარჯვა. რადიკალურად განსხვავებულია მეტოქეთა საკადრო პრობლემები. „ლურჯებს" გრძელი სათადარიგოთა სკამის წყალობით, უმტკივნეულოდ შეუძლიათ დისკვალიფიცირებული **ვილიანისა** და **რამირესის** შეცვლა, „არსენალს" კი ერთი გუნდისთვის საკმარისი ხალხი მარტო ნახევარდაცვაში აკლია.

მანჩესტერ იუნაიტედი. გამოხმაურება

# იუნაიტედი დაპირებას ასრულებს

ოთხშაბათს საღამოს „ოლდ ტრეფორდი" ფეხზე იდგა. გულშემატკივარი დაძაბულობისგან ალბათ ძალიან დაიღალა კიდეც, თუმცა ფინალი ისეთი იყო, რომ დაღლილობა ამად ნამდვილად ღირდა. „იუნაიტედმა" სეზონის საუკეთესო თამაში ჩაატარა-თქო, ვერ ვიტყვით. დაცვაში პრობლემები აშკარა იყო. ამის დასტურია ის 3-4 მომენტი, როცა **დავიდ დე ხეას** ჯადოქრობა დასჭირდა გუნდის გადასარჩენად. 90 წუთი გაატარა მოედანზე **რაიან გიგზმა**. 40 წლის უელსელი შესანიშნავ პასებს იძლეოდა როგორც ცენტრიდან, ისე ფლანგებიდან. ტრადიციულად დაუღალავად დარბოდა **უეინ რუნი**, ვინც განსაკუთრებული როლი ითამაშა გოლში, რომლითაც ორი მატჩის ჯამში ანგარიში 2:2 გახდა. აღარაფერს ვამბობთ **რობინ ვან პერსიზე**. ჰოლანდიელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა და თანაც პენალტიც თავად მოიპოვა. **დევიდ მოიესმა** და მისმა შეგირდებმა სიტყვა შეასრულეს. ასეთი „იუნაიტედით" გულშემატკივარს სრული უფლება აქვს, ამაყი იყოს. „ეშმაკების" თავკაცი საკუთარი გუნდით იმდენად აღფრთოვანდა, რომ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც კი ახსენა.

**დევიდ მოიესი:** - არა მგონია, მომდევნო ეტაპზე ვინმემ ფავორიტად ჩაგვთვალოს, მაგრამ ვერც იმის მიზეზს ვხედავ, რატომ არ უნდა გვქონდეს შანსი, მიუხედავად იმისა, ვინც უნდა შეგვხვდეს. „მანჩესტერ იუნაიტედს" შეუძლია ამ ტურნირში გამარჯვება, თუკი საკუთარ პოტენციალს სრულად გამოიყენებს. ვერ დავეთანხმები მათ, ვინც ფიქრობს, რომ 1/4-ფინალში ჩვენი გასვლა სასწაულის ტოლფასია.

ცხელ გულზე არ მინდა იმაზე მსჯელობა, შეიძლება იქცეს თუ არა ეს შეხვედრა ჩვენთვის შემობრუნების წერტილად, თუმცა კი იმედი მაქვს, რომ ასე მოხდება. დღევანდელი გამარჯვება ერთადერთი რამის გარანტიაა, „იუნაიტედს" ლიგაში კიდევ ორი თამაშის ჩატარება მოუწევს. მე მხოლოდ იმას გპირდებით, რომ ამისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებას შევეცდებით. დღეს კიდევ ერთი რამ იყო მნიშვნელოვანი, რასაც თამაშამდეც გავუსვი ხაზი: ფეხბურთელებმა გულშემატკივარს არნახული მხარდაჭერის სანაცვლოდ პასუხი თავდადებული თამაშით გასცეს.

**რაიან გიგზი:** - „იუნაიტედი" არნახული ზეწოლის ქვეშ თამაშობდა, განსაკუთრებით „ლივერპულთან" ნაგების გამო. ასეთი ჩავარდნის შემდეგ ფანებთან მართლა ვალში ვიყავით. სეზონში რამდენჯერმე მოხდა, როცა კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ გამონაკლისი ყოფილა. ახლა უბრალოდ ვალდებულები ვართ, მორიგი შანსიც არ გავანიავოთ და იმ ფეხბურთის თამაში დავიწყოთ, რაც შეგვიძლია.



რობინ ვან პერსიმ „იუნაიტედში" თავისი მესამე ჰეთთრიკი შეასრულა

### ჰოლანდიელი შემოწმებას გაივლის

მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **კოსტას მანოლასთან** შეჯახების შემდეგ რობინ ვან პერსი დაეცა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. შეხვედრის გმირი სამედიცინო ბრიგადამ საკაცით გაიყვანა. მთავარი მწვრთნელის თქმით, ტრავმის სირთულეზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა საგანგაშო არაფერი უნდა იყოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIX ტურის წინ

# კარლოს და ტატას მეორე კლასიკო

23.03. მადრიდი სანტიაგო ბერნაბეუ 00:00

**რეალი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +5=1-0 | +4=0-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 167: +70=32-65 (271:261)

**ბარსელონა**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** არბელოა, ხედირა, ხესე როდრიგესი - კუენკა, ჯონათან დოს სანტოსი

## 21 მარტი

**სელტა-მალაგა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** აურტენეჩე (სელტა), ანტუნეში (მალაგა)
**ტრავმა:** რაფაელ ალკანტარა - ელიზეუ, ველიგტონი, ტისონე

ურთიერთშეხვედრები
სულ 18 თამაში: +6 =6 -6 (27:21)
ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (4-4) +1 =2 -3 (4-7)

## 22 მარტი

**გრანადა-ელჩე 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** იტურა (გრანადა), ბოტია (ელჩე), რუბენ პერესი (ელჩე)
**ტრავმა:** პიტი, ტიეგო ილორი, იგალო - ედუ ალბაკარი, აარონ ნიგესი, საპუნარუ, ტონიო, ა. ხიმენესი
ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +1 =4 -0 (5:4)
ბოლო 6 მატჩი
+2 =1 -3 (7-10) +1 =3 -2 (4-8)

**ესპანიოლი-ლევანტე 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** არავინ

ურთიერთშეხვედრები
სულ 13 თამაში: +5 =3 -5 (16:18)
ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (7-5) +2 =2 -2 (4-5)

**ვალიადოლიდი-ვალეკანო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** რუკავინა (ვალიადოლიდი)
**ტრავმა:** ჟეფრენი - ტიტო, გალეანო

ურთიერთშეხვედრები
სულ 23 თამაში: +12 =3 -8 (41:31)
ბოლო 6 მატჩი
+1 =3 -2 (6-11) +4 =0 -2 (11-11)

**ბილბაო-ხეტაფე 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ადურისი (ბილბაო), ს. ესკუდერო (ხეტაფე), პ. სარაბია (ხეტაფე)
**ტრავმა:** კიკე სოლა, იბაი გომესი - მოია

ურთიერთშეხვედრები
სულ 19 თამაში: +5 =7 -7 (17:19)
ბოლო 6 მატჩი
+2 =3 -1 (9-4) +0 =3 -3 (4-11)

## 23 მარტი

**ოსასუნა-სევილია 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარკ ბერტრანი, დე ლას კუევასი, სისი - კრისტოფორო, პარეხა, ჩერიშევი, მბია

ურთიერთშეხვედრები
სულ 35 თამაში: +12 =9 -14 (31:37)
ბოლო 6 მატჩი
+2 =1 -3 (5-11) +4 =1 -1 (10-6)

**ბეტისი-ატლეტიკო 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტიაგო (ატლეტიკო)
**ტრავმა:** ნოსა იგიებორი, ნაჩო, ჩულო, ვერდუ, ხავი ტორესი - ადრიანი, მანკილიო

ურთიერთშეხვედრები
სულ 35 თამაში: +11 =11 -13 (40:47)
ბოლო 6 მატჩი
+1 =2 -3 (3-9) +3 =1 -2 (8-7)

**ვალენსია-ვილიარეალი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** გაბრიელ პაულისტა (ვილიარეალი)
**ტრავმა:** რ. კოშტა, პ. პიატი, ორიოლ რომეუ - დორადო, ედუ რამოსი, პაბლო ინიგესი

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +13 =8 -12 (46:45)
ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (8-4) +1 =2 -3 (6-11)

## 24 მარტი

**ალმერია-სოსიედადი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხოსე ანხელი (სოსიედადი)
**ტრავმა:** - ანსოტეგი, გრანერო (სოსიედადი)

ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +2 =1 -2 (7:10)
ბოლო 6 მატჩი
+1 =1 -4 (5-11) +3 =1 -2 (7-5)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 28 | 22 | 4 | 2 | 77-26 | 70 |
| 2. ატლეტიკო | 28 | 21 | 4 | 3 | 64-21 | 67 |
| 3. ბარსელონა | 28 | 21 | 3 | 4 | 81-22 | 66 |
| 4. ბილბაო | 28 | 15 | 7 | 6 | 51-32 | 52 |
| 5. სოსიედადი | 28 | 13 | 7 | 8 | 49-39 | 46 |
| 6. ვილიარეალი | 28 | 13 | 6 | 9 | 48-34 | 45 |
| 7. სევილია | 28 | 12 | 8 | 8 | 51-43 | 44 |
| 8. ვალენსია | 28 | 10 | 6 | 12 | 39-39 | 36 |
| 9. ესპანიოლი | 28 | 10 | 6 | 12 | 32-34 | 36 |
| 10. ლევანტე | 28 | 9 | 9 | 10 | 26-35 | 36 |
| 11. სელტა | 28 | 9 | 6 | 13 | 33-39 | 33 |
| 12. გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-39 | 31 |
| 13. ელჩე | 28 | 7 | 9 | 12 | 24-40 | 30 |
| 14. მალაგა | 28 | 7 | 8 | 13 | 26-36 | 29 |
| 15. ოსასუნა | 28 | 8 | 5 | 15 | 24-48 | 29 |
| 16. ვალეკანო | 28 | 9 | 2 | 17 | 32-62 | 29 |
| 17. ხეტაფე | 28 | 7 | 7 | 14 | 26-45 | 28 |
| 18. ვალიადოლიდი | 28 | 5 | 11 | 12 | 30-48 | 26 |
| 19. ალმერია | 28 | 7 | 5 | 16 | 27-52 | 26 |
| 20. ბეტისი | 28 | 4 | 7 | 17 | 23-56 | 19 |

**ბომბარდირები:** 25 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 18 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 - პედრო (ბარსელონა); 13 - ხავი გერა (ვალიადოლიდი), დავიდ ვილია (ატლეტიკო)

**ესპანეთის ჩემპიონატის 29-ე ტური დღეს დაიწყება და ტრადიციულად, ორშაბათს ბასკური გუნდის თამაშით დასრულდება, კვირას კი გაიმართება მატჩი, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას კიდევ ერთხელ მიიპყრობს და ჩვენც სწორედ ამ შეხვედრაზე ვისაუბროთ...**

„ბარსელონა“ და „რეალი“ ბოლო წლებში ერთმანეთს იმდენჯერ შეხვდნენ, სხვა რომელიმე გუნდები რომ ყოფილიყვნენ, გულშემატკივარს მათი დაპირისპირებები უთუოდ ყელში ამოუვიდოდა, მაგრამ „ელ კლასიკო“ განსაკუთრებული მოვლენაა, თუნდაც ის ყოველდღე იმართებოდეს.

კატალონიური და მადრიდული კლუბები ამ სეზონში ერთმანეთს მინიმუმ ერთხელ კიდევ შეხვდებიან, როდესაც ესპანეთის თასის ფინალში ითამაშებენ. არაა გამორიცხული, მოსისხლე მტრების დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგაშიც შედგეს, რომლის 1/4 ფინალის კენჭისყრაც დღეს არის დაგეგმილი.

კვირას გასამართი შეხვედრა ესპანეთის ჩემპიონატში რიგით 168-ე იქნება. პირველი წრის მატჩი „ბარსელონამ“ მოიგო, იქამდე კი „რეალს“ სამმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა. ლა ლიგაში უპირატესობა „სამეფო კლუბის“ მხარეს არის (70 მოგება 65-ის წინააღმდეგ), ისევე როგორც ყველა ტურნირზე გამართული შეხვედრების მიხედვით - 225 შეხვედრიდან 90 „რეალმა“ მოიგო, 87 „ბარსელონამ“, 48-ჯერ კი გუნდები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ.



კლასიკომ ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი

### კარლო VS ტატა

მწვრთნელები განსხვავებულ ვითარებაში არიან. „რეალს“ 31-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, რომელიც ოქტომბერში, სწორედ „ბარსელონასთან“ წაგების შემდეგ დაიწყო. „სამეფო კლუბი“ შესანიშნავ ფორმაშია და **კარლო ანჩელოტის** მუშაობით ყველა კმაყოფილია. იტალიელ სპეციალისტს აქებენ როგორც ჟურნალისტები, ასევე უბრალო გულშემატკივრები და „პაპა კარლოს“ ყველა იმედის თვალით შესცქერის. „ლოს მერენგესის“ ქომაგები ფიქრობენ, რომ მათი საყვარელი კლუბი ასეთი ძლიერი უკვე წლებია, არ ყოფილა და „რეალს“ შესანიშნავი შანსი აქვს, რომ სეზონი სამივე ტიტულის მოგებით დაასრულოს.

**ხერარდო მარტინო** კი რთულ მდგომარეობაშია. პრაქტიკულად დღე არ გავა ისე, რომ სეზონის ბოლოს მისი გუნდიდან წასვლაზე და მის შესაძლო შემცვლელებზე არ დაიწეროს. მიუხედავად კლუბის ხელმძღვანელების უარყოფისა, ბევრს არ სჯერა, რომ არგენტინელი მომავალ სეზონშიც „ბარსელონას“ თავკაცი იქნება. გარდა ამისა, ანჩელოტისგან განსხვავებით, „ტატას“ მუშაობით კლუბის ქომაგებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ და ბევრი მათგანი საკმაოდ პესიმისტურადაც არის განწყობილი და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა“ ესპანეთის თასის ფინალში გავიდა, ჩემპიონთა ლიგიდან „მანჩესტერ სიტი“ გააგდო და ლა ლიგაშიც მეტოქეს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში მუშაობა ორმაგად რთულია, მაგრამ მარტინოს არსებულ რეალობასთან შეგუება მოუწევს. კვირას, მას ექნება შანსი, რომ ყველა კრიტიკოსს სათანადო პასუხი გასცეს - თუ „ბარსელონა“ მოიგებს, მის გასალანძღად ბევრს ენა (ცოტა ხნის მაინც) არ მოუბრუნდება, სამაგიეროდ, თუ დამარცხდა, არგენტინელს, ალბათ, მინასთან გაასწორებენ.

### რონალდო VS მესი

ორივე კლუბში უამრავი ვარსკვლავი ირიცხება, მაგრამ რად უნდა თქმა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავ **კრიშტიანო რონალდოს** და **ლიონელ მესის** მიაქცევენ.

პორტუგალიელი ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირია. პრიმერაში რონალდომ 25 გოლი გაიტანა, რასაც ზედ 7 საგოლე პასიც დაამატა. ამ ყველაფრისთვის მას 24 შეხვედრის ჩატარებაც ეყო.

მესიმ 21 შეხვედრაში თავი 18-ჯერ გამოიჩინა, პარტნიორებს კი ხელი 9-ჯერ გაუმართა. წინა ტურში არგენტინელმა ჰეთ-თრიქი შეასრულა და პრიმერას ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე მყოფ **უგო სანჩესს** ერთი გოლის დისტანციაზე მიუახლოვდა.

კარიერის განმავლობაში მესის „რეალის“ კარში 18 გოლი აქვს გატანილი, აქედან 11 პრიმერას შეხვედრებში. რონალდოს ანგარიშზე 12 ბურთია, რომელთაგანაც ლა ლიგაში პორტუგალიელმა 4 გაიტანა.

„ელ კლასიკოს“ საუკეთესო ბომბარდირები:
18 - ალფრედო დი სტეფანო (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა)
15 - რაული (რეალი)
14 - სესარ როდრიგესი (ბარსელონა), ფრანსისკო ხენტო (რეალი), პერენც პუშკაში (რეალი)
12 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), სანტილიანა (რეალი)

### ბეილი VS ნეიმარი

სეზონის სტარტზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ გუნდების ახალწვეულებზე. ოქტომბერში გამართულ შეხვედრაში გამარჯვებული ბრაზილიელი გამოვიდა - **ნეიმარმა** გოლიც გაიტანა და ულამაზესი საგოლე პასიც შეასრულა, **ბეილმა** კი უსახურად ითამაშა და მოედანი 61-ე წუთზე დატოვა. მას შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. უელსელი ბრწყინვალედ ათამაშდა, რაზეც სტატისტიკაც მოწმობს: 10 გოლი და 11 საგოლე პასი ლა ლიგაში. ნეიმარმა კი თითქოს, მოიკლო, რაშიც საკუთარ წვლილი ტრავმამაც შეიტანა. ბრაზილიელის ანგარიშზე 7 გოლი (20 შეხვედრაში) და 8 საგოლე პასია.

იმის გამო, რომ „ოსასუნასთან“ გამართულ შეხვედრაში **ალექსის სანჩესმა** და **პედრომ** შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს, ნეიმარის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა საეჭვოა. აი, ბეილს სათადარიგოთა სკამზე დარჩენა ნამდვილად არ ემუქრება.

### სხვა მატჩები

ამ ტურში კიდევ რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართება. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი და ტიტულისთვის მებრძოლი „ატლეტიკო“ გასავარდნად განწირულ „ბეტისს“ ეთამაშება და თუ მოუგო, სევილიელების მდგომარეობა პრაქტიკულად გამოუვალი გახდება.

„მესტალიაზე“ ვალენსიური დერბი გაიმართება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა სტუმრებისთვის ექნება. „ვილიარეალი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, „ლამურების“ მთავარი მოტივაცია კი ევროპალიგის მოგება და ამავე დროს, მომავალი სეზონისთვის ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა.

ბილბაოს „ატლეტიკი“ 2014 წელს გამარჯვების გარეშე მყოფ „ხეტაფეს“ უმასპინძლებს და მიუხედავად სერიოზული დანაკლისისა, ალბათ, მონაგარს სამი ქულით გაიზრდის. საინტერესო უნდა გამოდგეს კიდევ ერთი მადრიდული გუნდის, „რაიო ვალეკანოს“ და „ვალიადოლიდის“ ე.წ. 6-ქულიანი მატჩი. **პაკო ხემესის** შეგირდები ძალიან კარგ ფორმაში არიან - „რაიომ“ ბოლო სამი თამაში მოიგო და გასავარდნი ზონა დატოვა, „ვალიადოლიდი“ კი ჯერ კიდევ იქაა, მაგრამ მოგების შემთხვევაში **ხუან იგნასიო მარტინესის** გუნდი ხვალინდელ მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდება.

**ტატო ბაციკაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ლაშა შავდათუაშვილი უნგვარით იწყებს

21 მარტს, დილის 10 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს 100-ათასდოლარიანი „გრან პრი“ ძიუდოში, რომელიც საქართველოში პირველად ტარდება.

ბოლო დღეს შეიცვალა მონაწილე საქართველოს ნაკრებში - **ირაკლი უზნაძის** მიერ წინასწარ დასახელებულ 28-კაციან შემადგენლობას ფეხის ტრავმის გამო **ნოდარ მეტრეველი** (100) გამოაკლდა და მის ნაცვლად **დავით ლორიაშვილი** იჭიდავებს.

არსებითად, ხუთშაბათ დილით გადაწყდა **ვალერი ლიპარტელიანის** (90) ასპარეზობაც - მას ისევ აწუხებს წელის ძველი ტრავმა, რომელიც ბოლო შეკრებაზე კიდევ უფრო გაიმიზეზა. ვალერის ოთხშაბათს კვლავ გადაუღეს რენტგენი და მდგომარეობა მთლად გამოსწორებული არაა, თუმცა გამაყუჩებლებით და ექიმთა მეთვალყურეობით მაინც დართეს ასპარეზობის ნება.

ტურნირში მთლიანად 24 ქვეყნის 192 მონაწილე გამოვა. აქედან ვაჟთა შორის 20 გუნდის 117 ათლეტი იასპარეზებს, ქალებში - 75 მონაწილე 18 ქვეყნიდან.

20 მარტს გამართულმა წილისყრამ გამოავლინა ჩვენებურთა მეტოქეები. ვაჟებში 60 კილოგრამში ოთხივე მასპინძელი პირველივე წრიდან ჭიდაობს.

ჩვენი მთავარი ფავორიტი, ევროპის ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** პირველ წრეში მონღოლ **ცედენ იშ რაახანჯავს** ხვდება, **გიორგი ბროლაშვილი** - აზერბაიჯანელ **ვუგარ შირინლის**. **პაატა მერებაშვილს** პირველ მეტოქედ ებრაელი **იოავ შემეში** ერგო, მაგრამ ამავე ჯგუფშია რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ გალსტიანი**. **ლუხუმ ჩხვიმიანი** თავიდან სომეხ **გრეგორ ივანიანს** ეჭიდავება, თუმცა ჯგუფში აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ორხან საფაროვიც** ჰყავს.

66 კილოგრამში **ტრისტან ფეიქრიშვილი** თავდაპირველად ისვენებს, მეორე წრეში კი აზერბაიჯანელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ტარლან კერიმოვი** ელოდება. **გიორგი ქალდანი** ყაზახ **ნაურიზბეკ მაილაშევს** ეჭიდავება, **გელა კელიხაშვილი** - ებრაელ **ბარ რაუფმანს**, **შალვა ქარდავა** კი მეორე წრეში სომეხ **დავით გაზარიანს** ხვდება.

73-ში, სადაც ჩვენი ნაკრების სამი წამყვანი ფალავანი გამოდის, შეიძლება ითქვას, წილისყრა „გაეხუმრა“ ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილს** - პირველივე მეტოქედ უნგრელი **მიკლოშ უნგვარი** ერგო, სწორედ ის ფალავანი, ვისაც ლონდონის ოლიმპიადის ფინალში მოუგო. ოლონდ ეს პაექრობა მეორე წრეში შედგება, რადგან პირველში ორივე ისვენებს.

სხვა მხრივ, შავდათუაშვილს გაუმართლა - ის ფინალამდე ვერ ხვდება თანაგუნდელებს, ევროპის ჩემპიონ **ნუგზარ ტატალაშვილსა** და ევროპის მესამე პრიზიორ **ზებედა რეხვიაშვილს**. თავის მხრივ, ამათი გზები მეოთხედფინალში იკვეთება. ისინიც მეორე წრიდან ჩაებმებიან ასპარეზობაში - ტატალაშვილი თურქმენ **კასიმ პოპულოვს** ხვდება, რეხვიაშვილი - უკრაინელ **დმიტრო კანივეცს**.

ბადის ამავე ნახევარშია ჩვენი კიდევ ერთი მონაწილე **ფრიდონ გიგანი** - მისი პირველი მეტოქე **მარკო მადალონია**.

81-ში ცუდად დაგვიჯდა ილბალი - მეოთხედფინალში იკვეთება წონის ლიდერთა, **ავთანდილ ჭრიკიშვილისა** და **უშანგი მარგიანის** გზები. პირველ წრეში ორივე მასპინძელი ისვენებს, თუმცა ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს ვერცხლისმედალოსან ჭრიკიშვილის პირველი მეტოქე თუ ახლავეა ცნობილი - სომეხი **რაფაელ დავთიანი**, მარგიანის მოწინააღმდეგე ბერძენთა ქართველის, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს პრიზიორ **რომან მასტოპულოსისა** და ყაზახ **იერზან აბდულაევის** პაექრობაში უნდა გაირკვეს.

**გიორგი პაპუნაშვილი** ყაზახ **ფარკად რუზუკულოვთან** შეხვედრით დაიწყებს ტურნირს, ხოლო მას თუ გასცდება, შეჯიბრების იშვიათ უცხოელ ვარსკვლავთაგან ერთ-ერთთან - ამერიკელ **ტრევის სტევენსთან** მოუწევს პაექრობა.

90-ში ლიპარტელიანიც მეორე წრიდან ჩაებმება და აზერბაიჯანელ **რამინ გურბანოვს** დაეჭიდება. იმავე ეტაპზე გამართავენ თავიანთ პირველ შეხვედრებს **პაატა ლვინიაშვილი** (ებრაელ **ალონ სასონთან**) და **ზვიად გოგოჭური** (ირანელ **მოჰამად ჯამალისთან**). **ბექა ლვინიაშვილი** პირველივე წრეში ჭიდაობს ესტონელ **ტაავი ბეკერთან**.

100-ში ისე მოხდა, რომ ქართული კვარტეტიდან **გურამ თუშიშვილი** ბადის ერთ მხარესაა, დანარჩენი სამეული კი მეორე ნაწილში მოხვდა.

თუშიშვილი პირველი ეტაპზე ყაზახ **ტალგატ ამრენოვს** დაეჭიდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი აზერბაიჯანელთა ევროპის მესამე პრიზიორი **ელმარ გასიმოვი** ელოდება. ლორიაშვილს თავშივე ლიტველი **მარტინას ვასკოვიჩიუსი** ერგო, **ალექსანდრე მსხალაძეს** - **ხაიბულა მაგომედოვი**, **რევაზ ჩიკოიძეს** - უკრაინელი **არტემ ბლოშენკო**.

+100-ში ყველაზე მძიმე ქართული კვარტეტი ორ ჯგუფში ჩაეტია - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ადამ ოქრუაშვილი** და **როსტომ ხახალეიშვილი** პირველ ჯგუფში მოხვდნენ, **ონისე ბულაძე** და **ლევან მატიაშვილი** - მესამეში. ამათგან ოქრუაშვილი და მატიაშვილი პირველ ეტაპზე ისვენებენ, ხახალეიშვილი სომეხ **სტეფან სარქისიანს** დაეჭიდება, ბულაძე - რუს **ანტონ კრივოკოვს**.

ქალთა შორის 9 მონაწილე გვეყოლება. 57-ში **სალომე აბაშიძე** თავდაპირველად უნგრელ **კატინკა ჟაბოს** ხვდება, **მარიამ ციხელაშვილი** - აზერბაიჯანელთა მსოფლიოს პრიზიორ **კიფაიატ გასიმოვას**, **სოფიო ბერიძე** - რუს **ტატიანა ნოსკოვას**. 63-ში **ნინო მარტიაშვილიც** აზერბაიჯანელ **ხანიმ ჰუსეინოვას** დაეჭიდება იმავე ეტაპზე, **შორენა შარაძე** კი პირველში ისვენებს, ხოლო მეორეში ებრაელ **როტემ შორს** ხვდება.

საწყის შეხვედრას ებრაელთან - **იარდენ მაიერსონთან** იჭიდავებს **თეა სუხიტაშვილიც** (70). **ნინო ოძელაშვილი** (78) ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება და რუს **ანასტასია დმიტრიევას** შეხვდება.

მძიმე წონაში ჩვენებურები - **ელენე ქებაძე** და **ირინა ლეონიძე** გვერდიგვერდ ჯგუფებში აღმოჩნდნენ და მათი გზები ნახევარფინალში იკვეთება. მანამდე ქებაძე რუს **მარია შეკეროვას** დაეჭიდება, ლეონიძე - ლიტველ **სანდრა იაბლონსკიტეს**.

შეგახსენებთ, რომ „გრან პრის“ შეხვედრები სამივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 17 საათიდან, ხოლო დასწრება თავისუფალია. 21-ში ქალთაგან 48-ის, 52-ისა და 57-ის, ხოლო ვაჟთაგან 60-ისა და 66-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. 22-ში ტატამზე 63-70-კილოგრამიანი ქალები და 73-81-იანი ვაჟები გავლენ, ხოლო დანარჩენები კვირას იასპარეზებენ.



ლაშა შავდათუაშვილი სპორტის სასახლეში ვარჯიშისას

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ანტალიაში ქართველთა ევროპული ფინალები



ნიკოლოზ დავლიანიძე



ზურაბ ტყემალაძე

14-წლამდელ ჩოგბურთელთა აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის მე-2 ტურნირში, რომელსაც ანტალია მასპინძლობს, თავი გამოიჩინეს ქართველმა ბიჭებმა - მეორე ნომრად განთესილმა **ნიკოლოზ დავლიანიძემ** და ასპარეზობის მეხუთე ნომერმა **ზურაბ ტყემალაძემ**. როგორც გაუწყეთ, გუშინდლამდე დავლიანიძემ ვასილი დონტუ (მოლდოვა, 7:6, 6:4) და დიმიტრის არავისი (კვიპროსი, 6:0, 6:3) დაამარცხა, გუშინ ნახევარფინალში კი ისლანდიელ ანტონ მაგნიუსონს აჯობა (6:3, 6:2) და ფინალში გავიდა, სადაც დღეს თანამემამულე ზურაბ ტყემალაძეს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ პაექრობამდე სამ მეტოქეს აჯობა - გუნარ ერიქსონს (ისლანდია, 6:1, 6:2), ტეოდოროს სოფლონიუს (კვიპროსი, 7:6, 6:1) და ასპარეზობის რეიტინგფავორიტ დანიილს ბატმანოვსს (ლატვია, 7:6, 6:2). ჩოგბურთელთა აღმოსავლეთ ევროპის ასაკობრივ პირველობებში ქართველები ერთმანეთს ფინალში დაპირისპირებოდნენ, რატომღაც, არ მახსენდება. ჩვენი ბიჭები ამ წარმატებით არ დაკმაყოფილდნენ და გუშინ კიდევ ერთი გამარჯვება მიითვალეს: დავლიანიძე-ტყემალაძის დუეტმა (მათ ტურნირზე პირველი განთესვა აქვთ) ბელარუსებს - არტსიომ ბარძინსა და ანეი ლასკას დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:4, 6:3 და ფინალში გავიდნენ, სადაც მეორე ნომერ მოლდოველებთან - ვასილი დონტუსა და ალექსანდრ ვიტკოვთან გაარკვევენ ურთიერთობას. ამ დუეტმა კი ლატვიელებს - დანიილს ბატმანოვსსა და ტეოდორს რუკშეს აჯობა - 6:2, 6:0.

ამ ასაკის ქართველი გოგონები, სამწუხაროდ, მეოთხედფინალში დაემშვიდობნენ შეჯიბრებას, არადა, აღმოსავლეთ ევროპის 14-წლიანთა ჩემპიონატის პირველ ტურნირში **ანა შანიძემ** მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მე-2 ადგილი დაიკავა; შანიძისა და **მარიამ დალაქიშვილის** დუეტმა წყვილებში ვერცხლი დაისაკუთრა, ხოლო ბიჭებში დავლიანიძე-ტყემალაძის ტანდემიც მეორე იყო. ამჯერად კი ჩვენს დელეგაციას, სულ მცირე, ერთი ოქრო და ორი ვერცხლი გარანტირებული გვაქვს.

**ვაჟა დანელია**

# 12-წლიანები ვერ ყოჩაღობენ

ანტალიაში 14-წლამდელ ჩოგბურთელთა აღმოსავლეთ ევროპის პირველობის პარალელურად გრძელდება 12-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლები ვერ ყოჩაღობენ. გოგონებში **დალიდა ქართავა** პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა მასპინძელ აკგულ იპეკთან - 1:6, 3:6, თუმცა, სხვა ჩვენებურთაგან განსხვავებით, დამამშვიდებელში გამოიჩინა თავი: ზედიზედ სძლია იულია ნიკიტინას (უკრაინა, 6:4, 6:4), ლილი მინიჩს (გერმანია, 6:4, 2:6, 10:5) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც თურქ ლეილა კორალს დაუპირისპირდება.

ასპარეზობის სტარტზევე წააგეს **ნინო ნაცვლიშვილმა** (თურქ ტინაზტეპეთუანთან - 1:6, 1:6) და **ნიკო ცისკარიშვილმა** (თურქ იილმაზ ბურხანთან - 0:6, 2:6). თითო შეხვედრაში მიაღწიეს წარმატებას **ლაშა გიორგი კიკვიძემ** და **ცოტნე ძიმისტარიშვილმა** - ნიკიტა მატიევიჩსა (ბელარუსი, 6:1, 6:0) და ინალ კერემის (თურქეთი, 7:5, 4:0) აჯობეს, მაგრამ მეორე წრეში თავადაც იწვნიეს მარცხი და მთავარი პრიზისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

**ვაჟა დანელია**

# ქართველთა წყვილი წინ მიიწევს

ქართველმა ჩოგბურთელმა **სოფიო ქვაცაბაიამ** გუშინ ანტალიის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ორჯერ მოსინჯა ძალები. ერთეულებში ჩანთალ სკამლოვასთან (სლოვაკეთი) დამარცხდა - 6:7, 1:6, სამაგიეროდ, წყვილებში თანამემამულე **ეკატერინე გორგოძესთან** ერთად (ჩვენებურები მე-3 ნომრად არიან განთესილი) სამ სეტში სძლია იაპონელების - იოშიმი კავასაკისა და იომი ნაკანოს დუეტს - 3:6, 6:4, 10:5. ნახევარფინალში ჩვენები რეიტინგფავორიტებს - ბასაკ ერაიდინსა (თურქეთი) და ბარბორა კრეიჩიკოვას (ჩეხეთი) დაუპირისპირდებიან. თურქულ-ჩეხურმა ტანდემმა შვედი სუსანა გელიკი და იაპონელი კოტომი ტაკანატა ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 3:6, 10:7. დანარჩენი მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: კსენია ლუკინა (რუსეთი), კსენია პალკინა (ყირგიზეთი) - ენა კაევიჩი (ხორვატია), მუგე ტოფსელი (თურქეთი) 6:0, 6:4; ნატალია კოსტიჩი (სერბეთი), ჩანტალ სკამლოვა (სლოვაკეთი) - დენიზა ალერტოვა (ჩეხეთი), იულია ტერზისკა (ბულგარეთი) 6:2, 6:0. ნახევარფინალში ითამაშებენ: ლუკინა, პალკინა-კოსტიჩი, სკამლოვა.

**ვაჟა დანელია**

# პირველი ბარიერი დასძლია

გუშინ მაიამიში (აშშ) ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 5.427.105 დოლარი) წყვილთა პაექრობაში ჩაება თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** (წყვილებში რეიტინგით 50-ე), რომელიც რუს ალისა კლეიბანოვასთან (152-ე) არის შეამხანაგებული. ქართულ-რუსულმა დუეტმა სტარტზე ჩანელ შეეპერსსა (სამხრეთი აფრიკა, 49-ე) და ჩია-იუნ ჩუანს (ტაივანი, 364-ე) აჯობა - 6:3, 1:6, 11:9. ოქსანასა და ალისას, რომლებმაც პირველი ბარიერის გადალახვისთვის 120-120 სარეიტინგო ქულა დაიმსახურეს, მეორე წრეში უფრო ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ - სანია მირზა (ინდოეთი, 8-ე) - კარა ბლეკისა (ზიმბაბვე, მე-10) და ჰაო-ჩინ ჩენი (28-ე) - იუნ-ძიან ჩენის (ორივე-ტაივანი, 107-ე) ტანდემებს შორის გამარჯვებული.

■ ■ ■

ჰავრში (საფრანგეთი) ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის მხოლოდ წყვილთა პაექრობებში მონაწილეობდა თბილისელი **სოფიო შაფათავა**, რომელიც ალემან ქრისტინა შაკოვეცთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი. ქართულ-გერმანული დუეტი პირველ წრეში თავისუფალი იყო. მეოთხედფინალში მარტინა კოლმეგას (იტალია)-ედენ დ'ოლივეირას (სამხრეთი აფრიკა) ტანდემს იოლად მოუგო - 6:1, 6:2, გუშინ კი ასპარეზობის მესამე ნომერ ჰოლანდიელებთან - ბერნს ვან დე ველდესა და კელი ვერსტეგთან დამარცხდა - 5:7, 7:5, 9:11.

**ვაჟა დანელია**



ოქსანა კალაშნიკოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების 85 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს 1952 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ძალოსნობაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რაფაელ ჩიმიშკიანს.**

„ლელოს" რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

*სამთო თხილამურები*

# გუდაური მასპინძლობს

ორი დღეა, გუდაურში გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი სლალომსა და გიგანტურ სლალომში. შეჯიბრებაში სამი ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. ასპარეზობის პირველი დღის (ვატო ფიფიას სახელობის) შედეგები ასეთია:



**გოგონები**

**2000-2001 წლებში დაბადებულნი.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 00:55,80), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 00:57,87), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბაკურიანი, 01:00,67); **1998-1999 წ.წ.** 1. მარიამ ჭკადუა (სვანეთი, 00:56,16), 2. ზეინაბ ჯორბენაძე (აჭარა, 01:06,05), 3. მარიამ ხუციშვილი (წმ.გიორგის სკოლა, 01:11,69); **1997 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 00:54,46), 2. ილონა შავაძე (01:04,73), 3. ელზა ჭალალიძე (ორივე - აჭარა, 01:20,45).

**ბიჭები**

**2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (00:54,23), 2. გიორგი ქურდოღლიანი (00:57,66), 3. ლევან ბოგიშვილი (სამივე - ბაკურიანი, 00:58,07), **1998-1999 წ.წ.** 1. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური, 00:52,92), 2. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 00:53,09), 3. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 00:54,57); **1997 წ.** 1. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 00:49,36), 2. დავით სეთურიძე (გუდაური, 00:56,25), 3. თენგო მეხეშიძე (აჭარა, 00:57,62).

**ვაჟა დანელია**

*იუბილარი. რაფაელ ჩიმიშკიანი - 85*

# მოშურნეთა გამამწარებელი

**სპორტის დამსახურებული ოსტატი; ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; ევროპის ექვსგზის ჩემპიონი; მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1951); სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონი; მსოფლიოს თერთმეტგზის რეკორდსმენი, აქედან ხუთი რეკორდი დამყარებული აქვს სამჭიდში: 337,5 კგ, 340 კგ, 342,5 კგ, 345 კგ, 350 კგ; საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

**რაფაელ ჩიმიშკიანმა** ძალოსნობის სექციაში ვარჯიში მწვრთნელ პაველ გუმაშიანთან დაიწყო და სამთვიანი ვარჯიშის შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში იასპარეზა. 16 წლისა საქართველოს ნაკრებში მოხვდა და რადგან იმ დროს ასაკობრივი კატეგორიები არ იყო, ლამის მამის ტოლ ხალხთან, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებ-რეკორდსმენებთან ჭიდილში მეტად საპატიო, მეცხრე ადგილი დაიკავა. 1948 წლის საკავშირო ჩემპიონატში ოსტატის ნორმატივი შეასრულა. მომდევნო წელს პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

1950 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რაფო კარგ ფორმაში იყო, მაგრამ ხელი ილრძო, ამიტომაც გუნდში მეორე ნომრად ჩაწერეს. საფრანგეთში მწვრთნელებს უბრძანებიათ, წონა დაიკელი და 56 კილოში იასპარეზეო. თურმე, როსტოველი ივან უდოდოვი ავად გამხდარიყო. რას იზამდა, თავი მოიკლა და 7 კილოგრამის დაკლება მაინც მოახერხა. მჩატე წონაში ვერცხლის მედალს დაეუფლა, თუმცა ოქროს მედალი მაინც მოიპოვა - ერთდროულად ევროპის ჩემპიონატიც საფრანგეთში ტარდებოდა და კონტინენტის სპორტსმენებს შორის საუკეთესო იყო.

... დადგა ოლიმპიადისწინა წელი და ჩიმიშკიანი კვლავ უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირში. 1951-ში ბერლინის მესამე მსოფლიო ფესტივალიც მოიგო. მართალია, ოლიმპიურ შეკრებაზე წაიყვანეს, მაგრამ სულ იმას უჩიჩინებდნენ, საკავშირო პირველობა ვერ მოიგია და გუნდში როგორ ჩაგრთოთო. ასე იყო – მეტოქეზე, სულ ცოტა, ორი-სამი თავით მაღლა მაინც უნდა მდგარიყავი.

„მუდამ იმის მეშინოდა, რამე არ მიხიმანდრონ-მეთქი. გუნდში ერთი მე ვიყავი ულვაშებიანი სამხრეთელი და ჩემს დაჩაგვრას რა უნდოდა? იცოცხლე, უწინ ექვს წონით კატეგორიაში ოთხი თბილისელი ვიყავით – კასიანიდი, სვეტილკო, ყლენტი და მე, მაგრამ 1952 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდში მარტო დავრჩი" – იგონებს რაფო.

ვიბორსკიდან ჰელსინკში მატარებლით გაემგზავრნენ, ფილტვების ანთება დაემართა და სანიტარულ, ბოლო ვაგონში აღმოჩნდა ნოვაკთან და არსენ მეკოკიშვილთან ერთად. 40 წლის არსენს ალერგია დამართნოდა. „ნუ გეშინია, რაფო, ძია არსენა არ ვიყო, ამათ დედა თუ არ ვუტირო, აი, ნახე, რომ დავბრუნდებით, მე და შენ პირველი ვაგონით ვიმგზავრებთ" – უთქვამს თანამემამულისთვის მეკოკიშვილს.

ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამოსვლა ნაშუაღამევს უწევდა და რადგან ოლიმპიური სოფელი დარბაზიდან შორს იყო და ავტობუსიც არ იქნებოდა, დელეგაციის ქართველი წევრები ვერ წავიდნენ, მეგობარს ვერ უქომაგეს. ამიტომაც ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია გამოემშვიდობნენ და ოლიმპიური ოქრო უსურვეს. კარტოზიამ ასე გაამხნევა რაფო – თავისი ლონიერი მარჯვენა მკლავზე მიადო და ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენო!

„ოლიმპიადაზე საინტერესო რამ მოხდა. აკვრაზე, პირველ ცდაზე 132,5 კილოგრამს ვითხოვდი, მეორე ცდაზე



137,5 შევუკვეთავდი და 140-ით დავამთავრებდი ასპარეზობას. ასეთი ჩანაფიქრი მქონდა. თურმე საქმეში ხარ!

მწვრთნელებმა 130 კილოგრამი დამიდეს! გავნერვიულდი, მაგრამ თქვენი ქოქიც ამოწყდა-მეთქი, მივედი და ავკარი სიმძიმე. როცა მკლავში ძალა გაქვს, სიძლიერეს გრძნობ და მეც, ჩემი გეგმის მიხედვით, 137,5 კილოგრამი შევუკვეთე. რუსებმა კვლავ უკან დაიხიეს – 135 გაამზადებინეს, არადა, საქსონოვს პირველ ცდაზე 132,5 კილოგრამი ჰქონდა, ესე იგი, უკვე ორნახევარი კილოთი მიგებდა.

ნირი წამიხდა, შტანგა ხელში ავილე და... გამივარდა. მთელი ძალით მოვიქნიე ხელი და ქართულად გემოზე შევუკურთხე. გავგიჟდი, ჭკუიდან გადავედი და მესამე ცდაზე 135 კილოგრამი ავკარი. ჩემი მეტოქე 140-ზე გაიქაჩა. ვერ დასძლია და ორჭიდში 337,5 კილოგრამით ოქროს მედალი მოვიპოვე, 5 კილოგრამით გავაუმჯობესე მსოფლიო რეკორდი და ოლიმპიური რეკორდიც დავამყარე!

გამთენიისას, ოლიმპიურ სოფელში რომ მივედი, გამოქანდა გივი კარტოზია, მიწაზე ფეხი არ დამადგმევინა, მხარზე შემიგდო და შენობას შემომატარა – საპატიო წრე დამარტყმევინა. ვახტანგ ბალავაძემ კი ლექსი დამიწერა... მიჭირს ლაპარაკი, ჩემი გივი... საავადმყოფოში რომ მივაკითხე, ახლა მე დავადე ხელი და ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენ-მეთქი... ვერ ვუშველე, ვერ გადავარჩინე..." –

რუსები გამწარდნენ, მაგრამ როგორ! მათმა რჩეულმა საქსონოვმა ოქრო ვილაც სამხრეთელს გაატანა! ამაზე დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა რაღა გინდა!

... მაგრამ მათ ჩიმიშკიანის ხასიათი არ იცოდნენ – ახლა გიტირებთ ყოფასო და ოლიმპიადის შემდეგ რაფო სამჯერ გახდა სსრ კავშირის, ოთხჯერ – ევროპის, ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო 1954 წელს კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა! ერთმა ჩია კაცმა, გინდ გოლიათმა, მეტი რაღა უნდა ქნას?! მაგრამ რა? მელბურნის ოლიმპიური თამაშების ფიცარნაგს მაინც არ გააკარეს.

და მაინც ბედნიერია რაფაელ ჩიმიშკიანი – „ცხონებულმა ამურა ციმაკურიძემ ღამის 11 საათზე მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა, მე ღამის 2 საათზე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რომელმა დავასწარით – ორივემ ხომ ჩვენს მშობლიურ საქართველოში ჩამოვიტანეთ ეს დიდება. თუმცა რატომ ორივემ, ჩვენი მზია ჯულელი იქ არ იყო?! ჩია კაცი კი ვარ, მაგრამ იმხელა ხმა მაქვს – მტრისას! რვა ქალთან ერთად რომ გაიარა, ყველაზე ლამაზი და ეშხიანი მზია იყო და ავტეხე დარბაზში ყვირილი: მზია, მზია! არ დაგავიწყდეს, ქართველი ხარ, თბილისელი, თანაც დინამოელი! უსაზღვროდ ბედნიერი იყო მზია, ამოდენა უცხო ხალხში ქართული სიტყვები რომ გაიგონა!"

... ქართველი ოლიმპიელები მოსკოვიდან თბილისში რომ წამოსულან, სამტრედიელებს მატარებელი გაუჩერებიათ და ჩვენი სპორტსმენებისთვის უზარმაზარი სუფრა გაუშლიათ.

ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციამ XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო ძალოსნად დაასახელა, მეორე ადგილი კახი კახიაშვილს, მესამე კი გიორგი ასანიძეს ერგო...

**– ახლა კი, ბატონო რაფო, რამე „სმეშნოი" გაიხსენეთ და ჩვენი შეხვედრა ხალისიანად დავამთავროთ.**

– კაი, ბატონო. 1951 წელია. ბერლინში ვართ, სპორტულ ფესტივალზე. იმ დროს 130-კილოგრამიან შტანგას „ვეთამაშებოდი". შესანიშნავი კალათბურთელი, ახოვანი და მეტად ოხუნჯი ნოდარ ჯორჯიკია გვახლავს. მანამ სასტუმროში მივიდოდით, მითხრა, რაფოჯან, რაღაც ხელი ამტკივდა და, ე, ბიჭო, მომეხმარე, ჩემოდანი წამომალებინეო.

რა თქმა უნდა, უსიტყვოდ წამოვავლე ხელი ორივე ჩემოდანს და ასე მივდივართ სასტუმროსკენ. გზად ნაცნობი შეხვდა ნოდარს და შეეკითხა: Нодар Константинович, а где ваш чемодан?

– Вот носильчик несет – უპასუხა ნოდარმა და ჩემკენ მიუთითა. გვიანღა მივხვდი, რომ გამაბითურა. ავილე და დავყარე ეს ჩემოდნები, კარგა გემოზეც შევუკურთხე ნოდარს. მერე კი ამ ამბავზე ბევრს ვიცინოდით.

... აი, ასეთია ჩვენი „პირველი ნაკადის" ოლიმპიური ჩემპიონის, 85 წლის რაფაელ ჩიმიშკიანის პორტრეტის მეტნაკლებად საინტერესო შტრიხები, კაცისა, რომლის გაბოროტებას მთელი ცხოვრება ცდილობდნენ, მაინც ვერ გააბოროტეს.



**დავით ჭელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილარი

# გურამ საღარაძე 75 წლისაა!



დღეს დაბადების 75 წელი უსრულდება ქართული სპორტის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, საბჭოთა კავშირის სამგზის, ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში **გურამ საღარაძეს.**

დიდია გურამ საღარაძის წვლილი ქართული სპორტის განვითარების საქმეში. წლების განმავლობაში ღირსეულად წარმოადგენდა საქართველოს ჭიდაობის ოჯახს მსოფლიო ასპარეზზე. მისი ჭიდაობა გამოირჩეოდა საოცარი იმპროვიზაციის უნარით, მრავალფეროვანი ტექნიკური არსენალით. გურამს გააჩნდა ჭიდაობის უნიკალური სტილი, რომელსაც ძალიან ბევრჯერ განუცვიფრებია ჭიდაობის გულშემატკივარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

გურამ საღარაძე ქართველ მოჭიდავეთა იმ თანავარსკვლავედს განეკუთვნება, რომლებმაც შექმნეს ქართული საჭიდაო სკოლა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი გულშემატკივრების გულში.

ბატონო გურამ, გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს. გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, თქვენს ოჯახთან ერთად, ქართული სპორტის სადიდებლად.

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი**

■ ■ ■

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში 1964 ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **გურამ საღარაძეს.**

■ ■ ■

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ დაბადების 75 წლის იუბილეს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს და ორგზის ვიცე-ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონს, უმაღლესი კატეგორიის ჩემპიონატებისა და ტურნირების თერთმეტგზის გამარჯვებულსა და პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ფილას ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ქართული სუფრის ბეჭდაუდებელ ფალავანს, სამშობლოს სიყვარულში მუდმივმოქმედ ჩემპიონს, საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ გენერალურ დირექტორს, ბატონ **გურამ საღარაძეს.**

„ლელოს“ რედაქცია უერთდება **გურამ საღარაძის** საიუბილეო მილოცვებს.

# ჩემპიონი დობრი მიშკას სკოლიდან



გურამ საღარაძე 1968 წელი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის პრიზიორი, სსრკ სამგზის ჩემპიონი. თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის სამგზის გამარჯვებული, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მერვე მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი, რეზა ფეხლევის სახელობის ირანის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სსრკ ხალხთა მეოთხე სპარტაკიადის ჩემპიონი.

1965 წელს, მანჩესტერში მსოფლიოს ჩემპიონატის პარალელურად მას მიანიჭეს ევროპის ჩემპიონობაც.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოსა და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ფილას ორდენის ორგზის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი.

ერთობ მრავალფეროვანი და შინაარსიანია გურამ საღარაძის სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც.

**- ბატონო გურამ, მშობლებმა როგორ მიიღეს თქვენი პირველი ნაბიჯები ჭიდაობაში.**

- ჭიდაობამდე ერთი წელიწადი ტანვარჯიშზე დავდიოდი ვერის ბაღში, თან, მერვე ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი. ეს სკოლა „დობრი მიშკას“ სკოლის სახელითაა ცნობილი. ტანვარჯიშმა ბევრი რამ მომცა ჭიდაობისთვის. ამ სტილით აღვზარდე ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი.

რაც შეეხება ჩემს მშობლებს მამაჩემი რევაზ საღარაძე ბერძნულ-რომაულს ჭიდაობდა, 110 კილოგრამს იწონიდა, ცნობილი ფალავნის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის, შალვა ჩიხლაძის მეგობარი და მისი თაობის ფიზიკურად ძლიერი მოჭიდავე იყო. ბიძაჩემი იორამიც უფროსი ძმის კვალს გაჰყვა. ოღონდ მან თავისუფალი ჭიდაობა აირჩია.

დედაჩემი მარიამ მამუჩარაშვილი გორის რაიონიდან იყო. სწორედ დედულეთში სოფელ ძევერაში (ნაჭარმაგევში) ვიჭიდავე ქართული სულ პირველად. 8-9 წლის ვიქნებოდი მაშინ. ერთ იქაურ ბიჭს დავეჭიდე. იმ ჩემმა მეტოქემ ძირს რომ დამაბერტყა, მაშინ მივხვდი ცნობილი ანდაზის დედააზრს - ხერხი სჯობია ღონესაო.

**- ალბათ მშობლიურ რაჭაზეც გექნებათ გასახსენებელი.**

- მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყანაში დიდი სიდუხჭირე იყო. ერთი წელიწადი სულაც ჩემს სოფელში, ამბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონში ვისწავლე საშუალო სკოლაში. ზამთარში ფეხსაცმელებში წყალი შემდიოდა, მამაჩემმა რეზინის „კალოშები“ რომ ჩამომიტანა, ყველა გაკვირვებით მიყურებდა.

„პიპკიანი ბურთის“ ბერვით ბიჭებს ლოყები დახეთქვაზე გვქონდა. ძროხები დაგვყავდა მეზობელ სოფლებში - ბაჯში, ზედა და ქვედა შარვაში. იქ ჩვენც ვჭიდაობდით და ხარებსაც ვაჭიდავებდით ხოლმე. საოცრად მიმზიდველი სანახავია ცხვირნესტოებდაბერილი ბულების ჭიდაობა ველად...

ქრისტეშობას და კალანდას რაჭაში ვხვდებოდი ხოლმე. ბაბუაჩემს სოფლის ცნობილ დურგალს, დათა საღარაძეს, ბებიაჩემს თეონინე ბერაძეს, ჩემს თანატოლ გოგო-ბიჭებს დღესაც სიზმარში ვხედავ...

ერთხელ პატარაონელებმა ნატბაურაში (ადგილია ასეთი), სოფელ ცახელებს ფეხბურთში რომ მოვუგეთ, მერე ჭიდაობა გაჩაღდა. ჩემზე დიდი ტანის ყმაწვილი გამომიყვანეს. ამჯერად უფრო თამამად გამოვედი, „ძევერის გაკვეთილები“ უკვე მიღებული მქონდა და პირველი გამარჯვებაც ნატბაურაში მოვიპოვე...

ამის მერე თბილისში მამისა და ბიძის რჩევით თავისუფალი ჭიდაობის ცნობილ მწვრთნელთან, კუნძულ ტექსელის აჯანყების მონაწილე შალვა ნოზაძესთან (1915-1979) შევუდექი წვრთნას. 57 კილო ვიყავი სპორტული კარიერა რომ დავიწყე და 82 კილოგრამით დავასრულე...

**- ზარბეგ ბერიაშვილმა მითხრა, სინამდვილეში გურამ საღარაძემ ტოკიოში ოლიმპიადის ფინალი მოიგოო...**

- თურქი ისმაილ ოგანის და ჩემი ფინალური შეხვედრა 1964 წლის ოლიმპიადაზე ოფიციალურად ფრედ დასრულდა. მერე აგვწონეს, თურქი 700 გრამით ნაკლები იყო ჩემზე და ოქროს მედალიც მას გადასცეს. მაგრამ საქმე სულ სხვაგარად იყო. თურქი პასიურობისთვის გასაფრთხილებელი იყო და მსაჯებმა რატომღაც წაუყრუეს. მეორე და მთავარი - ის ზეთნასმული ჭიდაობდა და ხელი ამიცურდებოდა ხოლმე მის ტანზე. იცით, რომ თურქების ერთ-ერთ ეროვნულ ჭიდაობაში წესებითაა დაშვებული ტანზე ზეთის წასმა.

წარმოიდგინეთ, ისმაილ ოგანის გარდა, ტანზე ზეთნასმული გამოდიოდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუას მეტოქე ფინალურ შეხვედრაში - უნგრელი იმრე პოიაკიც...



გურამ საღარაძე (მარჯვნივ)

**- „სამოციანელების“ ნახევარზე მეტი სსრკ-ის „თავისუფალთა“ ნაკრებში ქართველები იყავით. როგორ ეგუებოდნენ სხვები ამ ამბავს?**

- დიახ, ზარბეგ ბერიაშვილი, შოთა ლომიძე, გურამ საღარაძე, ნოდარ ხოხაშვილი, ტარიელ ალიბეგაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ზაურ შეყრილაძე, თემურ ხითარიშვილი... მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, უფროს მწვრთნელს ალექსანდრ დიაკინს მოფერებით - ჯოკიას ვეძახდით. „ჯოკიას“ ვარწმუნებდით, რომ ჩვენ ქართველებს შორ მანძილზე რბენა არ გვიხდება. სამაგიეროდ, სხვა ნიჭი გვაქვს-თქო. ზოგჯერ დიაკინთან ერთად ცოტა იზაბელას ღვინოსაც მივირთმევდით ხოლმე. ნაკრების არაქართველი წევრები ამით გაკვირვებულნი იყვნენ, მაგრამ ვარჯიშებზე ყველას ბდღვირს ვადენდით...

**- თქვენმა წიგნმა „მემკვიდრეობა“ დიდი მოწონება დაიმსახურა. კიდევ ხომ არ აპირებთ რაიმეს დაწერას?**

- 4-5 წელიწადი ვმუშაობდი და ჩემი სამი წიგნი გამოიცა ერთნაირი სათაურით - „მემკვიდრეობა“.

ვფიქრობ, მეოთხე წიგნიც უნდა დავწერო და მასაც „მემკვიდრეობას“ დავარქმევ.

**- თქვენ კარგ თამამადაც გიცნობენ. თამადობის „მემკვიდრეობაზე“ რას იტყვით?**

- ჩემს წინაპრებს შორის თამადობით არავინ ყოფილა გამორჩეული. უნდა გითხრა, რომ არც მე ვდებ დიდ თამადობაზე თავს. „დობრი მიშკას“ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას საზოგადო მოღვაწე, სიმონ (სიმონიკა) სხირტლაძე გვასწავლიდა. ლომი კაცი იყო მხარბეჭიანი, დაიწყებდა თუ არა სამშობლოს სიყვარულზე საუბარს ყველა სიტყვას ღრუბელივით ვისრუტავდით. ღვინის ზომიერ სმაზე და თამადობაზეც გველაპარაკებოდა. ის ხომ ცნობილი თამადა იყო, მოკლედ, ჯიშიანად გვზრდიდა. კარგი თამადები იყვნენ: ირაკლი აბაშიძე, გენო ონაშვილი, პოგი შანიძე, თემო ჩირგაძე...

**- რა აკლია დღეს ქართულ სპორტს?**

- ჩვენი სპორტის წინსვლისთვის უფრო მეტი და მეტი უნდა გაკეთდეს: 1. ქართულ ჭიდაობაში, 2. სოფლის ფეხბურთი უნდა აღორძინდეს და 3. ერთი აღმოსავლეთში და მეორე დასავლეთ საქართველოში უნდა აღდგეს სპორტული სკოლაინტერნატი..

ჭიდაობის გაერთიანებულ სახეობებს ერთი დიდი პატრონი უნდა ჰყავდეს. ჩვენი სტრატეგიული სახეობის ჭიდაობის ინფრასტრუქტურა თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ნულს ქვემოთაა. საქართველო კი მუზისა და ორთაბრძოლების ქვეყანაა. მჯერა უკეთესი ხვალინდელი დღის.

ესაუბრა
**გაბრიელ ბარჯაძე**

ხელბურთი

# მოზარდები არენაში

სასპორტო კომპლექს „არენაში“ დაიწყო უმცროსი ასაკის (2000-2001 წლებში დაბადებული) ხელბურთელი გოგონებისა და ბიჭების საქართველოს პირველობის აღმოსავლეთი ჯგუფის ტურნირი. შეჯიბრებაში 4-4 გუნდი მონაწილეობს. გუშინ პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. ბიჭების პაექრობაში „გორმა“ „თელავი“ დაამარცხა - 19:9, ხოლო „პეგასმა“ - „ქარიშხალას“ აჯობა - 34:12. გოგონებში „ქარიშხალამ“ „ყვარელი“ დაჯაბნა - 18:2, „მამულმა“ „იმედს“ დააყრევინა ფარ-ხმალი - 17:1. ტურნირი 22 მარტს დასრულდება. საერთო ტურები აპრილშია დაგეგმილი, რის შემდეგაც ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდებიან.

**ბიჭები**

**21 მარტი.** „პეგასი“ - „თელავი“, „ქარიშხალა“ - „გორი“.

**22 მარტი.** „თელავი“ - „ქარიშხალა“, „გორი“ - „პეგასი“.

**დასავლეთი:** „სამტრედია“ -4 (3 თამაშიდან), „ფოთი“ -4 (3), „ზუგდიდი“ -2 (2), „ქუთაისი“ -0 (2) ქულა.

საერთო ტური: 15-18 აპრილს.

**გოგონები**

**21 მარტი.** „ყვარელი“ - „მამული“, „იმედი“ - „ქარიშხალა“.

**22 მარტი.** „იმედი“ - „ყვარელი“. „ქარიშხალა“ - „მამული“.

**დასავლეთი:** „ფოთი“ -2 (1), „ზუგდიდი“ -0 (1) ქულა.

საერთო ტური: 9-11 აპრილს.

ვაჟა **დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ვეტერანების ორი ბრინჯაო

პორტუგალიის ქალაქ პორტოში რამდენიმე დღეა, ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. კლასიკური პარტიებით ჩემპიონებისა და პრიზიორების გამოვლენის შემდეგ გუშინ რაპიდში გაირკვა მედლების მფლობელთა ვინაობა. „კლასიკურისგან" განსხვავებით, ქალებმა და მამაკაცებმა ამჯერად შერეულ ტურნირში გამოავლინეს უძლიერესები. 65 წელს გადაცილებულებში 9 შესაძლებლიდან 8 ქულით ოქროს მედალი რუმინელმა მიჰაი შუბემ მოიპოვა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ალგიმანტას ბუტნიორიუსი (ლიტვა), რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. 6,5 ქულით მესამე ადგილი ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა** დაიკავა. **თამარ ხმიადაშვილი** 5 ქულით მეცხრე იყო.

50 წელს გადაცილებულებში 17 მოჭადრაკე იბრძოდა პირველობისთვის. აქაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ევგენი კალეგინი (რუსეთი) ავიდა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს **ზურაბ სტურუამ** და ანტონიო ფერნანდესმა (პორტუგალია). მასპინძელმა ჩვენებურს უკეთესი კოეფიციენტით აჯობა და მეორე ადგილი დაიკავა. ზურაბ სტურუას ბრინჯაო ერგო. 5,5 ქულით **ციალა ქასოშვილი** მეოთხე, **ნინო გურიელი** კი 5 ქულით მერვე ადგილზე გავიდა.

მოჭადრაკეები დღეს ბლიცში გაარკვევენ მედლების მფლობელთა ვინაობას.

**ვაჟა დანელია**



ნონა გაფრინდაშვილი



ზურაბ სტურუა

# უიღბლო ტური

კოლკატაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე მე-3 ტურის პარტიები გათამაშდა. წინა ორ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების წევრმა **ლევან ფანცულაიამ** ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. გუშინდელ პაექრობაში კი შავი ფიგურებით ვერაფერი მოახერხა ალ-ბაკირ აბდულას (ბანგლადეში) წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში პირველი წაგება ჩაიწერა. ვერც **მიხეილ მჭედლიშვილმა** იყოჩაღა - ინდოელ კრიშნასთან, რომელსაც რეიტინგში 322 პუნქტით უსწრებს, მხოლოდ ყაიმს გამორჩა. ჩვენებურის ამ ტურნირზე ეს ზედიზედ მესამე ზავია.

ორქულიანთაგან, აბდულას გარდა, გუშინ წარმატებით ითამაშეს სანტოშ ვიდითმა, დიიპენმა, აბჯით კუნტემ, რომლებმაც, შესაბამისად, დას დებაშისი, ბაბუ ლალითი, დიპ სენგუპტა (ყველა - ინდოეთი) დაამარცხეს და 3-3 ქულით მეწინავეობენ.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: ვიდითი-დიიპენი, კუნტე-აბდულა... ფანცულაია-ნიკილ შტიამი (ინდოეთი), მჭედლიშვილი-კონგუველი (ინდოეთი).

**ვაჟა დანელია**

სუმო

# გაგამარუს წაგების უფლება აღარ აქვს

გაზაფხულის ბაშოს მე-12 დღეს **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** შეეძლო უარყოფითი ბალანსის გამოსწორება, მაგრამ მან ზურგი აჩვენა **ტაკარაფუჯის** და დოჰიოს რკალიდან პირველი გავიდა. გაგამარუს 5-7 ბალანსი აქვს. ამგვარად, მას წაგების უფლება აღარ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში რეიტინგში დაქვეითდება. შეგახსენებთ, რომ 199-კილოიანი ქართველი ამჟამად დასავლეთის მე-9 მაეგაშირაა.



გაგამარუს მომდევნო მეტოქე მონღოლი **აზუმარიუა**, რომელსაც კარიერაში მეორედ გადაეყარა, გასულ მაისს ოშიდაშით აჯობა.

დღეს იჭიდავებს III დივიზიონის ბინადარი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რომლისთვისაც ეს ბოლო ორთაბრძოლა იქნება გაზაფხულის ბაშოზე. ლევანს 6-0 ბალანსი აქვს და ანალოგიური ბალანსის მქონე **მუსაშიუმის** ხვდება. გამარჯვების შემთხვევაში ქართველს ბრძოლა მაკუშიტას დივიზიონის ჩემპიონობისთვის მოუწევს დამატებით ტურნირში.

სუმოდან წასვლა გამოაცხადა ბულგარელმა **კოტოოშუმ**, რომელიც წლების განმავლობაში ოძეკის ტიტულს ფლობდა. გოლიათი ბულგარელი გაზაფხულის ბაშოზე მხოლოდ ერთხელ გამოვიდა გამარჯვებული და 31 წლის ასაკში სპორტიდან წასვლა გამოაცხადა.

**XII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კისენოსატო (ოშიტაოში), კაკურიუ-ჰარუმაფუჯი (ოკურიდაში), ტოჩიოძანი-კოტოშოგიკუ (კატასუკაში), გოეიდო-იოშიკაძე (კოტენაგე), ენდო-შოჰოზანი (იორიკირი), ტაკარაფუჯი-**გაგამარუ** (ოკურიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**12-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა)

**11-1:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა),კაკურიო (ოძეკი)... **5:7:** **გაგამარუ** (მ 9)

**XIII დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, კაკურიუ-კისენოსატო, ტოჩიოძანი-ჩიოოტორი, **გაგამარუ**-აზუმარიუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი



ხარები-ყოჩების გუნდური ჩხუბი

# რუსთავში თამაში ჩაიშალა

| | |
|---|---|
| არმაზი | 29 |
| აია | 19 |

**არმაზი** (15-9) კიკნაძე, ხუციშვილი, მაჩხანელი, ნიკოლავა, ჩხაიძე (მისრიაშვილი 67), ბროძელი, აბუსერიძე (სირაძე 75). (1-8) ბეჟიაშვილი (თაგაური 65), სოსელია (ესართია 74), ბუკია (მარგველანი 40), ბარბაქაძე (გიგაური 58), არჩუაშვილი (კანდელაკი 65), ბერაძე (ჯიბლაძე 67), მინაშვილი, ამირანაშვილი.

**2ლ:** ბროძელი, მარგველანი. 5ს,2გ: კიკნაძე

**აია** (15-9) მოდებაძე (კიკვაძე 76), შაშიაშვილი, ფრუიძე, ირემაძე, კვერნაძე, ჯინჭველაშვილი (ბაბუნაშვილი 65), თ. თუთბერიძე (ზ. თუთბერიძე 56), (1-8) ულუმბელაშვილი (ლომსიანიძე 45), სალდაძე (ტორაძე 65), რატიაშვილი (მატკავა 73), შალამბერიძე, ჯავახია, რევიშვილი, დანგაძე, ყურაშვილი.

**3ლ:** ფრუიძე (2), შაშიაშვილი. **2გ:** ჯინჭველაშვილი.

**მსაჯი:** თორნიკე გვირჯიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი ერთა თასის მატჩებით გამოწვეული შესვენების შემდეგ მე-14 ტურის შეხვედრებით განახლდა. სამწუხაროდ, ტური სკანდალური გამოდგა. რუსთავში „ხარებისა" და ბოლნისის „ყოჩების" დაპირისპირებისას, 50-ე წუთზე, როცა სტუმრები 13:3 იგებდნენ, გუნდური ჩხუბი ატყდა, რის გამოც მატჩი შეწყდა. ცხადია, ამ თამაშის ავანჩავანს საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს.

სამაგიეროდ, შესანიშნავი რაგბობა გაიმართა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე", სადაც თბილისის „არმაზმა" ერთ-ერთ ლიდერს, ქუთაისის „აიას" უმასპინძლა და 29:19 დაამარცხა. არადა, ქუთათურებმა თამაში ბრწყინვალედ დაიწყეს და მე-6 წუთზე პირველი ლელო მიითვალეს. მეტოქის მოედნის 22-მეტრიან ზონასთან „აიამ" არმაზელებს რაკში ბურთი წაართვა და მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაათამაშა. იქ შუამარბმა **გიორგი ფრუიძემ** ჩვეულ სტილში სამ მოწინააღმდეგეს აუარა გვერდი და ლელოში შეაღწია. მგეზავმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** ზუსტად გარდასახა - 7:0.

ცხადია, ასეთმა დასაწყისმა მასპინძლები არ დააბნია. ანგარიშში დაწინაურება მათ ოც წუთში შეძლეს. გუნდის მოთამაშე მწვრთნელმა **დავით კიკნაძემ** სამი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები დააწინაურა - 9:7. აღსანიშნავია, რომ საჯარიმოს გატანის შესაძლებლობა „აიასაც" ჰქონდა, მაგრამ ჯინჭველაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ორჯერ ვერ ივარგა.

მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი მაინც „აიამ" მოიგო. 38-ე წუთზე სტუმრებმა შესანიშნავი, კარგად დამუშავებული კომბინაცია გაითამაშეს და მეორე ლელო მიითვალეს. ქუთათურებმა საკუთარი დერეფანი არმაზელთა ლელოდან 10 მეტრში მოიგეს, მოლი შეკრეს, დაახლოებით ხუთი მეტრი წინ წაიწიეს და მერე ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანეს. მგეზავმა რეზო ჯინჭველაშვილმა ბურთი ფეხით მეტოქის ლელოში შეაცურა, სადაც ყველაზე უმალ ფრუიძე გაჩნდა. გარდასახვა ისევ ჯინჭველაშვილმა გაიტანა - 14:9. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ უპირატესობას მთლიანად „არმაზი" დაეუფლა და საწყის 10 წუთში საგრძნობლად დაწინაურება შეძლო. 43-ე წუთზე თბილისელთა მგეზავი **რეზო ბროძელი** ბურთს მოედნის ცენტრში დაეუფლა და ფეხით მეტოქის ნახევრისკენ გადაკიდა, თვითონვე მიჰყვა, ორ ქუთაისელს ხელიდან გაუსხლტა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. კიკნაძემ გარდასახა - 16:14. რასაც სამ წუთში საჯარიმოც მიაყოლა - 19:14.

„არმაზი" მიხვდა, რომ მეტოქე წინააღმდეგობის გაწევას ველარ ახარხებდა და 50-ე წუთზე კიდევ ერთი შედეგიანი იერიში წამოიწყო. ქუთაისელთა ლიდერმა **გელა შალამბერიძემ** მოედნის საკუთარ ნახევარზე ბურთი დაკარგა. არმაზელებმა ის მარჯვნივ, ხაზზე ჩაათამაშეს და დაცვის ხაზი შეცვლაზე შესულმა **გიორგი მარგველანმა** გაქრა. კიკნაძემ გარდასახა - 26:14.

მატჩის დასრულებამდე 30 წუთი იყო დარჩენილი. „აიასთვის" ეს საკმარისი დრო უნდა ყოფილიყო მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ქუთათურებმა თამაშის დალაგება ვერაფრით შეძლეს. მეტიც, 75-ე წუთზე კიკნაძემ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა 15 ქულამდე გაზარდა - 29:14.

„აიამ" ამის შემდეგღა დაიწყო ძველებურად მწყობრი შეტევების ორგანიზება და თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კიდევ ერთი ლელო გაიტანა. ამჯერად, მეორე ლელოს მსგავსი კომბინაცია გარემარბმა **შალვა შაშიაშვილმა** დაასრულა, შეცვლაზე შესულმა **გიორგი ბაბუნაშვილმა** ვერ გარდასახა - 19:29.

**XIV ტური**

**ბათუმი-აკადემია 22:18**

**ბათუმი:** 3ლ - გუგუშვილი, სულაბერიძე, გიგაშვილი. 2გ - ოდიშარია. ს - შამულო.

**სინბინი:** ცირეკიძე, გიგაშვილი, ბ.ევგენიძე.

**გაძევება:** კაიკაციშვილი

**აკადემია:** 3ლ - მაკაროვი, ქოპილაშვილი, მათიაშვილი. ს - მათიაშვილი.

**სინბინი:** ალხაზაშვილი, გ. ლამბაშიძე.

**გაძევება:** ჭუაძე.

**ხარები-ყოჩები** *ჩაიშალა*

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 13 | 10 | 0 | 3 | +220 | 49 |
| 2.აია | 14 | 10 | 0 | 4 | +124 | 46 |
| 3.არმია | 13 | 10 | 0 | 3 | +151 | 45 |
| 4.ლოკომოტივი | 13 | 9 | 0 | 4 | +63 | 40 |
| 5.ყოჩები | 13 | 8 | 1 | 4 | +41 | 38 |
| 6.არმაზი | 14 | 8 | 0 | 6 | -23 | 35 |
| 7.ჯიქები | 15 | 6 | 2 | 7 | +29 | 35 |
| 8.ხარები | 14 | 3 | 0 | 11 | -165 | 15 |
| 9.ბათუმი | 14 | 3 | 0 | 11 | -254 | 14 |
| 10.აკადემია | 15 | 1 | 0 | 14 | -186 | 11 |

**ხვალ**

ლოკომოტივი-ლელო

ჯიქები-არმია

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


სტივენ სტემკოსი

# ჰეთ-თრიკი ტრავმის შემდეგ

სოჭის ოლიმპიადის გამოტოვების შემდეგ, „ტამპა ბეი ლაითნინგის" სნაიპერი **სტივენ სტემკოსი** თანდათან შედის ფორმაში. ფორვარდმა ტრავმისგან აღდგენის შემდეგ, პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა „ტორონტოსთან" მატჩში. შეგახსენებთ, რომ ნოემბრის შუაში სტემკოსმა ფეხი მოიტეხა, როცა „ბოსტონთან" შეხვედრაში უხერხულად დაეჯახა კარს. სტივენი ყინულზე მხოლოდ მარტის შუა რიცხვებში დაბრუნდა, მაგრამ მალე დაიბრუნა ძველი კონდიციები და საგოლე ალღო.

კანადელი პირველი პერიოდის შუაში შეუდგა საქმეს, როცა „ტორონტო" **ფილ კესელისა** და **ნიკოლაი კულემინის** მონდომებით 2:1 დაწინაურდა. ჯერ კიდევ პირველ შესვენებამდე სტემკოსმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში (რიცხობრივ უპირატესობაში), შემდეგ კი „ლაითნინგი" წინ გაიყვანა, როცა კართან ახლოს დაასწრო ყველას. მესამე გოლის ლოდინს დიდი ხანი არ დასჭირვებია. მეორე პერიოდის მეექვსე წუთზე სტემკოსი „ტორონტოს" მეკარის **რაიმერის** (ბოლო სამ მატჩში 11 შაიბა გაუშვა) მოგერიებულს ჩაუსაფრდა და ჰეთ-თრიკი გაიფორმა.

„ტორონტომ" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და ატლანტიკის დივიზიონის პირველი სამეულიდან გამოვარდა, საიდანაც გუნდები პირდაპირ გავლენ პლეი ოფში. უაილდ-ქარდისთვის ბრძოლაში კი „ტორონტოს" „კოლამბუსი" ავიწროებს - ამ უკანასკნელს სამი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და ოთხი ქულით ჩამორჩება კანადელებს.

■ ■ ■

„ჩიკაგომ" საკუთარ მოედანზე „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა დასავლეთი კონფერენციის ლიდერი „სენტ ლუისი", მაგრამ დაკარგა თავისი ლიდერი **პატრიკ კეინი**. „ჩიკაგოს" ფორვარდი ცუდად დაეცა ყინულზე „ბლუზის" ვეტერან **ბრენდან მოროუსთან** შეჯახების შემდეგ და როგორც მისი აგენტი ამბობს, სავარაუდოდ, სამი კვირის გამოტოვება მოუწევს. წლევანდელი სეზონის მეშვიდე ბომბარდირმა ფეხი დაიზიანა.

*„ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მიმდინარე სეზონში გვიმართლებდა, რადგან ჩვენი ჰოკეისტები ტრავმებს არ იღებდნენ. ყველას ესმის, რომ კეინი - განსაკუთრებული მოთამაშეა და რაღაც გვაქვს მოსაფიქრებელი ტაქტიკაში"*, - აღნიშნა „ჩიკაგოს" მთავარმა მწვრთნელმა **ჯოელ კენევილმა**, რომლისთვისაც ეს იყო კარიერაში მე-700 მოგება. ის გახდა მესამე მწვრთნელი NHL-ის ისტორიაში, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. მანამდე ეს გააკეთეს **სკოტი ბოუმენმა** (1244) და **ელ არბურმა** (782).

| ვინიპეგი–კოლორადო | 5:4 (ო) |
|---|---|

2:2, 1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 რ. ორაილი-26 (დუშენი-45, მაკგინი-15), 1:1 ლედი-20 (ლიტლი-35, ტროუბა-18): 2:1 ტანგრადი-2 (ველერი-34, ო. იოკინენი-24), 2:2 ლანდესკოგი-21 (ბენუა-19, მაკინონი-31), 3:2 ე. კეინი-17 (სეტოგუჩი-16, პოსტმა-1), 3:3 ჰოლდენი-8 (ბერი-21, ტელბოტი-15), 4:3 ლედი-21 (ველერი-35, ენსტრიომი-17), 4:4 მაკლეოდი-3 (ტელბოტი-16, გენინი-7), 5:4 ველერი-24 (პოსტმა-2, ენსტრიომი-18).

| ტორონტო–ტამპა ბეი | 3:5 |
|---|---|

2:3, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 გუდასი-3 (ფილპულა-28), 1:1 კესელი-35 (გუნარსონი-14, ბოჟაკი-26), 2:1 კულემინი-9 (გლისონი-5, რაილი-22), 2:2 სტემკოსი-17 (ფილპულა-29), 2:3 სტემკოსი-18 (ტ. ჯონსონი-22, სალო-11), 2:4 სტემკოსი-19 (მელოუნი-8, ბრიუერი-12), 3:4 გარდინერი-10 (ფრენსონი-25, ბოჟაკი-27), 3:5 ტ. ჯონსონი-22 (მელოუნი-9, პურსელი-28).

| ჩიკაგო–სტ ლუისი | 4:0 |
|---|---|

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კიტი-5 (პ. კეინი-40, შარპი-38), 2:0 შოუ-18 (ლედი-20, შარპი-39), 3:0 კრუგერი-7 (რეგინი-6, ჰიალმარსონი-22), 4:0 ბ. სმიტი-10 (ვერსტიგი-22, ლედი-21).

| ვანკუვერი–ნეშვილი | 2:0 |
|---|---|

0:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 იენსენი-3 (პ. სედინი-35, ჰამჰუისი-13), 2:0 ედლერი-6 (ბიექსა-20, ჰ. სედინი-36).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 69 | 47 | 17 | 5 | 99 |
| 2. ტამპა ბეი | 69 | 38 | 24 | 7 | 83 |
| 3. მონრეალი | 70 | 38 | 25 | 7 | 83 |
| 4. ტორონტო | 71 | 36 | 27 | 8 | 80 |
| 5. დეტროიტი | 68 | 31 | 24 | 13 | 75 |
| 6. ოტავა | 68 | 28 | 27 | 13 | 69 |
| 7. ფლორიდა | 69 | 26 | 35 | 8 | 60 |
| 8. ბაფალო | 69 | 19 | 42 | 8 | 46 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 68 | 45 | 19 | 4 | 94 |
| 2. ფილადელფია | 68 | 36 | 25 | 7 | 79 |
| 3. რეინჯერსი | 70 | 37 | 29 | 4 | 78 |
| 4. კოლამბუსი | 68 | 35 | 27 | 6 | 76 |
| 5. ვაშინგტონი | 70 | 33 | 27 | 10 | 76 |
| 6. ნიუ ჯერსი | 69 | 29 | 27 | 13 | 71 |
| 7. კაროლინა | 69 | 30 | 30 | 9 | 69 |
| 8. აილენდერსი | 70 | 26 | 35 | 9 | 61 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ლუისი | 69 | 47 | 15 | 7 | 101 |
| 2. ჩიკაგო | 70 | 40 | 15 | 15 | 95 |
| 3. კოლორადო | 70 | 44 | 20 | 6 | 94 |
| 4. მინესოტა | 69 | 36 | 23 | 10 | 82 |
| 5. დალასი | 68 | 32 | 25 | 11 | 75 |
| 6. ვინიპეგი | 71 | 32 | 30 | 9 | 73 |
| 7. ნეშვილი | 70 | 29 | 31 | 10 | 68 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანაჰაიმი | 69 | 45 | 17 | 7 | 97 |
| 2. სან ხოსე | 70 | 45 | 18 | 7 | 97 |
| 3. ლოს ანჯელესი | 69 | 38 | 25 | 6 | 82 |
| 4. ფინიქსი | 69 | 33 | 25 | 11 | 77 |
| 5. ვანკუვერი | 72 | 32 | 30 | 10 | 74 |
| 6. კალგარი | 69 | 28 | 34 | 7 | 63 |
| 7. ედმონტონი | 70 | 25 | 36 | 9 | 59 |

*შენიშვნა:პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 91 (33+58) |
| ფილ კესელი (ტორ) | 74 (35+39) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 74 (29+45) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 71 (24+47) |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 70 (31+39) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 69 (46+23) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 69 (29+40) |
| კაილ ოკპოსო (აილ) | 69 (27+42) |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 68 (29+39) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 68 (13+55) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 46 |
| კორი პერი (ანა) | 36 |
| ფილ კესელი (ტორ) | 35 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 34 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 33 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 32 |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 31 |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 30 |
| მაქს პასიორეტი (მონ) | 30 |

**პასები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 58 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 56 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 55 |
| დანკან კიტი (ჩიკ) | 50 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 47 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 47 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 45 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 45 |
| მეტ დუშენი (კოლ) | 45 |
| დავიდ კრეიჩი (ბოს) | 44 |

● ჩოგბურთი. ტურნირები

# რა იქნება მაიამის შემდეგ

მაიამიში დაიწყო მამაკაცთა მასტერსი და ქალთა უმაღლესი კატეგორიის ტურნირი, რის შემდეგაც, დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი რეიტინგებში.

მაგალითად, მაიამის ტურნირის შემდეგ, რუსეთი, შესაძლოა, WTA-ის ტოპათეულში საკუთარი წარმომადგენლის გარეშე დარჩეს. **მარია შარაპოვამ** ვერ შეძლო ტიტულის დაცვა ინდიან უელში - მესამე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. ამით, მარიამ რეიტინგში წინ გაუშვა **სიმონა ჰალეპი** და **ელენა იანკოვიჩი**. ამ კვირას მარიამ მაიამიში ფინალამდე უნდა მიაღწიოს, რათა თავიდან აიცილოს ქულების დაკარგვა. ამოცანა ძალიან რთულია, რადგან რუსი ბოლო დროს არასტაბილურ თამაშს აჩვენებს.

ათეულში მოხვედრის სამ პრეტენტენტს ვხედავთ - **დომინიკა ციბულკოვა, ფლავია პენეტა** და **ანა ივანოვიჩი**. თუ იტალიელი და სერბი ადრე იყვნენ ტოპათეულში, სლოვაკისთვის ეს იქნება დებიუტი საჩოგბურთო ელიტაში. ციბულკოვასთვის ბევრი რამ დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ შარაპოვას, არამედ სარა ერანის თამაშზე. იტალიელი საშინელ სეზონს ატარებს და მისი გამოთხოვება TOP10-თან შორს არ არის.

■ ■ ■

სიმონა ჰალეპი ინდიან უელსში ნახევარფინალამდე მივიდა და დიდი რაოდენობით ქულა დააგროვა. რუმინელი WTA-ის ისტორიაში 67-ე ჩოგბურთელი გახდა, ვინც რეიტინგის პირველ ხუთეულში შეაღწია. ის პირველი რუმინელია ამ სიაში. საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროს, აშშ-ს TOP5-ში 15 წარმომადგენელი ჰყავდა, მეორეა რუსეთი - 8 ჩოგბურთელი.

ჰალეპის შემდეგი მიზანია - **ვიქტორია აზარენკა**. ბელარუსი მაიამიში არ ითამაშებს, ასე რომ, სიმონას თეორიულად უკვე მომავალ ორშაბათს შეუძლია შეავიწროოს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი. თუმცა ამისთვის რუმინელს მაიამიში ტიტულის აღება დასჭირდება.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, ინდიან უელსის შემდეგ ყველაზე დიდი გარღვევა **როჯერ ფედერერს** ჰქონდა. მან გაუსწრო **ხუან მარტინ დელ პოტროს, ენდი მარეისა** და **ტომაშ ბერდიხს**. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ მაიამის მასტერსის შემდეგ, როჯერი უკან ჩამოიტოვებს **დავიდ ფერერს**, რადგან ესპანელს ფინალისთვის ქულები აქვს დასაცავი, ფედერერს კი ყოველ ეტაპზე გასვლა მოუტანს ქულას. ასევე საფრთხის ქვეშ არის **სტანისლას ვავრინკას** მესამე ადგილი. თუ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი რომელიმე საწყის ეტაპზე დამარცხდება, როჯერი ტურნირზე გამარჯვების შემთხვევაში გაასწრებს თანამემამულეს.

■ ■ ■

**რაფაელ ნადალმა** ქულების დაკარგვა დაიწყო. მთელი შარშანდელი სეზონი მას მხოლოდ ემატებოდა ქულები, მაგრამ ოდესღაც, ესპანელისთვის ჩავარდნის პერიოდი უნდა დამდგარიყო. მალე გრუნტის სეზონი დაიწყება და თან ესპანელს სოლიდური უპირატესობა აქვს სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩზე** - 2230 ქულა. მაგრამ ნადალს საყვარელ საფარზე მძიმე გამოცდა ელის, რადგან შარშან, გრუნტზე პრაქტიკულად ქულათა მაქსიმუმი მოიპოვა. ჯოკოვიჩი კი პირიქით, არც ისე წარმატებული იყო, ასე რომ, შეუძლია მარაგი სოლიდურად შეავსოს და გაასწროს კიდეც ესპანელს როლან გაროსის დაწყებამდე. შორს მიმავალი პროგნოზების გაკეთება ჯერ არ ღირს, რადგან მაიამის მასტერსზე ორივეს შეუძლია ქულების დაგროვება: 2013 წელს ნადალმა ეს ტურნირი გამოტოვა, ჯოკოვიჩმა კი მერვედფინალში წააგო.

■ ■ ■

ქალთა ტურნირზე **სერენა უილიამსს** 1000 ქულის დაცვა უწევს. თუმცა ამ ათასი ქულის გარეშეც, ამერიკელი დიდი ხანი დარჩება WTA-ის ტურის ლიდერად. სერიოზული პრობლემები აქვს მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **კაროლინ ვოზნიაცკის**. მას მხოლოდ 90 ქულა აქვს დასაცავი, მაგრამ პირველივე მატჩში წაგების შემთხვევაში, დანიელი უნდა გამოემშვიდობოს TOP20-ს.

კვლავაც შეიძლება გაცვალონ ადგილები ტომაშ ბერდიხმა, ხუან მარტინ დელ პოტრომ და ენდი მარეიმ. და, რა თქმა უნდა, ბრძოლა უნდა იყოს TOP10-ში მოსახვედრად. მაიამის ტურნირის შედეგების მიხედვით, ათეულში შეიძლება შევიდეს **მილოშ რაონიჩი** და **ჟო-ვილფრიდ ცონგა**.


მარია შარაპოვა (მარცხნივ) და სერენა უილიამსი

● სამთო თხილამურები


მარია ჰიოფლ-რიში

# მარია აღარ ისრიალებს

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა **მარია ჰიოფლ-რიშმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

*„ვანკუვერში თითქმის იდეალური გამოსვლის შემდეგ, ჩემი მიზანი იყო სოჭის ოლიმპიადაზე კიდევ ერთი ოქროს მოგება. მე ეს შევძელი და ახლა, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა"*, - განაცხადა 29 წლის მოთხილამურემ.

ვანკუვერში 2010 წლის ოლიმპიადაზე გერმანელმა პირველობა მოიპოვა სუპერკომბინაციასა და სლალომში. წელს, სოჭის თამაშებზე იმავე სუპერკომბინაციაში გაიმარჯვა და ამას ვერცხლი დაუმატა სუპერგიგანტში. წელს, ჰიოფლ-რიში ლიდერობდა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში, მაგრამ ფინალურ ეტაპზე დაცემამ არ მისცა „ბროლის დიდი გლობუსის" მოპოვების შანსი.

ჩამოთვლილი ოლიმპიური ჯილდოების გარდა, მარია ჰიოფლ-რიში ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი, 2011 წელს კი მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა.

● კრივი

# ვიტალი არ ბრუნდება

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ყოფილი ჩემპიონი, უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **ვიტალი კლიჩკო** არ აპირებს პროფესიული კარიერის განახლებას.

*„სპორტში არ ვბრუნდები. თუმცა ჩემს გულში კრივს ყოველთვის ექნება ადგილი. ბოლო დროს, თითქმის არ მრჩება ვარჯიშისთვის დრო. როგორც კი შესაძლებლობა ჩნდება, დილის 7 საათზე ფიტნესცენტრში მივდივარ, დილის ცხრაზე კი უკვე ოფისში ვმუშაობ"*, - ამბობს კლიჩკო.

შეგახსენებთ, რომ ვიტალის უმცროსი ძმა - **ვლადიმერ კლიჩკო** თავის მორიგ ბრძოლას 26 აპრილს, გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში ჩაატარებს. უკრაინელი WBO-ს, WBA-სა და IBF-ის ტიტულებს დაიცავს ავსტრალიელ **ალექს ლეაპაისთან** შეხვედრაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ვიტალი კლიჩკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ბოსტონი-მაიამი

# პირველი მოგება ფილის თვალწინ

„ნიუ იორკ ნიქსმა" ახალი პრეზიდენტის **ფილ ჯექსონის** დანიშვნის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა. „დიდი ფილი" აღმოსავლეთის ლიდერთან „ინდიანასთან" შეხვედრას თვალს „მედისონ სკვერ გარდენის" ტრიბუნებიდან ადევნებდა და როგორც ჩანს, კმაყოფილი დარჩა ნანახით. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მაყურებლებზეც, რომლებიც ორჯერ წამოდგნენ ფეხზე. პირველად იმისთვის, რომ ჯექსონს მისალმებოდნენ, და მეორედ - „პეისერსზე" გამარჯვების აღსანიშნავად.

ამ წარმატებას საფუძველი ჩაუყარა კარგად ჩატარებულმა პირველმა ნახევარმა, რომლის დროსაც მასპინძლების უპირატესობამ 12 ქულა შეადგინა. შესანიშნავად გამოიყურებოდა **ენტონისა** და **სტაუდმაიერის** დუეტი, რომელმაც 55 ქულა დააგროვა. „ინდიანაზე" გამარჯვება „ნიუ იორკისთვის" ზედიზედ მეშვიდე იყო, მაგრამ მერვე ადგილამდე „ნიქსი" ჯერ ვერ ავიდა. და ამაში **მაიკ ვუდსონის** შეგირდები თავად არიან დამნაშავენი, რადგან თებერვალში 13-დან მხოლოდ ორჯერ მოიგეს.

■ ■ ■

„ბოსტონი" ამ სეზონში მესამე გუნდი გახდა, რომელმაც ორჯერ შეძლო „მაიამის" დამარცხება. მანამდე ეს შეძლეს „ბრუკლინმა" და „ჩიკაგომ".

გუშინ, „სელტიქსს" საქმე იმან გაუადვილა, რომ „მაიამის" ვერ ეხმარებოდა **ლებრონ ჯეიმსი**. „მეფემ" ზურგის არეში ტკივილი იგრძნო და ფლორიდელთა მთავარმა მწვრთნელმა თავის ლიდერს დასვენების საშუალება მისცა.

პირველ მეოთხედში „ჰიტმა" თითქოს არ შეიმჩნია ლებრონის არყოფნა და 12 ქულით დაწინაურდა. მაგრამ დარჩენილ 36 წუთში „ბოსტონმა" თამაშიდან 60 პროცენტის სიზუსტით ისროლა და მატჩს დაძაბული დასასრული გაუნაღდა. თავდაპირველად, ხმამაღალი სიტყვა თქვა **ჯეფ გრინმა**, რომელმაც სირენამდე 2.32 წუთით ადრე, 94:94-ზე სამქულიანი ჩააგდო. შემდეგ თავი გამოიჩინა **რაჟონ რონდომ**, როცა ორჯერ ფარქვეშ შესვლა დაასრულა წარმატებით. მეტოქის ამ სამ შეტევას ჩემპიონებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს - **დუეინ უეიდის** შესრულებით. ასე რომ, „კელტებმა" შეწყვიტეს ხუთმატჩიანი წაგებათა სერია, „ჰიტმა" კი ვერ ისარგებლა ნიუ იორკში „ინდიანას" წაგებით, რათა გაეუმჯობესებინა აღმოსავლეთში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში სიტუაცია.

■ ■ ■

გუშინდელი დღის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირება იყო „მინესოტასა" და „დალასის" მატჩი. სპეციალისტთა უმრავლესობამ უკვე ამოშალა „ტიმბერვულვზი" პლეი ოფის საგზურისთვის მებრძოლთა სიიდან, მაგრამ ამ მოსაზრებას თავად „მგლები" არ ეთანხმებიან, კერძოდ კი მათი ესპანელი გამთამაშებელი **რიკი რუბიო**. „მავერიქსის" წინააღმდეგ ესპანელმა სეზონში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა, თანაც ეს ძირითად დროში გააკეთა, არადა, გუნდებმა ოვერტაიმიც ითამაშეს...

ძირითადი დროის მსვლელობისას „მინესოტას" უპირატესობა 22 ქულას აღწევდა, მაგრამ, საბოლოოდ, ოვერტაიმში გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა. ბოლო წამებზე მატჩის ბედი **დირკ ნოვიცკის** ხელთ იყო. მას შემდეგ, რაც **კევინ ლავმა** ზედიზედ ექვსი ქულა აიღო და თავისი გუნდი წინ გაიყვანა, გერმანელს ჰქონდა „დალასისთვის" გამარჯვების მოპოვების შანსი. მაგრამ გერმანელის საშუალო ტყორცნამ მიზანს არ მიაღწია. შესაბამისად, „ვულვზმა" პლეი ოფის ზონამდე მანძილი ერთი მოგებით შეამცირა.

■ ■ ■

„ფილადელფიამ" ზედიზედ 22-ე მატჩი წააგო და „კლივლენდის" ანტირეკორდამდე ოთხი მოგება უკლია.

„ბრუკლინმა" ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო საკუთარ მოედანზე.

„სან ანტონიომ" „ლეიკერსთან" მატჩში 34 შედეგიანი გადაცემა შეასრულა და ზედიზედ მე-11 გამარჯვება გაიფორმა.

**ფილადელფია-ჩიკაგო 94:102**

26:28, 19:24, 24:23, 25:27

ფ: იანგი (24+4 ჩაჭრა), როტენი (17), კარტერ-უილიამსი (16+9 მოხსნა), მალენსი (12).

ჩ: ოგასტინი (20), გიბსონი (19+13 მოხსნა), ბატლერი (16), დანლივი (15), ნოა (14+10 მოხსნა+4 დაფარება), ბუზერი (12+11 მოხსნა).

**ბოსტონი-მაიამი 101:96**

22:34, 31:25, 27:19, 21:18

ბ: ბრედლი (23), ბასი (18), სალინჯერი (14), გრინი (13), ოლინიკი (10), რონდო (9+15 პასი+10 მოხსნა).

მ: უეიდი (17), ანდერსენი (16), ჰასლემი (14), ალენი (14), ბიზლი (12), კოული (10), ჩელმერსი (7+11 პასი), ბოში (6+11 მოხსნა).

**ბრუკლინი-შარლოტი 104:99**

26:21, 28:25, 21:24, 29:29

ბ: უილიამსი (25+8 პასი), ჯონსონი (20), ლივინგსტონი (17), ბლეტჩი (13), პლამლი (11), ტორნტონი (11).

შ: ჯეფერსონი (18+12 მოხსნა), ნილი (17), ჰენდერსონი (13), დაგლას რობერტსი (13), ზელერი (10).

**მემფისი-იუტა 96:86**

30:19, 18:13, 26:31, 22:23

მ: რენდოლფი (21+11 მოხსნა), გასოლი (20+10 მოხსნა+4 დაფარება), კონლი (18), ალენი (10).

ი: ბერკსი (16), ჰეივორდი (16), ბერკი (16), კანტერი (12+12 მოხსნა).

**ნ. ორლეანი-ტორონტო 100:107**

32:24, 25:32, 28:25, 15:26

ნ-ო: ამინუ (19+10 მოხსნა), ევანსი (18), გორდონი (15), რობერტსი (11), აჯინკა (10), რივერსი (10).

ტ: დეროზანი (31), ლოური (23), ჯონსონი (17+9 მოხსნა), ვასკესი (14), ჰენსბრო (7+13 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ინდიანა 92:86**

21:14, 26:21, 20:27, 25:24

ნ-ი: ენტონი (34), სტაუდმაიერი (21), ფელტონი (11), ჩენდლერი (7+14 მოხსნა).

ი: სტივენსონი (21+9 მოხსნა), ჰიბერტი (20), ჯორჯი (17).

**დალასი-მინესოტა 122:123 (ო)**

24:37, 35:29, 28:28, 26:19, 9:10

დ: ნოვიცკი (27), ელისი (22), მერიონი (16+11 მოხსნა), კარტერი (14), ჰარისი (13), კალდერონი (12), დალემბერი (7+14 მოხსნა).

მ: ლავი (35), რუბიო (22+15 პასი+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), მარტინი (19), ბარეა (15), ბრიუერი (13), დიენგი (10+11 მოხსნა).

**დენვერი-დეტროიტი 118:109**

27:28, 27:33, 31:23, 33:25

დენ: ბრუქსი (27+17 პასი), ფოიე (22), ფარიდი (15), არტური (13), მოზგოვი (11+9 მოხსნა), ჰიქსონი (11+11 მოხსნა), ფრუნიე (11).

დეტ: მონრო (22+4 ჩაჭრა), სტაკი (18), სინგლერი (13+9 მოხსნა), ვილანუევა (13), ბაინუმი (12+10 პასი), კოლდუელ-პოუპი (9+10 მოხსნა).

**ფინიქსი-ორლანდო 109:93**

25:25, 27:27, 30:24, 27:17

ფ: დრაგიჩი (18), გრინი (14), ფრაი (12), მორისი (12), პლამლი (10+9 მოხსნა).

ო: ჰარისი (23+9 მოხსნა), აფლალო (20), ოლადიპო (14+9 პასი), ო'ქუინი (6+11 მოხსნა).

**ლეიკერსი-სან ანტონიო 109:125**

29:35, 28:23, 30:34, 22:33

ლ: ჰენრი (24), გასოლი (22+10 მოხსნა+4 დაფარება), კელი (14), ბეიზმორი (13+6 ჩაჭრა), მიქსი (11), მარშალი (10), საკრე (7+11 მოხსნა).

ს-ა: პარკერი (25), ლეონარდი (22+10 მოხსნა), გრინი (16), ჯინობილი (13), დანკანი (12+16 მოხსნა), სპლიტერი (10), ბელინელი (10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ინდიანა | 68 | 50 | 18 | 73.5 |
| 2. x-მაიამი | 66 | 46 | 20 | 69.7 |
| 3. ტორონტო | 67 | 38 | 29 | 56.7 |
| 4. ჩიკაგო | 68 | 38 | 30 | 55.9 |
| 5. ბრუკლინი | 66 | 35 | 31 | 53.0 |
| 6. ვაშინგტონი | 67 | 35 | 32 | 52.2 |
| 7. შარლოტი | 69 | 33 | 36 | 47.8 |
| 8. ატლანტა | 66 | 31 | 35 | 47.0 |
| 9. ნიუ იორკი | 68 | 28 | 40 | 41.2 |
| 10. კლივლენდი | 68 | 26 | 42 | 38.2 |
| 11. დეტროიტი | 67 | 25 | 42 | 37.3 |
| 12. ბოსტონი | 69 | 23 | 46 | 33.3 |
| 13. ორლანდო | 69 | 19 | 50 | 27.5 |
| 14. ფილადელფია | 68 | 15 | 53 | 22.1 |
| 15. მილუოკი | 68 | 13 | 55 | 19.1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო | 67 | 51 | 16 | 76.1 |
| 2. ოკლაჰომა | 67 | 49 | 18 | 73.1 |
| 3. კლიპერსი | 69 | 48 | 21 | 69.6 |
| 4. ჰიუსტონი | 67 | 45 | 22 | 67.2 |
| 5. პორტლენდი | 68 | 44 | 24 | 64.7 |
| 6. გ. სტეიტი | 69 | 43 | 26 | 62.3 |
| 7. მემფისი | 67 | 40 | 27 | 59.7 |
| 8. დალასი | 69 | 41 | 28 | 59.4 |
| 9. ფინიქსი | 68 | 39 | 29 | 57.4 |
| 10. მინესოტა | 66 | 34 | 32 | 51.5 |
| 11. დენვერი | 68 | 31 | 37 | 45.6 |
| 12. ნიუ ორლეანი | 67 | 27 | 40 | 40.3 |
| 13. საკრამენტო | 68 | 24 | 44 | 35.3 |
| 14. ლეიკერსი | 67 | 22 | 45 | 32.8 |
| 15. იუტა | 69 | 22 | 47 | 31.9 |

*x - გავიდა პლეი ოფში*

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ანჟი-ალკმაარი | 0:0 (0:1) |
| ბენფიკა-ტოტენჰემი | 2:2 (1:3) |
| ფიორენტინა-იუვენტუსი | 0:1 (1:1) |
| ვალენსია-ლუდოგორეცი | 1:0 (3:0) |
| პლზენი-ლიონი | 2:1 (1:4) |
| ბეტისი-სევილია | 0:2 პენ. 3:4 (2:0) |
| ნაპოლი-პორტუ | 2:2 (0:1) |
| ზალცბურგი-ბაზელი | 1:2 (0:0) |

**ევრო 2014**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-შვედეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-ავსტრია | 2:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ფიურტი II-ილერტისენი | 0:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ჰოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰობრო-ფრედერისია | 1:0 |

**ბულგარეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-დობრუჯა | 2:0 (3:0) |

**ლიბერტადორესის თასი**

| | |
|---|---|
| ატ. პარანაენსე-უნივერსიტარიო | 3:0 |

**სინგაპური**

| | |
|---|---|
| გეილანგი-იანგ ლაიონსი | 1:0 |
| უორიორსი-ჰუგანგი | 2:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ლოკომოტივი | 85:86 |
| პანათინაიკოსი-ფენერბაჰჩე | 76:67 |
| რეალი-ცსკა | 93:79 |
| პარტიზანი-მაკაბი | 72:70 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| მოტორი-კილი | 28:31 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სკა-ლოკომოტივი | 1:0 |
| ლევი-დონბასი | 5:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| კლოტენი-დავოსი | 3:1 |
| სერვეტი-ლუგანო | 2:1 (ბ) |
| ციურიხი-ლოზანა | 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-ფერიესტადი | 1:2 |
| ვექსიო-ლულეა | 3:4 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| ბედენე-**ვანგი** | 1:6, 6:2, 6:4 |
| ბოგომოლოვი-**რობერი** | 5:7, 4:6 |
| **ხიმენო ტრავერი**-ხაჩანოვი | 6:7, 6:1, 6:1 |
| **ისტომინი**-მაიუ | 7:6, 7:6 |
| **სოკი**-პეია | 6:3, 6:4 |
| დე ბონისი-**ჰარისონი** | 2:6, 4:6 |
| **ლაჩკო**-დე სხეპერი | 6:4, 6:4 |
| **ლუ**-კუკუშკინი | 6:1, 3:1 უარი |
| **როჟე ვასელენი**-სისლინგი | 3:6, 6:3, 7:6 |
| პაასე-**ჰიუიტი** | 6:3, 3:6, 3:6 |
| კლანი-**გარსია ლოპესი** | 6:1, 1:6, 4:6 |
| ტომიჩი-**ნიემინენი** | 0:6, 1:6 |
| ბერლოკი-**იანგი** | 2:6, 2:6 |

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| კირსტეა-**პირონკოვა** | 3:6, 3:6 |
| პენგი-**კერბერი** | 3:6, 6:1, 6:7 |
| პეტერსონი-**მაკაროვა** | 1:6, 1:6 |
| ბერტენსი-**სტოსური** | 3:6, 2:6 |
| **ივანოვიჩი**-დევისი | 6:1, 6:1 |
| კუზნეცოვა-**ვეკიჩი** | 6:7, 5:7 |
| **გარსია**-ზაკოპალოვა | 7:6, 7:6 |
| გოვორცოვა-**პენეტა** | 3:6, 3:6 |
| კინგი-**საფაროვა** | 3:6, 6:7 |
| ორმაეჩეა-**კვიტოვა** | 3:6, 4:6 |
| პეტროვა-**ლისიცკი** | 6:3, 4:6, 4:6 |
| **ერანი**-მეირი | 6:1, 6:4 |
| **ფლიპკენსი**-რაზანო | 6:1, 3:6, 6:3 |
| პავლიუჩენკოვა-**ვანდევეგე** | 6:7, 5:7 |

## TV პროგრამა

**21 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ნაპოლი-პორტო. საპასუხო მატჩი.
12:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ფიორენტინა-იუვენტუსი. საპასუხო მატჩი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
15:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის წილისყრა (LIVE).
15:30 საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
16:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ბეტისი-სევილია. საპასუხო მატჩი.
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
19:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური. სპორტინგი-პორტო.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ბარსელონა-რეალი. ფილმი ოპერა.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ფრაიბურგი-ვერდერი (LIVE).
01:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ნიურნბერგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XI ტური. რეალი-ცსკა.
14:30 საჩოგბურთო მიმოხილვა
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-შალკე.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-ინგლისი.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XI ტური. გალათასარაი-ბაიერნი (LIVE).
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
18:30 ჩოგბურთი. ახალი ამბები.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

## ამბები

**კალათბურთი**

### კობი ბრაიანტი: ობამა მოგვეხმარებოდა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** შეძლებდა კალიფორნიული კლუბის შემადგენლობის გაძლიერებას. NBA-ის ვარსკვლავის თქმით, ქვეყნის პირველ პირს ამისთვის ყველა საჭირო თვისება გააჩნია.

*„ვფიქრობ, ობამა შეძლებდა დღევანდელი „ლეიკერსის" გაძლიერებას, - ამბობს ბრაიანტი. - სწორად გამიგეთ: არ ვაკრიტიკებ გუნდის შემადგენლობას. უბრალოდ, ობამამ ბევრი იცის - მე პატივს ვცემ მის ნიჭს".*

### ნეში წელსვე დაბრუნდება?

„ლეიკერსის" 39 წლის გამთამაშებელი **სტივ ნეში** უკვე ამ სეზონში აპირებს მოედანზე დაბრუნებას. კალათბურთელის თქმით, ის თავს შესანიშნავად გრძნობს, მაგრამ ჯერ მზად არ არის სერიოზული დატვირთვებისთვის. ბოლო დროს, ნეში ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო არ თამაშობდა.

ამ სეზონში კანადელმა მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და 7.6 ქულა და 4.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

### კარმელო ჯექსონს მიესალმება

„ნიუ იორკ ნიქსის" ლიდერი **კარმელო ენტონი** აღფრთოვანებით შეხვდა კლუბის პრეზიდენტად **ფილ ჯექსონის** დანიშვნას. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა იმას, რომ არასოდეს გამოუთქვამს „ნიუ იორკის" დატოვების სურვილი.

*„არასოდეს მითქვამს, რომ „ნიუ იორკის" დატოვება მინდა, - ამბობს ენტონი. - უბრალოდ იმაზე გავამახვილე ყურადღება, რომ თავისუფალი აგენტის ბაზარზე გასვლა მსურს. ეს კი სხვადასხვა რამ არის. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ფილ ჯექსონთან მუშაობის საშუალება მომეცა. ის ნამდვილი ლეგენდაა".*

### რეკლამა 5 წლის შემდეგ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **ადამ სილვერმა** განაცხადა, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გუნდების სათამაშო მაისურებზე რეკლამა გაჩნდება.

ჯერ კიდევ 2011 წელს, სილვერი ამბობდა, რომ სპონსორთა ლოგოების გამოჩენა NBA-ს დაახლოებით 100 მილიონ დოლარს მოუტანდა წელიწადში.

**ფორმულა 1**

### რედ ბულმა მაინც იჩივლა

ავსტრიულმა საჯინიბომ „რედ ბულმა" ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაში აპელაცია შეიტანა ავსტრალიის გრანპრიზე **დანიელ რიკარდოს** დისკვალიფიკაციის გამო. როგორც იცით, ავსტრალიელ პილოტს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის გამო მეორე ადგილი ჩამოართვეს. კერძოდ, რიკარდოს ბოლიდზე საწვავის ხარჯი დაშვებულ ნორმას აღემატებოდა. თუმცა „რედ ბულში" დარწმუნებულნი არიან, რომ ფედერაციის სენსორი გაუმართავად მუშაობდა და გუნდს რეგლამენტი არ დაურღვევია.

სავარაუდოდ, „რედ ბულის" აპელაციას ამ კვირის ბოლოს განიხილავენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტის მუზეუმის საიდუმლო ექსპონატი

## ათასი შეკითხვა ერთი სამკერდე ნიშნის ირგვლივ

სპორტის სამინისტროში პრესკონფერენციებზე დროზე ადრე რამდენჯერაც მივედი, იმდენჯერ სპორტის მუზეუმში შევიარე. ყოველი სტუმრობისას ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთული გამოვდივარ. დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს, „ტაიმლაინის" მკითხველისთვის ერთგვარი ექსკურსიის მოწყობა, თუმცა ოთხშაბათს, მორიგი ვიზიტისას დავრწმუნდი, რომ ეს შეუძლებელია - მუზეუმში იმდენი საინტერესო ექსპონატია, ზოგადი თვალის გადავლება წიგნის წაუკითხავად გადაფურცვლის ტოლფასი იქნება.



მუზეუმს საპატიო წრე დავარტყი, დავათვალიერე ოლიმპიური მედლები, თასები და გასასვლელ კართან რომ მივედი, მუზეუმის ხელმძღვანელმა, ლილი ლომსაძემ კარის მარჯვნივ ერთი მედალიონი მიჩვენა:

*- ნახე როგორაა დამუშავებული, რა ლამაზია! სწორედ ეს არის ჩვენი მუზეუმის ყველაზე ამოუცნობი ექსპონატი. ანატოლი ფიოდოროვის ღრმად მოხუცებულმა მეუღლემ გადმომცა, ჩემს ქმარს ეკუთვნოდაო.*

შუშის ქვემოთ მოთავსებულ მედალიონს ახლავს წარწერა: „ანატოლი ფიოდოროვის მიერ დაარსებული ფარიკაობის სკოლის სამკერდე ნიშანი. 1948 წელი."

*- ეს მედალიონი გაცილებით ძველია. 1948 წელს ასეთი არ დამზადდებოდა,* - ვუთხარი. თუმცა ახალი არაფერი მითხვამს, ეს ქალბატონმა ლილიმაც იცის, მაგრამ რადგან ზუსტი თარიღი და წარმომავლობა უცნობია, ამიტომაც მუზეუმის ამ საიდუმლო ექსპონატს პირობითად აწერია ფიოდოროვის მიერ დაარსებული სკოლის თარიღი.

### აქლემიდან ჰერალდიკამდე

რამდენიმე წლის წინათ მამაჩემის მეგობარმა ფოტო გადმომცა, რომელზეც მონეტა იყო გამოსახული, მონეტაზე კი აქლემი - კასპის რაიონშია ნაპოვნი და ვერ დავადგინეთ, რა ეპოქისააო. ინტერნეტში ბევრი ვეძებე, მაგრამ ანალოგი ვერ ვიპოვე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ვინ იცის ასი თუ ათასი წლის წინათ რომელი ქვეყნის ქარავანმა გაიარა და რომელ ვაჭარს გაუვარდა მონეტა გახვრეტილი ჯიბიდან...

რაც შეეხება ფიოდოროვების მიერ სპორტის მუზეუმისთვის გადაცემულ მედალიონს, 1882 წელზე ადრე არ უნდა იყოს დამზადებული. ამასთან, სამკერდე ნიშანს იმდენი ამოსაცნობი დეტალი აქვს, რომ თუნდაც ჰერალდიკის დახმარებით თავისუფლად შეიძლება დამზადების მიახლოებითი თარიღის დადგენა.

### რას ნიშნავს ორი „გ"?

დავიწყოთ წარწერით. კირილიცას შრიფტით ოთხი ასოა გამოყვანილი: ГГФШ. ლილი ლომსაძეს მოვუსმინოთ:

*- ამ აბრევიატურის სრულად თარგმნა ერთი შეხედვით იოლია, მაგრამ სინამდვილეში საქმე რთულადაა. ბოლო ორი ასო „ფიხტავალნაია შკოლას" უნდა ნიშნავდეს, მაგრამ რას გულისხმობს ორი „გ"? ვითომ, „გრუზინსკაია გოსუდარსტვენნაია"?*

თუ ასეა, მივიღეთ მარტივი განმარტება: „გრუზინსკაია გოსუდარსტვენნაია ფიხტავალნაია შკოლა" (ქართულ თარგმანში საქართველოს სახელმწიფო ფარიკაობის სკოლა). მაგრამ, როგორც გითხარით, საქმე ასე მარტივად არ არის - თუნდაც 1948 წელს სსრ კავშირი დაგვრთავდა ნებას დაგვემზადებინა მადალიონი, რომელზეც „საქართველოს სახელმწიფოს" დავაწერდით? არც დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-21 წლებში) გამოშვებულს ჰგავს, რადგან ზედ რუსეთის საიმპერატორო გვირგვინია.

### 1917

...საიმპერატორო გვირგვინი! ეს სიმბოლო მას შემდეგ გაქრა, რაც რომანოვების სამეფო დინასტიის წარმომადგენლები რევოლუციონერებმა საკუთარ რეზიდენციაში დახვრიტეს. ეს 1917 წელს მოხდა.

მოკლედ, თუნდაც მხოლოდ გვირგვინი მიგვითითებს, რომ ჩვენი ექსპონატი 1917 წლამდეა დამზადებული. ისიც ცხადია, წარწერის ორი საწყისი ასო „გრუზინსკაია გოსუდარსტვენნაიას", ანუ „საქართველოს სახელმწიფოს" არ უნდა ნიშნავდეს.

### ორთავა არწივი

მედალიონის წინა პლანზე ვხედავთ ფარზე ამოტვიფრულ ლომის თავს. ეს ცხოველი სიძლიერის ნიშანია და სულაც არ არის გასაკვირი მოფარიკავეთა დაშნასთან და ხიშტიან თოფთან ერთად რომ არის გამოსახული. მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ლომის მარცხენა და მარჯვენა მხარეს გაშვერილი ორი ბურთულა? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ცენტრალურ ადგილას ბურთებს შემთხვევით არ დაატანდნენ.

ამის ამოცნობამდე ჯერ გასარკვევი გვაქვს სამკერდე ნიშნის გამოშვების დაახლოებითი თარიღი, რაშიც უკანა პლანზე ფრთებაღმართული ორთავიანი არწივი დაგვეხმარება. დააკვირდით: ფრთებზე მცირე ზომის გერბები აქვს. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის იმპერიის მთავარ სიმბოლოზე დაატანეს რამდენიმე სამეფოს გერბი, ყაზანის, ასტრახანის, ციმბირის, საქართველოსი...

ისლა დაგვრჩენია გავარკვიოთ, რა პერიოდში ჰქონდა რუსეთს ასეთი გერბი. ამ საქმეში ინტერნეტენციკლოპედია დაგვეხმარა: რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბი შეიქმნა 1882 წელს და 1917 წლამდე იარსება.



მთავარი ტანვარჯიშ-ფარიკაობის სკოლა

### „შპაგაობის ხელოვნებიდან" ფარიკაობამდე

თარიღების დაზუსტების შემდეგ ისლა დაგვრჩენია, ინტერნეტში მოვიძიოთ 1882-1917 წლებში ფარიკაობაში რა შეჯიბრებები ჩატარდა საქართველოსა და რუსეთში. ეს ისეთივე რთული საქმე აღმოჩნდა, როგორიც აქლემიანი მონეტის იდენტიფიკაცია.

საქართველოში ხომ ფარიკაობა (გავიხსენოთ ხევსურეთში შემორჩენილი ტრადიციები) მანამდე იცოდნენ, ვიდრე რუსები სახელმწიფოს შექმნიდნენ. ხოლო რუსეთში „შპაგაობის ხელოვნება" ევროპიდან მე-18 საუკუნეში შევიდა. ცნობილია, რომ პეტრე პირველმა მათემატიკისა და სანავიგაციო სასწავლებელი რომ დააარსა, სასწავლო პროგრამაში შეატანინა საგანი „რაპირის ხელოვნება".

რუსეთში ფარიკაობის მასწავლებლები თავიდან უცხოელები იყვნენ, შემდეგ ადგილობრივებმაც ისწავლეს და 1860 წლიდან უკვე პირველი შეჯიბრებებიც იმართებიდა.

1900-იანი წლების დასაწყისში სპორტმა არმიაშიც შეაღწია და ვლადიმირ ვოეიკოვის ინიციატივით 1910 წელს პეტერბურგში დაარსდა სასწავლებელი სახელწოდებით: „მთავარი ტანვარჯიშ-ფარიკაობის სკოლა". ერთ რუსულ საიტზე ისიც წერია, რომ ამ სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ოფიცრები ატარებდნენ სპეციალურ სამკერდე ნიშანს.

### ვთარგმნოთ

ახლა, ზემოთ ნახსენები სკოლის სახელწოდება ქართულიდან რუსულად ვთარგმნოთ: Главна гимнастическоф фехтовальна школа. აი, აბრევიატურაც: ГГФШ.

ეჭვგარეშეა, სპორტის მუზეუმში დაცული ექსპონატი სწორედ „ტანვარჯიშ-ფარიკაობის" პეტერბურგული სკოლის მედალიონია. აქ უკვე ძახილის ნიშანი უნდა დავსვათ - ევრიკა!

### ...და ბურთულები?

თუმცა წერტილის დასმა ნაადრევია. ორი შეკითხვა მაინც გვრჩება: ანატოლი ფიოდოროვი ГГФШ-ის კურსანტი იყო, თუ ეს სამკერდე ნიშანი ვინმესგან საჩუქრად მიიღო?

და მეორე: რას უნდა ნიშნავდეს ლომის თავის მარცხნივ და მარჯვნივ ამოტვიფრული ორი ბურთულა?

პირველ შეკითხვას დღეს ვერ ვუპასუხებთ, საჭიროა ანატოლი ფიოდოროვის ბიოგრაფიის კარგად გაცნობა. ბურთულების მნიშვნელობას კი იოლად მიხვდებით თუ 1910-იანი წლების ფოტოს კარგად დააკვირდებით. ეს სურათი სწორედ „მთავარი ტანვარჯიშ-ფარიკაობის სკოლაშია" გადაღებული.

როგორც ხედავთ, წინა საუკუნის დასაწყისში შტანგები ორივე მხრიდან ბურთულებით ბოლოვდებოდა...



ზედა რიგში მარცხნიდან მესამე ანატოლი ფიოდოროვი




ფოტო განწყობისთვის

### დიდი ძიუდოისტისთვის მზეჭაბუკიც მზად არის



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608